საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# არილი

ფასი 2 ლარი

1134 /2
2016



2016/სექტემბერი
9 (251)

ნიკოლას მაჭაბელი

## თბილისური ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


პროზა 1 ნიკოლას მაჩაბელი | თბილისური ამბავი

8 ბესო პაპასქუა | მიწისმთხრელები

პოეზია 18 ლია სტურუა

22 გივი ალხაზიშვილი

თარგმანი 27 დ. ჰ. ლორენსი | ღიმილი

*ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა*

30 ელკე ჰაიდენრაიხი | ეროვნული სამოსის მოდა

31 ჩინური სამრეცხაოს საიდუმლო

*გერმანულიდან თარგმნა ნათია დათუაშვილმა*

დღიურები 35 მალხაზ ხარბედია | ნავი და ხურდა

ბასკური დღიურები

რეცენზია 45 გიორგი ბარამიძე | ლიტერატურა ან / და აზროვნება


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"



რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სინამდვილეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ბალდური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge



გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლას მაჩაბელი

# თბილისური ამბავი



*გაფრთხილება!*

*ნიკოლასის ყველა ნოველა შეიცავს საზოგადოებისთვის სახიფათო ქარაგმებს, შესაბამისად, ავტორის სიცოცხლე ნოველიდან ნოველამდე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.*

**წინათქმა**

შენს სახელსაც ველარ ვწერ, შეუძლებელია ეს შენ ყოფილიყავი, მინდა დავწერო "ბრჯ..." და ვერა, თუ როგორაა შენი სახელი "ჯტიბ", თუ "ბრინჯ", ან "ჯბრტ", ვერ ვწერ, ვერც ვამბობ, გულში რომ ვფიქრობ, იქაც აბურდულად გამოითქმის, თუმცა ვიცი, რომ შენ იგულისხმები.

ვის სახელსაც ველარ ვწერ, ამ "ჯრბმ", ცოცხლად დამარხა ბავშვი, მიწაში ჩადო და მერე ზემოდან მიწას ნელა აყრიდა, თან ცრემლებით ალტობდა ზედაპირს. წარმოიდგინეთ, ჩვენი საყვარული, პატარა უმწეო ბავშვი, რომელიც არაკანონიერად მოევლინა სამყაროს, მთელმა საზოგადოებამ მისი მოშორება გადაწყვიტა და მშობელმა დედამ სხვა გზა რომ ვერ იპოვა, აიყვანა და ცოცხლად მიწაში მარხავდა. თვალები რჩებოდა გაოცებული ამ ბავშვს, გაკვირვებული, გაბრდღვიალებული, პირი კი ულიმოდა. სიმწრისგან ულიმოდა? - არა, ირონიულად ულიმოდა? - არა, ბედნიერებისგან ულიმოდა, რომ ცოტა ხანს იცოცხლა.

ნარმოგიდგენიათ? მიწაში აზელილი ბავშვის სახეს ტუჩები ახლოს მიუტანა და უჩურჩულა, "წავალ, ვნახავ რა იქნება, როგორ იქნება, დარ-

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმუნებული ვარ, მე ვერ ვიპოვი ბედნიერებას და ისევ შენთან დავბრუნდები". წარმოგიდგენიათ? იქნებ იგულისხმა საზოგადოებას დავაშომშინებო, ან იგულისხმა ყველას მოვთაფლავ და როცა ძლიერი ვიქნები, დავბრუნდებიო. არც დრო უთქვამს, ზეგ? ორ კვირაში? ერთ თვეში? თუ წელიწადში, იქნებ წლები? "მე ველარ მოვიტყუები შენს არსებობას, მათ გაიგეს რომ შენ ხარ, მე აღარ შემიძლია ასე ტყუილში ცხოვრება, ამიტომ გამიგე, ასე უნდა მოვიქცე", უჩურჩულებდა გაოცებულ ბავშვს და აიმედებდა, რომ დაბრუნდებოდა.

იმაზე არ უფიქრია, რომ თოთო ბავშვი მიწაში ასე უჰაეროდ, ასე უზრუნველად, ასე უნუგეშებლად რამდენ ხანს იცოცხლებს? ბავშვი ვერაფერს ვერ ხვდება, ბავშვს უხარია დედის სახის დანახვა, ისიც უხარია რომ ოდესმე გამოჩნდება, მაგრამ გადარჩება? როგორი სხეული ექნება როცა ამოიყვანს ისევ ამ ორმოდან? დავუშვათ და დაბრუნდა ნისლიან ღამეს, წვიმა რომ ცრის, და გვამის ამოსაყვანად ისევ თავისი თოთო ხელებით მიადგა, და ამოიყვანა. აი, ვხედავ, თხრის მიწას და მიწაში ჩაკირული ბავშვი ისევ ზევით ამოჰყავს. შეხედეთ, რას ჰგავს, ბავშვი ბავშვს აღარ ჰგავს, თმა გასთეთრებია, კბილები დასჭიანებია, მიწის ჭიებს და მატლებს მისი ტანსაცმლის ფლეთა დაუწყიათ, პატარა ხელის გულებში შავი მიწა ჩასჯდომია, ტუჩები გაცრეცილი აქვს, ყურის ერთი ნაწილი მინდვრის თაგვს მოუჭამია და შემშრალი სისხლი ექერცლება ყურთან და საფეთქლებთან, მუცელი ისე აქვს შებერილი, ლამისაა ლანდად იქცეს, დაბრუნდა დედა და ამოათრია ეს გონჯი, ეს უმაქნისი, ეს დებილი სიყვარული. ახლა კი როგორ გამოაკეთებს, როგორ დაუამებს ჭრილობებს, როგორ გაუქრობს არმიტოვების კომპლექსებს, როგორ დაბადებს თავიდან, ექნება კი მას ძალა და ენერგია ახლიდან შეძლოს იმის დაწყება და შენება, რაც უკვე ერთ დროს ასე ტკბილი იყო.

ყველაფერი ის რაც წყალივით, ჰაერივით, ცეცხლივით და მიწისძვრასავით ხდებოდა მათში, ახლა წმინდა ფიქციად, წმინდა უძრაობად გადაიქცა...

ჩვენ შეცდომა დავუშვით...

* * *

არა, ეს არცთუ ისე ცხადი სურათია, არცთუ ისე ზუსტად აღვწერ რა ხდება ახლა. ახლა მე აბანოთუბანში ვარ, ვზივარ, უფრო კი ჩაჭყუნული ვარ ერთ-ერთი აბანოს ქვაბულის პირას. აგურით ნაშენები აბანოების თაღებიდან და დაბალი გუმბათებიდან გოგირდის სუნი ამოდის, ჩემს გარშემო ტურისტები დაბოდიალობენ, ბავშვები ცელქობენ, ძველი თბილისის შუაგულ ცენტრში, საღამოს ჩამავალი მზის ქვეშ ვაგდივარ მე და რას ვაკეთებ? რას ვაკეთებ და ვუთვალთვალებ მის მანქანას. აბანოთუბანში ჩემს წი[...] მისი მანქანა დგას, ველოდები როდის გამოვლენ...

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მე და სოფი[...] ერთმანეთი უნივერსიტეტში, ლექციებზე გავიცანით, ერთმანეთსაც ადვილად გავუგეთ და დავახლოვდით. ჯერ იყო და ორივე ვხვდებოდი[...] ლექტორის ულიმღამო მონოლოგებს, მის დიდაქტიკურ მონაყოლზე ვხითხითებდით, მერე კი[...] ერთმანეთს ფურცელზეც დავუწყეთ საუბარი, ისე, როგორც რეალობაში ხდება. სოფი ერთი[...] უბრალო, პატარა გოგონა იყო, ძალიან მომხიბვლელი და მიმზიდველი სხეულით, დიდი ტუჩებით და ქერად შეღებილი თმით, თავისი სიარულის მანერით და ხელებით ბრიჯიტს წააგავდა, ჰო, იმ ბრიჯიტს, ფრანგ ბრიჯიტ ბარდოს. არ ვიცი ეს თქვენ რამდენად გადაგხდენიათ, მაგრამ ორ-სამ კვირაში სრულიად მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ გოგო, რომელმაც დამაინტერესა, ქმარშვილიანი აღმოჩნდა. ჩემთან დაახლოების პერიოდში სოფი მალავდა თავის ქმარს და შვილის შესახებაც არაფერს ამბობდა, არც სოციალურ ქსელში ჰქონდა გათხოვილის სტატუსი და არც ბავშვის სურათებით ინონებდა თავს. ამის გამო, რომ ის ქმარშვილიანი იყო, მხოლოდ ამის გამო ხომ არ შევწყვეტდით ა[...] ჩვენს სახალისო მიწერ-მოწერას, მითუმეტეს[...] გულს მასთან მიუწევდა, მითუმეტეს ის ჩემსავით უიშვიათესი რომანტიკოსი იყო. თითქოს, ჩამივარდა ხელში მომენტი, როცა ცხოვრებაში პირველად ჩემსავით გამოუსწორებელ რომანტიკოსს შევხვდი.

ჩვენი ურთიერთობა ჰაერივით წარიმართა[...] თავისთავად ხდებოდა ყველაფერი, წიგნებს ვცვლიდით, წერილებს ვუწერდით ერთმანეთს და საღამოობით ვისხედით კაფეში და ვსაუბრობდით ვირჯინია ვულფზე და ბაირონზე, ვუყვებოდით ერთმანეთს ბეკეტზე და ჰიუგოზე, ვიხსენებდით ფოლკნერსა და შნიცლერს.

„– ბეკეტი როგორი დეპრესიულია არა? გან[...] საკუთრებით მოლოიში, ის კარგავს ყველაფრის იმედს".

„– ჰენრი მილერის "ტროპიკში" უფრო შე[...] ნიშნება არა სიყვარულის იდეა, არამედ იქ უფრო მოყირჭებული სამყაროს აუტანლობაა, არა?" და ა.შ. განვიხილავდით რომანებს, ვისრუტავდით დიდებულ წიგნებს, ვხარშავდით და ჩვენს თაროზე ვაწყობდით, თითქოს, საერთო თარო გვქონდა, ვირტუალური. ჩვენი ერთად თავშეყრა და ამ წიგნების განხილვა, შემდეგ კი თაროზე შემოდება თავისთავად ხდებოდა. პერიოდულად ვღიღინებდით საერთო სონგებსაც - ზემფირას, ქუინს, რობი უილიამსს – „I just wanna feel real love, feel the home that I live in". ჩვენ[...] ერთად ყოფნისას იმ სახლის შეგრძნება გაგვიჩნდა, რაზეც რობი მღერის თავის 2002 წლის სინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლში, XXI საუკუნის დასაწყისში, მეორე ნელია, და რობი იმას მღერის რასაც ჩვენ 2016 წელს განვიცდით.

შეხვედრების მერე ჩვენ-ჩვენი მანქანებით ვიშლებოდით. ჩვენი მანქანები იმ ქართულ ანიმაციურ გმირებს ჰგავდნენ პიპო და პაპოს, გახსოვთ? გოგო მანქანა (Nissan March) და ბიჭი მანქანა (Toyota Prius) გზაზე რომ შეხვდებიან ერთმანეთს და ერთმანეთი შეუყვარდებათ? აი ასე ვუპიპინებდით ერთმანეთს მაგისტრალებზე და მტკვრის სანაპიროებზე.

ურთიერთობა წარიმართა წყალივით. მე მართობდა მისი დაბდურა და ხლაფორთული ქცევები, მას კი ჩემი ხუმრობები ხიბლავდა. ერთმანეთს ათასი მოსაფერებელი სახელი შევარქვით, "ჩემო მწვანეთვალება ბიჭო" – მეტყოდა ის, მე კი – „ბიბი, ჩემო ბრიჯიტ, ბრიჯიტინია, ჩემო საოცრება". თავისთავად მოდიოდა ქიმიაც, მისი ლოყაზე კოცნისას, მის მხარზე თავის ჩამოდებისას, მის ცხვირზე მოცაცუნებისას, და არ დაგავიწყდეთ, ის ქმარშვილიანი გოგოა, მე კი მწვანეთვალება ნიკოლასი.

ერთხელაც, როცა სახე დავუკოცნე, ტუჩებს შეგნებულად არ ვეხებოდი, მეგობრულად, მამაშვილურადაც კი, მოძღვრულად ვუკოცნიდი ხოლმე თვალებს და შუბლს, სოფი დაუფიქრებლად მეცა და თავისი დიდი ტუჩები მომანება, თვალები დაეხუჭა, სახე მაღლა აეწია და მშვენიერ მლოცველს ჰგავდა. გათხოვილმა გოგომ, რომელსაც შინ 3-4 წლის შვილი უჭყიოდა, აქ, ჩემს სახლში, თბილისის ცენტრში, ბრენდულ უბანში ხელები ლოყების ქვეშ ამომდო და ტუჩებზე მეამბორა, და მერე გაჩნდა ხანძარი.

ვნება იყო და იყო, მაგრამ ვნების გაზომვა რომ შეიძლებოდეს, აი ამ ხარისხით იყო გაგებაც, იყო საერთო ინტერესები ლიტერატურის და მუსიკის მიმართ, იყო ერთნაირი იდეოლოგია და მეგობრობა, იყო საერთო თბილი სახლი, რომელიც ჩვენდაუნებურად მომავალზე ოცნებით დაგვეხუნძლა. ჩვენს სახლში თითქოს ნივთების მაგივრად ჩვენი ლამაზი სიყვარული იყო განწოლილი. ორივე იმ სიყვარულით ვიყავით მოწამლულები, რაც ღრმა ბავშვობაში იბადება და "ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარულის" სახელითაა ცნობილი. აი, თქვენ გჯერათ "ერთადერთი და განუმეორებელი" სიყვარულის?" ჩვენ ერთმანეთი თავდავიწყებით შეგვიყვარდა და გადავიქეცით თბილისის მალულ წყვილად. მუდამ ასეთ სიყვარულს დავეძებდი და არასდროს მიფიქრია, რომ ეს შეიძლება ქმარშვილიან ქალში მეპოვნა, მაგრამ რაა სიყვარული, თუ არა ირმების გუნდი, ტყეში რომ ველურად გაიჭრებიან, მიდი და შეაჩერეთ მათი ფეხების მტვერი, მათი სისხარტე. ნათქვამია, იმედდაკარგულ კაცს სულ ბოლოს გამოუკიაფდება და სულ ბოლოს ეჩვენება თავის სიყვარულიო.

სოფის თავიდან საერთოდ აცრუებული ჰქონდა გული სიტყვა „სიყვარულზე", ამ გრძნობას აიგნორებდა, არადა, ვხვდებოდი, რომ ეს მისი ქმართან წარუმატებელი თანაცხოვრებით იყო გამოწვეული, სადღაც შიგნით კი ჩემსავით გულდაწყვეტილი, მაგრამ მაინც ელოდა ნათებას, რომელიც ოდესღაც შეაკრთობდა. და აი, ისიც, ჩვენი სიყვარულის გამხელის მერე ჩვენ ისე ავივსეთ, ისე ერთდროულად მოგვიცვა ბედნიერებამ და სიხარულმა, არას დაგიდევდით, უკვე შუა რუსთაველზეც კი ხელიხელჩაკიდებულნი მივსეირნობდით. ამ ყველაფრის პარალელურად არ გვავიწყდებოდა სოფის პატარა ალექსანდრა. მე ჯერ ჩემს ტვინში დავუშვი და გავითავისე, რომ მე შესაძლოა პატარა ალექსანდრას მამა, მეორე მამა, მაგრამ საუკეთესო მეორე მამა გავმხდარიყავი, მერე კი ყველა ჩემს საახლობლოს და სანაცნობოს დავუწყე იმაზე ჩალიჩი, მათაც დაეშვათ და მათაც გაეთავისათ, რომ მე, ნიკოლასს, შესაძლოა შვილიანი ქალი მყოლოდა. პატარა ალექსანდრა ისე აღვიქვი, როგორც სიყვარულს მოყოლილი საჩუქარი, და სულაც არ ვფიქრობდი იმაზე, რაზეც უბანში ბიჭები, რაზეც სამსახურში კაცები, რაზეც საერთოდ ქართული საზოგადოება ფიქრობს ხოლმე ასეთ დროს: "რათ უნდოდა ეხა შვილიანი ქალი, ნაბიჭვარი მიათრია სახლში და ა.შ.".

სად იყო ამ დროს ქმარი? ქმარი არ ვიცი საერთოდ არსებობდა თუ არა, მე და სოფის თითქმის ყოველ მეორე დღეს ვხვდებოდით და ეს შეხვედრები არც თუ ისე შეზღუდული იყო, მეტიც, მე ასე თავისუფლად თავი ცხოვრებაში არ მიგრძვნია. ქმარი თითქოს არ არსებობდა, არა, სადღაც კი არსებობდა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ სოფისთან საღამოს შეხვედრა, სოფის სამსახურთან დახვედრა, სოფის მიცილება უნიში, სოფის გაყოლა ექიმთან, ან თუნდაც მის კონფერენციაზე დასწრება საერთოდ არ აღარდებდა. სოფი მიხსნიდა, რომ აღარდებდა, მაგრამ სამუშაო, სამუშაო! აი, ეს იყო საბაბი, ასეთი რა სამუშაო ჰქონდა ამ ჩემისას, სამაგიეროდ პერიოდულად უკვე მომესმა, რომ მისი ქმარი ხან რაღაც ივენთზე იყო, ხან ვიღაც ძმაკაცის შვილის ნათლობაზე, მერე ვიღაცის რაღაცაზე და ა.შ. მთელი სია, თუ სად იყო მისი ქმარი, „სამსახური, სამსახური!" კი ჩემთვის აბსურდად გადაიქცა...

მე ამიტაცა ამ სიყვარულმა, მითუმეტეს, რომ სოფიც უფრო დარწმუნებული და თავდაჯერებული მეჩვენებოდა. საუკეთესოდ ვართმევდი თავს დეპრესიული სოფის გამოხტომებს, ვაქიმობდი მის ფიქრებს, მის შიშებს, ვახალისებდი მის სხეულს და მის მოდუნებულ, თითქოს უკვე ხანშიშესულ სხეულს, თითქოს ნაადრევი სიბერისგან ვიხსენი, მან კი, მან ოჯახის შეგრძნება გამიჩინა, საკუთარი პირველი

ოჯახის შეგრძნება.

ახლა კი, ახლა, მე აბანოთუბანში, შეგახსენებთ, ჩაჭყუნული ვარ აბანოს დაბალ გუმბათებს შორის და შორს სივრცეში გავცქერი, როდის გამოჩნდება სოფი თავის ქმართან ერთად. რას ველოდები? რატომ ველოდები? რა მოხდა?

რა მოხდა და, დღეს სოფიმ სამსახურში გამომიარა, მერე კი ალექსანდრეს ბაღში ვისხედით და ვცდილობდი გამეგო, რას მეუბნებოდა, ჩემს ყურებს არაფრის აღარ სჯეროდათ, არცერთი სიტყვის, სოფი მშორდებოდა. „ჩემო მწვანეთვალება ბიჭო, მიყვარხარ, უშენოდ არ მინდა ყოფნა, მაგრამ ახლა, ამ ეტაპზე ველარ შევხვდებით, მეშინია ამდენი ტყუილების, არ ვიცი რამდენად შევძლებ უშენოდ ყოფნას". მოკლედ მიხსნიდა, რომ პატარა ალექსანდრასთვის ასე უნდა მოიქცეს, ქმრისთვის უთქვამს „მე სხვის მიმართ გამიჩნდა გრძნობა და არ ვიცი რა იქნებაო". მისმა ქმარმა კი იგრძნო რა ეს რეალური საფრთხე, გადაწყვიტა, რომ ისინი ერთად უნდა გადავიდნენ საცხოვრებლად. უცნაური და ჩახლართული ამბავია, არა? რას ჰქვია ერთად გადავიდნენ საცხოვრებლად, რა, აქამდე ერთად არ ცხოვრობდნენ? სამი წლის ბავშვი ჰყავთ, პატარა ალექსანდრა, აქამდე როგორ ცხოვრობდნენ?

ჰო, ეს ცალკე ნოველაა, აქამდე ერთად არასდროს უცხოვრიათ. ტიპური ქართული უპასუხისმგებლო მამაკაცი და მიგდებული, ნატანჯი ქალი, რომელიც მარტო ათენებს ღამეებს ბავშვის აღზრდაში. აქამდე ხან სოფის მშობლებთან ცხოვრობდნენ, ხან ქმრის მშობლებთან. ყოველი მოთხოვნა, რომ ერთად დაეწყოთ ცხოვრება, უშედეგოდ სრულდებოდა, სოფი და მისი ქმარი, ფაქტობრივად, ერთად არ ცხოვრობდნენ, ერთი იქით რჩებოდა, მეორე აქეთ და ასე განვლო სამმა წელმა, წარმოგიდგენიათ? და აი, ეს მახინჯი ოჯახური ფორმა, რომელიც მხოლოდ სანათესავო სტატუსია, აი, ეს ოჯახური ფორმა იყო მათი თანაცხოვრება. სოფი გაცივდა ქმრის მიმართ, თავიდან თუ ელოდა ვითარების გამოსწორებას და სწყინდა მისი უყურადღებობა, ბოლოს საერთოდ დაიკიდა და რაც მოხდება მოხდესო, და აი, გამოვჩნდი მეც. სოფის ქმარმა კი ახლა გადაწყვიტა, ჩვენი ურთიერთობის მეოთხე თვეს, რომ ცალკე დაიწყონ ცხოვრება, იგრძნო რა რეალურად დაკარგვის საფრთხე, სოფის დაბნეულობაც და ცალკე ბავშვის და ცალკე მათი კონსერვატიული ოჯახების გამოყენებით მიიყვანა სოფი იმ ზომამდე, რომ ჩემზე უარი ეთქვა, დააჯერა, რომ ისინი ახალ ცხოვრებას დაიწყებენ და ოჯახი არ უნდა დაიშალოს. ეს გადაწყვეტილება პრაგმატული ნაბიჯებით დახუნძლული ხერხებია. მოკლედ, უნდა ითქვას რომ სოფის ქმარი პორტუგალიის ნაკრებს ჰგავდა ამ თამაშში, არავის რომ არ მოსწონს მისი თამაში, არც ლამაზი ფეხბურთი, საცოდავად გასული ჯგუფური ეტაპები, პლეიოფები და მოულოდნელად ჩემპიონი ხდება, აი, ასე. მე კი, მე თითქოს პორტუგალიის ნაკრები ვარ, რომანტიკულად, ჰაეროვნად ვათამაშებ ბურთს და ამ სილამაზის აღქმაში პრაგმატულობა მომაკლდა. ჩემი წარმატებისკენ სვლა და ჩემი გამარჯვებების სერია მოულოდნელად ერთმა საღამომ შეაჩერა, ყველაფერი სრულდება.

სოფის ეშინია სანათესავოსი, ქართული საზოგადოების და ბავშვის ხათრით თანახმაა ქმარს გაჰყვეს, დაუჯეროს გადაწყვეტილებებში, აქეთ კი თავისი მწვანეთვალება ბიჭუნა ჰყავს, რომელმაც ახალი სისხლი გადაუსხა, რომელთანაც იხილა უხილავი, რომელთანაც ეზიარა სიყვარულის მშვენიერ წუთებს თბილისის მალულ ხევნებში, მაისისა და ივნისის გრილ ქუჩებში, ძველი თბილისის ვიწრო შუკებში, წერილებში და სამყაროზე ფიქრებში, ფრთები აქვს მოსხმული, მათ უკვე საერთო სახლი აქვთ, ის სახლი, რომელზეც რობი უილიამსი მღერის 2002 წლის სინგლში. რეალური ცხოვრება კი იქით იძახის ბავშვით, ქმრით და სანათესავო ჯაჭვებით, მთელი ქართული საზოგადოებით, ვინ რას იტყვის, ვინ როგორ მოექცევა მას და მის შვილს... მაგრამ დაშორება და ჩვენი სიყვარულის ამ ეტაპზე ასე მიგდება დანაშაულია და სხვა არაფერი, ვაანალიზებ, რომ სოფი ასე თუ მოიქცევა, ის ერთი, რიგითი ქმარზე მოღალატე ცოლის როლში უნდა იყოს და არა იმ მეამბოხე, ძლიერი და თავისუფალი ქალის როლში, ვინც სიყვარულისთვის ყველაფერს აკეთებს. ერთი სიტყვით, ძნელია ჰენრიკ იბსენის „თოჯინების სახლის" მთავარი გმირობა, ძალიან ძნელია, იშვიათობაა, საუკუნეებში ერთხელ ხდება. აი ასე, სოფი ზღვარზე დგას, მიყვარდეს მე ის ისეთი, როგორიც არის და ჩვენ ერთად გავაგრძელებთ სვლას ჩვენი შორეული სახლისკენ, თუ გადაიქცევა ის ერთ ჩვეულებრივ ქმრის მოღალატე ცოლად, რომელმაც წუთიერი ვნებანი დაიკმაყოფილა და ახლა ქმარს უბრუნდება...

შეიძლება ზედმეტად არეული მონათხრობია, მაგრამ სიმართლეს გეუბნებით, სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა. ამ ყველაფერს ახლა აქ, აბანოთუბანში ვფიქრობ, სადაც ისევ ჩაჭყუნული ვარ დაბალი გუმბათების ქვეშ და გავცქერი ნისან მარჩს, სოფის მანქანას, რომელიც ჩემს თვალისგანვდენაზე აყენია, და ერთი სული მაქვს დავინახო ისინი, დავინახო ისინი გამოსული რომელიმე რესტორნიდან, ან ახალნაქირავები ბინიდან, ან იქნებ სასტუმროში იყვნენ? მოკლედ მე ველოდები მათ, სოფის და მის მეუღლეს. მაინტერესებს, როგორი სახე ექნება სოფის, ბედნიერია ქმართან? ღიმის სახე? ისე უციმციმებს სახე როგორც ჩემთან ერთად? მართლა უნდა დავიჯერო მისი ნათქვამი და აღარ შევხვდე თუ უნდა ვიბრძოლო მისთვის? თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხვდები, რომ ის ფრაზები, „ვნახავ თუ გამოვა მასთან ცხოვრება და თუ არა ისევ შენ დაგიბრუნდებიო" საშინლად შეურაცმყოფელია, არ შეშვენის იმ სიყვარულის ამბავს, რომლისაც ორივეს გვჯეროდა. საფრთხე ახლა ჩვენს ერთადერთ და განუმეორებელ სიყვარულს ემუქრება, მე სწორედ ამის გადასამოწმებლად ვარ აქ მოსული და ვუთვალთვალებ მათ გამოჩენას.

ხომ არ გაინტერესებთ როგორ მოვაგენი აქაურობას? როგორ და, სოფიმ ალექსანდრეს ბაღში რომ მითხრა ველარ შევხვდებითო, და ქმართან შესახვედრად გაემართა, 19:30 წუთზე უნდა შეხვედროდა აბანოებთან, მე ჩემი მანქანისკენ წავედი. ჩემს ტოიოტაში ჩავჯექი და ვფიქრობ, სახლში რომ წავიდე ტირილითაც ვერ გავსკდები, ჩემში უკვე დიდი ხანია ჩაკვდა ყოველივე ქალური. ამ პროცესის მონაწილე უნდა ვიყო, უნდა ვიპოვო ისინი. ჯერ იყო და კოტე აფხაზის ქუჩას ავუყევი, იქ არ დამიხვდა. მერე იერუსალიმის ქუჩისკენ ავუხვიე და პურის მოედანზე გავედი, არც იქ არ ჩანდნენ. მაშინ თუმანიანის ქუჩაზე ავედი და იქიდან მეტეხთან ჩავედი. მეტეხიდან კი აბანოთუბანში გავუხვიე და აი ისიც, აი სოფის მანქანა, აი ისიც, მისი შავი მანქანა. ახლა ჯობდა ჩემი მანქანა მოშორებით დამეყენებინა, წავედი და ორთაჭალის გზაზე დავაყენე, იმ გზაზე, რომელიც სოფიმ უნდა გაიაროს. წამოვედი ფეხით და გულში ვფიქრობ, სად ჩავუსაფრდე მათ გამოჩენას, და ვხედავ, მისი ქმრის მანქანაც აქვეა. მივედი, ფანჯარაში ჩავიხედე, რაღაც კეპი აგდია და კიდევ ჩანთა, აჰა, ჩემი მანქანა აქაა, მისი ქმრის მანქანის გვერდით, სოფის მანქანაც ვიცი სადაა, მოკლედ, მთავარი მოქმედი პირები აქ არიან... სპექტაკლი უნდა დაიწყოს...

ახლა უკვე 20:00 საათია, სავარაუდოდ რვის ნახევარზე შეხვდნენ ერთმანეთს აქ და ახლა რას აკეთებენ კაცმა არ იცის, მაქვს ყველანაირი ვერსია, ვიწყებ იქიდან, რომ იქნებ სოფი ესაუბრება ჩვენზე, რომ მას სხვა უყვარს და რომ შეუძლებელია ახალი ცხოვრების დაწყება. შემდეგ გადავდივარ რეალურებზე, ქმარმა ის ახალ ბინაში წაიყვანა, რომელიც უნდა იქირაონ, ამ გადამწყვეტ დღეს ალბათ ყვავილებიც აჩუქა, ან ლამაზი ძვირადღირებული სამაჯური, იქნებ ყელსაბამი? ლალისფერი თუ ოქროსფერი? ის მაინც თუ იცის, რომ სოფის საყვარელი ფერი ვერცხლისფერია? არ ვიცი, იქნებ რესტორანში ვახშმობენ და განიხილავენ მათ მომავალს, და გადავდივარ ილუზიებშიც, სასტუმროში ხომ არ აიყვანა და იქ, სოფიც მინებდა, ქმართანაც ისეთივე ბედნიერია და ისევე კვნესის, როგორც ჩემთან ერთად ბათუმში იწვოდა? ნეტა მასაც ეუბნება „მიყვარხარ", „ასე კარგად არასდროს ვყოფილვარო"? ამის გაფიქრებებზე ყურები დამიგუბდა, მწერები მასხდებიან და გოგირდის სუნი მაწუხებს, დრო გადის, ისინი არ ჩანან, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი?

მესმის პატრულის და სასწრაფოს ხმა, ეს დამატებით ილუზიებს წარმოშობს, რამე ხო არ მოხდა? ქმარმა რამე ხო არ გაიგო, ან სოფის ხომ არ წამოსცდა, რომ ჩვენ ერთად ვიყავით, რომ ჩვენ ცეცხლით ვიწვოდით, და დანით ხომ არ დაჭრა? თუ შემოაკვდა? ზოგადად, ამ ბოლო დროინდელ საქართველოს ისტორიაში ხომ ეს თითქმის ყოველდღიურობად იქცა, ნიუსები მეუღლეთა ერთმანეთზე უფრო შემზარავ მკვლელობებს გვამცნობენ. სოფელ ამა და ამაში ქმარმა მოკლა ცოლი, ეჭვიანობის ნიადაგზე, თბილისში ამა და ამ ქუჩაზე ყოფილმა ქმარმა მოკლა ცოლი, აქა და აქ ქმარმა ცოლს ყურები დააჭრა, აქა და აქ მოღალატე ცოლს მიუსწრო ქმარმა და ა.შ. ჰო, ეს ყოველდღიურობაა, Google-შიც კი უკვე ადვილად ისერჩება, საკითხავია, რატომ ხდება ეს ასე გახშირებულად? გასაგებია, რომ ადრეც ხდებოდა და მომავალშიც იქნება, მაგრამ ასეთი სიხშირით? თანამედროვე საქართველოს ოჯახები ცუდად ხომ არ იგეგმება!? ნაჩქარევად, როცა ყველა გაურბის პასუხისმგებლობას?! ვინაა დამნაშავე ამ მასობრივ მკვლელობებში? ქალები? ქართველი ქალები მოღალატეები არიან ზოგადად? თუ კაცები? თუ კაცებს აქვთ ზედმეტი წარმოდგენები საკუთარ თავზე, ზედმეტად არიან დარწმუნებული საკუთარ სიძლიერეში და არ განიხილავენ საკუთარი თავის განვითარებას პარტნიორთან ურთიერთობაში? იქნებ მამაკაცები არიან ერთფეროვანნი და უმუღამო, სწორედ ამიტომ გარბიან ქართველი ქალები სხვა კაცებთან. და რატომ ღალატობენ? იმიტომ ხომ არა, რომ იძულებული არიან? საუბრით, დალაპარაკებით განშორება შეუძლებელია, ოჯახის დანგრევა ხომ საქვეყნოდ თავის მოჭრაა? შენ გინდა ისეთი ქალი, ვისაც არ უყვარხარ? შენ გინდა ისეთი პოტენციური ქალი, ვინც შეიძლება ნებისმიერ წამს გიღალატოს? თუ ამჩნევ, რომ რაღაც ისე ვერ არის, უნდა გამოიცვალო, უნდა მოუწყო ფეიერვერკი, არასდროს არ უნდა დაუკარგო ახალგაზრდობის წყურვილი, არ უნდა შეაჩვიო რუტინას, რომელიც აბერებს და აუფერულებს მის ხელებს და ფეხებს.

მოკლედ, ვარ ამ ფიქრებში სასწრაფოს ხმაზე და მოვდივარ გონს, რომ აბსურდია, სოფის არაფერი სჭირს, ჩვენ ის ამბავი არ უნდა ვიყოთ, რაც ყოველდღიურ საქართველოს აწუხებს, და მაინც, ყველა ქართველი ცოლი მოღალატეა? თუ ყველა ქართველი ქმარი უაზრო, უნიჭო და დასირებულია? თუ ხდებიან ასეთები? როგორ ახერხებთ ქართველო ქმრებო, რომ ასე მალე დაკარგოს ინტერესი თქვენ მიმართ თქვენმა ცოლმა? გამოდის, რომ მთელი საქართველო უბედურია? საქართველოს ეკონომიკაზე ხომ არ არის ეს ადამიანთა უბედურება რამენაირად მიბ-

მული? სადღაც უნდა იყოს კავშირი, ეს უკვე ძალიან ღრმა თემაა, შევეშვათ...

აბანოთუბანში უკვე ლამპიონები აინთო, ნელ-ნელა ბნელდება, ისინი კი არ ჩანან, საათ-ნახევარი გავიდა მას მერე, რაც აქ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, საათ-ნახევარი გავიდა მას მერე, რაც მე ჯერ სოფის მანქანა ვიპოვე, მერე მისი ქმრისაც და ახლა აქ ვზივარ ჩაჭყუნული დაბალი გუმბათების ქვეშ, მაქსიმალურად შეუმჩნევლად, რომ არ შემამჩნიონ. ვიხედები ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, ძირითადად კი წინ, სადაც სოფის ნისან მარჩი დგას უძრავად. ისე ჩამობნელდა და ისე გავთამამდი, ფეხზეც კი წამოვდექი, გავიზმორე, ჩაჭყუნული ტანისამოსი გავისწორე, ისე დაბნელდა, რომ ახლოს თუ არ მოვიდნენ, ნამდვილად ვერ დამინახავენ. ვაგრძელებ ყურებას და ახლა ჩვენს ბათუმში ყოფნაზე ვფიქრობ.

ეს იყო ბათუმში...

ერთხელ ბათუმში გავიპარეთ მე და სოფი. ბათუმში რომ ჩავედით, მგზავრობისგან დაღლილები და გატანჯულები კაფე-ბარში შევვარდით, საბაგიროებთან რომაა ქალაქის შემოსასვლელში იქ, ხინკალი შევუკვეთეთ და წვენები. ჩემი ბრიჯიტა, ბრიჯიტინია მიღიმის და თვალებს მიბრჭყვიალებს. მის თვალებში ვკითხულობ უიშვიათეს “მე მჯერა”-ს და მეც გულში ვეუბნები, “მეც მჯერა”. მე და სოფი ერთმანეთის ყურებით და ერთმანეთთან საუბრით ვტკბებით, დაღლილები ვართ თან, და უცბად ჩვენი მაგიდის წინ ოთხი კაცი მოდის და დოლ-გარმონთან სხდებიან, იწყებენ ქართულ პროვინციულ მუსიკებს, უნდა ნახოთ როგორ ვიცინით, ვკვდებით სიცილით, ეს გვინდოდა ახლა? ჯერ მარშუტკაში – „თბილისი-ბათუმი" დამღლელი მგზავრობა, მერე შეკვეთილი საჭმელი იგვიანებს, და ახლა ბოლო ხმაზე გამაყრუებლად ისმის სოფლური ჰანგები – “მოკლე კაბა რომ ჩაგიიიცვააამს" და ა.შ. ვდგებით სიცილ-ხარხარით და გარეთ გავდივართ, გარეთ ზღვის თბილი ნიავი უბერავს და ცოტა ხანში ხინკლებიც მოაქვთ, გემრიელად მივირთმევთ და ამასობაში წვიმას იწყებს, მალე ვრჩებით ჭამას და წვიმაში გაერბივართ. წვიმაში გვისველდება თმა, ცოტა ვილუმპებით, სოფი ულამაზესი ხდება, უბედნიერესი, იღიმის, უხარია, ვაჭდობ ხელებს და ვიხუტებ, ფისოსავით წკმუტუნებს, მერე კი გავრბივართ წვიმაში, ბათუმის წვიმაში მივრბივართ ორნი, სასიყვარულო მელოდრამების სცენებია, მიადევნეთ თვალი, ორი შეშლილი რომანტიკოსი გარბის საზღვაო ქალაქში, მეოცნებენი არიან, სველდებიან, ილუმპებიან, ერთმანეთს ეხვევიან, ყველა მათ შესცქერის, დრო მოვა და მათ ამ სირბილს წვიმიან ბათუმში მინიქანდაკებას მიუძღვნიან და დაარქმევენ “სიყვარული წვიმაში".

სასტუმროს ძლივს მივაგენით, თუმცა შიგნით ოთახი კომფორტული დაგვხვდა. ღვინო ძლივს გავხსენი, დანით ჩავაჭყლიტე საცობი ბოთლში და ისე დავასხი ჭიქებში. ღვინო მოუხდა გარემოს, სასტუმროს ნომერიც მაქსიმალურად გვიწყობს ხელს, ყველაზე მთავარი კი სოფის სილამაზეა, წვიმისგან დასველებული ოდნავ შემშრალი თმა, დაბუშტუკებული ტუჩები, გაბრუებული თვალები და მოღებილო სახე, მისი ნაზი და პატარა ხელები, და მისი დაფეხვილი ფეხის თითები, მოდის და პატარა ვეფხვივით სანოლზე წამაპირქვავებს, ზევიდან მომექცევა და თავს სახესთან მილამუნებს, ვნებიით და თბილი ჰაერის ორთქლით მკოცნის, მკოცნის მორიდებულად, ვხდი ლამაზ ზედას, ვიხდი შარვალსაც, ყვავილებიანი პრინტის ტრუსიკი აცვია, მე კი ვარსკვლავებიანი H&M-ის ტრუსიკი, ორივე შიშვლები ვართ, სასტუმროს ნომერში ოდნავ დაბურული შუქების ფონზე ჩვენი სხეულები ერთმანეთს ეკვრიან, ორი ახალგაზრდა სხეული, ორი ერთმანეთის შესაფერისი, ერთი ერთში რომ ჯდება ისეთი სხეულებია, ბიჭი ოდნავ მაღალი, გოგო კი ოდნავ დაბალი, კანი თეთრი და ხორბლისფერი, გრძელთმიანი და მოკლეთმიანი. ვჩურჩულებთ: „ჩემო მწვანეთვალება ბიჭო, მიყვარხარ" „ბრიჯიტ, ჩემო საოცრება, ბრიჯიტინია". ჩვენი სიყვარული განსხეულდა და ახლა ჩვენს პენისსა და საშოს შორის ფეთქავს, ისინი კი ერთმანეთში ყვინთაობენ...

ეს იყო ბათუმში.

ახლა კი ისევ აბანოთუბანში დავბრუნდეთ, ვუყურებ მანქანას, ვუთვალთვალებ როდის გამოჩნდებიან სოფი და მისი ქმარი. და აი, აი ისინიც, მგონი ეს სოფია, მანქანასთან ახლოს მიდის და უჩინარდება. მე იმდენად უშიშრად ვგრძნობ თავს, და იმდენად გავთამამდი, დავაწექი და მანქანასთან მივდივარ, მანქანაში არავინ არ ზის, მიმოვიხედები და ვინც სოფი მეგონა, სულ სხვა ვილაცაა, სულ სხვა ბიჭთან ერთად, ვუბრუნდები ჩემს სათვალთვალო აბანოთუბნის გუმბათს და ვფიქრობ, რა უნდა გავაკეთო რომ დავინახავ, რას გავაკეთებ, რისი შემძლე ვარ? არა, არ მინდა სოფის იმედები გავუცრუო და ისე წარმოვჩინდე, რომ გამოვეკიდე, რომ ისტერიკულად მინდა მასთან, და რომ არ შემიძლია მის გარეშე, არადა, მე მართლა არ შემიძლია იმ სიყვარულის გარეშე, რომელიც მან მისახსოვრა, იმ ჩვენი პატარა ბავშვის სახელით რამდენი რამის ამტანი ვარ, თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ. ამ ყველაფერს კი სიყვარულის სახელით ვაკეთებდით ჩვენ, აბა, მხოლოდ სექსის სახელით ვირებმა ქნან ასეთები... ვუბრუნდები დაბალ გუმბათებს და ისევ აბანოებიდან გავცქერი მანქანას.

ვფიქრობ იმასაც, რომ არ გამოჩნდნენ და დღეს სასტუმროში დარჩნენ სადმე, სოფის დამფრთხალმა და ძლივს გონსმოსულმა ქმარმა ლამაზ, ძვირადღირებულ სასტუმროს ლუქსში რომ აიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოს ჩემი ბრიჯიტა, ჩემი დაბუშტუკებული, ჩემი ლამაზი გოგონა, გოგონა, ვის გამოც უფრო მეტად ვირწმუნე სიყვარულის, ბრიჯიტინია... გოგონა, რომელმაც რამდენიმე საათის წინ არიოლი-რეშკაზე დამდო, გამოვა ქმართან ცხოვრების ახლიდან დაწყება, პაკა, თუ არ გამოვა და ისევ შენთან გამოვიქცევიო. ახლა რომ ვუფიქრდები, ქართველი მამაკაცების 90 პროცენტს გაუსწორდებოდა. მეტყოდნენ, „ქალი გყავს, შეირგე რა, ხო ტყნაურობ მაინც, რა სიყვარულობანა აგივარდა? შენთან უნდა და გაძლევს ხოლმე? მერეც მოგცემს, შენ კიდე მისი ცოლად მოყვანა გინდა? შენ კიდე მისი ბავშვიც გინდა რომ იშვილო?" მე კი, მე ასეთი არ ვარ. მე განვსხვავდები ასეთი მამაკაცებისგან, მე მოღალატეც არ ვარ, მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ პირიქით, მე მღალატობენ, პირიქით, ჩემს სიყვარულს, ჩვენს სიყვარულს ღალატობენ...

და გადავწყვიტე სოფის მანქანასთან მივირბინო და სარკესთან რამე დავუწერო, მიხვდეს რომ მე აქ ვარ სადღაც ახლოს. მის მანქანასთან მივირბინე, თან იქით-აქეთ ვიხედები, არ გამოჩდნენ, მეშინია, სოფიმ არ დამინახოს, რომ მე მას გამოვეკიდე და სახლში კი არ წავედი, არამედ ჩემსას ვცდილობ, რაღაცას ვხლაფორთობ, არადა, რეალურად დებილობებს ვშვრები, ტურისტები ისევ დადიან, ლამპიონები ანათებს, საიდანღაც ისმის ანდრია ბოჩელის სიმღერა, „ძველი თბილისი" ფეთქავს და ორომტრიალშია, და მე მიამიტურად, ისევ გულანთებული, სოფის მანქანის მტვრიან მინაზე ჩემი საჩვენებელი თითით ვაწერ "სოფი მიყვარხარ".

ამასობაში რაღაც გაიჭყლუპუნებს, მანქანის პულტია, ჩემ წინ მანქანის ფარები სტაფილოსფრად ინთება, ვტრიალდები და ვშეშდები, ჩემ წინ დგანან ისინი, სოფი და მისი ქმარი ჩუმი, გაოცებული სახეებით.

ახლა???

პ.ს. თქვენ არ იცით ასეთი სცენები ღმერთს როგორ ევასება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბესო პაპასქუა

# მიწისმთხრელები



1.

სოციალური მდგომარეობა ურთიერთობებში ყოველთვის მზღუდავდა. სიტყვას -„ყოველთვის", აქ განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ის ჩემთვის დროის სამ მონაკვეთს გულისხმობს და, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ უკვე მოასწარით უმნიშვნელოდ მოკიდებოდით, საერთოდ არ ჟღერს იმედიანად. პირიქით, ის ჩემს მომავალთან უკომპრომისო დამოკიდებულებაშია. თუ ჯერ კიდევ არ ვარ აზროვნების უნარს იმდენად მოკლებული, რომ სწორად შევაფასო ჩემი მდგომარეობა და დასკვნები გამოვიტანო, აღმოვაჩენ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ მიწის ვიწრო ტრანშეაში ვიდექი. მისი სიღრმე ნახევარ მეტრზე მეტი იყო, რეზინის მაღალყელიანი ჩექმები მეცვა, მუშის ყვითელი უნიფორმა, და წელში მოხრილი წერაქვით თხრილში ვიჩიჩქნებოდი. ჩემს მომავალს მაინც არ ეყო ფანტაზია ახალი ისტორიის გამოსაგონებლად, რადგან მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანშე გადამიადგილა, დანარჩენი კი, ზუსტად იქ და ისე დატოვა, როგორც იყო.

ტრანშედან ყველაფერი სხვაგვარად მოჩანს, რადგან რაკურსი ორიგინალურია: ნახევარი მეტრით დაბლა დგახარ სხვებზე, ეს კი ისეთ განცდას გიქმნის, თითქოს სხვები აღგემატებიან ნახევარი მეტრით. შედეგად, თვითშეფასებასთან მიმართებით, ყველაფერი ვერ გაქვს რიგზე და, სოციალური კომპლექსი მთავარს განსაზღვრავს: საურთიერთოდ ისეთ ვინმეს ეძებ, ვისაც ნახევარი მეტრით თუ არ აღემატები, რამით უტოლდები მაინც.

ასეთის პოვნა კი ძნელია.

-პერფერატორი შეაერთე...

ეს ჯიმია, ჩემი ბავშვობის მეგობარი და ჩვენ ახლა ტრანშეში ვდგავართ. ტრანშეში მუშაობის გამოცდილება არც მე მაკლია, მაგრამ ჯიმი მაინც ჩემზე მეტადაა გამოცდილი და ამის გამო, ხანდახან, თავს განკარგულებების გაცემის უფლებას აძლევს. მისი აზრით, 4-წლიანი გამოცდილების მიღების მშვენიერი შანსი მე ჯერ კიდევ მაშინ გავუშვი ხელიდან, როცა იმ უნივერსიტეტში სწავლა გადავწყვიტე, რომელიც ჩემი ტრანშედან მარჯვნივ, ოციოდ მეტრში მდებარეობს. უნივერსიტეტს კიდე არაუშავდა, მეუბნება, მაგრამ პროფესიად ეს ბიოლოგიური ნაღდად არ უნდა აგერჩია. არადა, ყოველთვის, როცა ვუსწორებ, რომ ჩემს პროფესიას ფილოლოგიური ჰქვია და არა ბიოლოგიური, ერთი ხუიაო, მარწმუნებს. თან იმდენად დამაჯერებლად, რომ ლამისაა მეც დავიჯერო. არც ვეკამათები. უხმოდ ამოვდივარ, სადენს გადამყვანში ვაერთებ და ისევ ტრანშეში ვდგები.

დღეს ცხელა. ზაფხულია და იმიტომ. გუშინაც ცხელოდა და გუშინწინაც. აი, იმის წინ კი მაგრად წვიმდა და არც ცხელოდა. მაგრამ როცა წვიმს, არ გვამუშავებენ. არ ვიცი, ეს იღბალს უნდა დავაბრალო თუ უიღბლობას. ამაზე ფიქრისთვის, სიმართლე რომ ვთქვა, დროც არ მრჩება, რადგან უკვე შესწავლილი უიღბლობებისგან მიწევს დავიცვა თავი. კერძოდ, ძველი ნაცნობებისგან, რომელთაც უნივერსიტეტში სწავლა გააგრძელეს და დიდია შანსი, წერაქვით ხელში დამინახონ. კარგი ფილოლოგი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ამ მდგომარეობისთვის თავი მაინც არ მემეტება და, შესაბამისად, ტრანშეს მაინცდამაინც ამ ქუჩაზე, საკუთარუიღბლობად ვთვლი.

-სიგარეტზე გადახვალ? ქუჩის მეორე მხარეს ბუდკა დგას, მანდ იქნება - მითხრა ჯიმიმ - ოღონდ რამე ფილტრიანი, თუთუნის ფურთხების მუღამზე არ ვარ...

შემოთავაზებაზე უარი არ მითქვამს. წელში გავიმართები-მეთქი, გავიფიქრე და მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე დავეშვი. ცენტრში საყურიანი ქუჩის მუსიკოსი იდგა და უკრავდა. წინ გიტარის ჩიხოლი ჰქონდა გაფენილი. ზემოთ ასვლა არ დამჭირვებია, ნაცნობი სავაჭრო ცენტრის კარი შევაღე და სიგარეტი ერთ-ერთ ჯიხურში ვიყიდე. უკან მობრუნებისას მუსიკოსს 20 თეთრი ჩავუგდედა მადლობის ნიშნად თავი დამიკრა.

სტუდენტობის წლებში ხშირად ვსარგებლობდი ამ მიწისქვეშა გადასასვლელით და სავაჭრო ცენტრსაც არანაკლები სიხშირით ვაკითხავდი. ძირითადად მაშინ, როცა ღვინის ან არყის დეგუსტაცია იმართებოდა. ყოფილა შემთხვევები, როცა ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციას ემთხვეოდა ძეხვეულის დეგუსტაციაც გვერდითა სექციებში. მე ორივე შემთხვევით მაქსიმალურ სარგებელს ვიღებდი: არც ალკოჰოლს ვიკლებდი და არც მისაყოლებელს. სხვათაშორის, ფული საკმაოდ მეზოგებოდა. ერთხელ, როცა ჩვეულებრივ გვარიანად შექანავებული ვაპირებდი იქაურობის დატოვებას, ჩემი ყურადღება საცვლების ძვირადღირებულმა კოლექციამ მიიპყრო. მათი ფასი 50-დან 150-ლარამდე უსინდისოდ მერყეობდა.

პროტესტის საშინელმა გრძნობამ იფეთქა ჩემში. ჩემი სიცოცხლის განმავლობაში უამრავ ისეთ ადამიანს შევხვედრივარ, ვისაც შია, სცივა და მხოლოდ მაშინ არ სწყურია, როცა მთელი ქვეყანა წყალდიდობას მიაქვს. ესენი კიდე ტრუსიკებს ყიდიდნენ 150 ლარში.

მიუხედავად იმისა, რომ აქტიურობით არასოდეს გამოვირჩეოდი, სასწრაფოდ გადავწყვიტე უნივერსიტეტში დაბრუნება ჯგუფის ჩამოყალიბების მიზნით. ჩემი მიზანი იყო თანამოაზრეები შემომეკრიბა ირგვლივ, რომლებიც გააპროტესტებდნენ ძვირადღირებული საცვლების ბიზნესს საქართველოში. გეგმაში მქონდა, რომ ჩვენ ტრანსპარანტებით მოვედებოდით ქუჩებს, რომელზეც ეწერებოდა: „ბოიკოტი 150-ლარიან ტრუსიკებს!", „არცერთის ბინძური ტრაკი არ ფასობს ამად!", მაგრამ არავინ ამყვა. უცნაური იყო, ჩემი იქ სწავლის პერიოდში უამრავ სტუდენტს ვიცნობდი ისეთს, ვინც ყურადღების მიქცევის მიზნით არასდროს ერიდებოდა უკანალის იმ დონეზე მოშიშვლებას, რომ მთლად ტრაკშიც არავის ეხმარა. ისინი სკანდალებისკენ, სენსაციებისკენ იყვნენ მიდრეკილები, მაგრამ ჩემს ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. შეიძლება ეს ჩემი სიმთვრალის ბრალიც იყო. არ ვიცი.

მიწისქვეშა გადასასვლელიდან ამოვედი.

-დედას რო შევეცი მე...

ვერ ჟღერს კორექტულად, თუმცა, ჯიმის ჰქონდა სათანადო მიზეზი, რომ არაკორექტული ყოფილიყო:

-კანალიზაციის ტრუბა გავხეთქე...

მახსოვს, ერთ იდიოტურ ჰოლივუდურ ფილმს ვუყურე ერთხელ. მთელი ფილმის განმავლობაში არაფერი მეჩვენა საინტერესო ერთი ეპიზოდის გარდა. რომელიღაც პერსონაჟი საკანალიზაციო მილში შემძვრალიყოდა საკმაოდ მახვილგონივრულად წუხდა: როდესაც სხვებისგან მესმოდა, ყელამდე მძღნერში ვარ, მე მხოლოდ მხატვრული გამონათქვამი მეგონაო.

ჯიმის დანახვამ ასოციაცია გამიჩინა იმ ფილმის პერსონაჟთან. თუმცა იმ წუთას მივხვდი, რომ არ იქნებოდა ჩემი მხრიდან ჭკვიანური საქციელი, გული გადამეშალა. მითუმეტეს - სახალხოდ. ტრანშეში იდგა და მის ფეხებთან ყვითელი ფეკალიები დაცურავდნენ. ბრიგადის დანარჩენწევრებს მის ირგვლივ წრე შეეკრათ.

-მიყურეთ ახლა!

ჯიმი ტრანშედან ამოვიდა და წრე გაარღვია.

-მე ამეებში ქექვას არ ვაპირებ, სპეციალური ჯგუფს დაუძახეთ.

ნაბიჯი გადავდგი. წრის ისევ შეკვრის მიზნით. შევკარი კიდეც. ვგრძნობდი, რომ საოცარი სურათის ნაწილს წარმოვადგენდი. დაახლოებით ათი კაცი დგას და ჩაფიქრებული თვალებით მისჩერებია განავლის ყვითელ ნაფლეთს, რომელიც სულ უფრო ნაწევრდება მარტივ მამრავლებად.

ეგ ვართ ჩვენ!

-მილიონის გულისთვის არ გადაეშვებოდი ამაში თავით?

გვერდზე გავიხედე. ერთი 20 წლის ბიჭი მედგა დასულელური ღიმილით მომჩერებოდა. ასეთ კითხვებს და არანაკლებ სულელურ ღიმილს მთელი ცხოვრება მიჩვეული ვარ.

-ყანწითაც სიამოვნებით დავლევდი!

ვუთხარი და კმაყოფილი შევატოვე დანარჩენებს.

ხომ ვთქვი, ეგ ვართ-მეთქი ჩვენ!

## 2.

საღამოა და მივდივარ ჩემთვის, მივსეირნობ. სულაც არ ვარ უკმაყოფილო იმით, რომ დღეს სამუშაო ჩვეულებრივზე ადრე დავასრულე. თან იმის გამო, რომ ფეკალური მასის წინააღმდეგ ბრძოლაში 5-კაციანი ჯგუფი კარგა ხანს ვერაფერს გახდა. მართალია, ეს ჩემს ხელფასზე იმოქმედებს, რადგან იმის მიხედვით მინაზღაურდება შრომა, რამდენსაც გავთხრი, მეტრობით, მოკლედ, მაგრამ ზოგჯერ დასვენებაც არ მაწყენს. ასეთი შემთხვევაა დღეს და მივდივარ ჩემთვის. თუმცა ეგ უკვე აღვნიშნე, მგონი. ის კი ნამდვილად არ მითქვამს, რომ ასე, ჩემთვის სიარულს და სეირნობას ყოველ დღე ვერ ვახერხებ. ძალიან მძიმე სამუშაო და იქიდან ხშირად გვიანობამდეც ვერ ვთავისუფლდები. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ჩემგან ორჯერ ამის აღნიშვნა სულაც არ იყო თავხედური საქციელი. და არც სამჯერ იქნება. მოკლედ, მივდივარ და მივსეირნობ ჩემთვის. ბევრი ხალხი მოძრაობს. საღამო ნელ-ნელა ედება ქალაქს და განათებებს რთავენ, თბილისის ქუჩები ფერად შუქებითაა შემოძონძილი. ბოშა ქალივით. ვერ იყო მთლად კაი მეტაფორა.

ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე, მაგრამ სანთებელა ვერ ვიპოვე დაქუჩაში ვთხოვე ვიღაცას, გადამიკიდე პაპრაცკი-მეთქი. არ უთქვამს უარი. აი, ასე. სულ ვკარგავ ამ სანთებელებს. არადა, ვინც მწეველია, ყველამ იცის, რამხელა ფასი აქვს ცეცხლს მაშინ, როცა სიგარეტის მოწევა გაქვს გადაწყვეტილი. თუმცა მგონი არ არის აუცილებელი, ამის მისახვედრად მაინცდამაინც მწეველი იყო.და არც განსაკუთრებული ინტუიციაა საჭირო.

მოკლედ,ერთხელ ერთ უცნაურ ადგილას მოვხვდი. ეს იყო ადგილი, სადაც აგიტაციას უწევდნენ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებას, რომ სიგარეტი ზიანის მომტანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. გასაგებია, რომ ეს ისედაც ყველამ იცის, მაგრამ ესენი გაცილებით საფუძვლიანად იყვნენ მომზადებულები. ახლა, რაში მგომარეობდა ეს საფუძვლიანობა. კედლებთან იდგა უამრავი სტენდი, რომლებზეც გაეკრათ პლაკატები. ფერადი. პლაკატები ანტირეკლამას უწევდა სიგარეტს. მაგალითისთვის, მასზე აღბეჭდილი იყო ერთ მხარეს, მწეველი ადამიანის ფილტვის მდგომარეობა და მეორე მხარეს - არამწეველის. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ჯერ საერთოდ არ მგონია ადამიანის შიგნეულზე დაკვირვება ესთეტიკური ამბავი, მწეველის ორგანიზმი კი მით უმეტეს, ჯოჯოხეთური სანახავია. განსაკუთრებით მაშინ, თუ თვითონ ხარ მწეველი. დავდიოდი სტენდებს შორის და სულ უფრო ვითრგუნებოდი, წარმოდგენა მრჩებოდა, რომ საშუალება მომცეს საკუთარ, მომაკვდავ ორგანიზმში შემეღწია გარკვეული პერიოდით, ოფლმა დამასხა, ძალიან ავღელდი, საშინლად ანერვიულებულმა დავტოვე ოთახი, გარეთ გამოვედი და როგორ გგონიათ, დასამშვიდებლად პირველ რიგში რა გავაკეთე? სიგარეტს მოვუკიდე და ღრმა ნაფაზი დავარტყი... სულზე მომისწრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფიქრებში გართულმა, მოულოდნელად ის საყურიან მუსიკოსს მოვკარი თვალი, რომელსაც რამდენიმე საათის წინ ტრანშესთან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში 20 თეთრით გავუწიე დახმარება. ამჯერად კინოს სახლის წინ იდგა კედელს მიყრდნობილი. გატიალებული მთვრალი იყო, მაგრამ მთლად უნარნართმეულიც არ ეთქმოდა, დაკვრა შეეძლო, ყოველ შემთხვევაში. და არც თუ ისე ცუდად უკრავდა. მოსასვენებელ სკამზე ჩამოვჯექი და გადავწყვიტე მისთვის მომესმინა.

აქამდე რამდენიმე მუსიკოსთან მქონია ურთიერთობა. მათი უმეტესობა იმის დამტკიცებას ცდილობდა ჩემთვის, რომ მსმენელისთვის არ უკრავდა. რატომ? იმიტომ, რომ არ ჰყავდა.

მუსიკის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მათთან ურთიერთობამ ერთი რამე მაინც მასწავლა: თურმე აბსოლუტურად შესაძლებელია, მუსიკას არ ქმნიდე მსმენელისთვის, განსაკუთრებით ადვილი კი ეს მაშინაა, თუ ის საერთოდ არ გყავს. ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცეოდნენ იმ შემთხვევაში, რომ ჰყოლოდათ, მაგრამ რამდენად დამაჯერებელიც არ უნდა იყოს ეს ამბავი, მაინც ნათელია - ბევრ მათგანს უჩნდება სურვილი თუ არა, საჭიროება მაინც, რომ მოუსმინონ. იმაზე, რომ ამ ქვეყანაში პროფესიით თავის რჩენის შანსი მცირეა, ვთვლი, რომ ჩემ მიერ გათხრილი მინიმუმ 60 სანტიმეტრის სიღრმის ტრანშეები განსაკუთრებით მტკივნეულად მეტყველებს. გამონაკლისს არც მუსიკოსის პროფესია წარმოადგენს, და მაშინ აქედანვე შევთანხმდეთ იმაზე, რომ გამორჩეულად მძიმე შემთხვევას მსმენელის გარეშე დარჩენილთა კატეგორია შეიძლება შეადგენდეს. ამიტომ მათ ისღა დარჩენიათ, ქუჩაში გამოვიდნენ დასაკრავად. გამოდიან კიდეც.შენ კი ხშირად იძულებული ხარ ხურდა ფულით დაეხმარო მათ, რადგან ზოგიერთი მათგანი გზაზე გეღობება და წარმოდგენას გიტოვებს, თითქოს იმ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფული დაგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო ვალად, რომელზეც გავლით მოხვდი. ვერ ვიტან ასეთ მოძალადეებს.

ერთ მუსიკოსს ვიცნობდი, მეუბნებოდა, ხურდების ჩხრიალს მოვკრავ თუ არა ყურს, არა აქვს მნიშვნელობა სად ვარ და რა ვითარებაში, ხელი გიტარისკენ ინსტინქტურად გამირბისო. მაგრამ ეს უკვე სიმთვრალის იმ ფაზაში იმყოფებოდა, რომლისთვისაც სულ ერთია დაეხმარებიან თუ არა, ადამიანებიც სულერთია და საერთოდ, რომ მიხვიდე და ჰკითხო, ჩვენ შორის რომელი ხარ შენო, შეიძლება ვერც გაგცეს სწორი პასუხი.

უცებ მოულოდნელი რაღაც მოხდა. დავინახე, აქვე მდებარე რესტორნიდან გამოსულმა ორმა ლიპიანმა მოქალაქემ როგორ შეანელაფეხი მუსიკოსია წინ.ესენიც არანაკლებ იყვნენ მთვრალები. მიუბრუნდნენ მუსიკოსს და ლაპარაკი დაუწყეს.მათი საუბარი არ მესმოდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ თანდათან იძაბებოდა მდგომარეობა. ერთი, რაც გავიგონე, ლიპიანების მხრიდან ნათქვამი „პიდარასტი" იყო. მერე უცებ მოხდა ყველაფერი: მუსიკოსმა ხელი წოუქნია, მაგრამ დარტყმა იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ მის წინ მდგომი ლიპიანი არც გატოკებულა ადგილიდან, სამაგიეროდ თვითონ მოსდო ყბაში. მუსიკოსი დაეცა და წიხლებით შედგნენ.

ბევრი არ მიფიქრია, ადგილიდან წამოვვარდი, ჩვენ შორის მანძილი სირბილით დავფარე და ერთ მათგანს ფეხებით შევაფრინდი. გადატრიალდა და კედელს შეენარცხა ზურგით. მეორემ მუშტი გამომიქანა, მაგრამ მომზადებული დავხვდი, თავი დავხარე და ისე ოსტატურად ავიცილე, ფეხებს ვერ მომჭამდა ჟან კლოდ ვანდამი! სამაგიეროდ თვითონ ამოვიღე იდეალურად მისი შეწითლებული სიფათი მიზანში და მთელი ძალით ვლეწე. უგონოდ დავარდა ძირს. მიმოვიხედე და მივხვდი, რომ ამ შემთხვევას ზედმეტად მიექცია გამვლელების ყურადღება. მუსიკოსი სასწრაფოდ წამოვაყენე ფეხზე, გიტარაჩიხოლში ჩავადებინე და სასწრაფოდ დავტოვეთ იქაურობა.

-მადლობა - ის მკლავზე მებღაუჭებოდა - საყურე რო მეკეთა ეგ არ დაევასათ... ჩემი ბრალი...

-ვიცი - შევაწყვეტინე და „სელპაკით" სახიდან სისხლი მოვწმინდე - შორს ცხოვრობ? უკვე დაღამდა და ჯობია სახლში წახვიდე.

აღმოჩნდა, რომ სულაც არ ცხოვრობდა შორს, მაგრამ ჩემი რჩევის მიუხედავად, არ აპირებდა სახლში წასვლას. ჯიბიდან ხურდები ამოყარა, ხელისგულზე დაიხვავა და თვლას შეუდგა.ახლომდებარე მარკეტში ორი ბოთლი „არგო" იყიდა, საცხობში ფენოვანი ხაჭაპური და რვიანების ხაზვითმოჰადგა ისევ. გამომიწოდა. უარი არ მითქვამს. მთელი დღის უჭმელი ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ ხაჭაპური ცარიელი ცომი იყო,უხმოდ და გემრიელად ვჭამდი. მუსიკოსმაც ჩაკბიჩა პირველი ლუკმა, მაგრამ მოულოდნელად შეეცვალა გამომეტყველება და ჯიბისკენ წაიღო ხელი, ორმოცდაათთეთრიანი ამოარჩია და ისევ რვიანების ხაზვითმიადგა საცხობს:

-ცოტა ყველიც აგვიწონეთ, თუ შეიძლება...

ძლივს გამოვატყავე გამყიდველს.

კიბის საფეხურზე ჩამოვჯექით.

-მარიანი დღეები მიდგას, ძმაო. არ ვიცი, სავსე მთვარიანობას დავაბრალებდი, დანაშაულის რიცხვი საგრძნობლად მატულობს ამ დროსო, ჩემი ასტროლოგიით გატაცებული გელფრენდი მიბურღავდა ტვინს, მარა ცაზე ავიხედე წელან და ახალივით გამოიყურება - ენას ძლივს იბრუნებდა პირში, თვალებს ქაჩავდა, საფეხურზე მჯდომი იქით-აქეთ ირწეოდა და დროდადრო აბოყინებდა - მოკლედ, იმისი თქმა მინდა, რომ მთვარისადმი ნდობა იმ ახვრებმა ამ საღამოს საბოლოოდ დამაკარგვინეს. ჩემ გელფრენდს კი არც აქამდე ვენდობოდი, ვიცი რომ წაკლა ნაბოზარია...

მისი ლოგიკა ძალიან მომეწონა.

-რა გქვია? -ვკითხე.

-მაქსი. შეგიძლია მაქსიმა დამიძახო. - მერე ოდნავ გადმოიხარა და ცნობისმოყვარედ მომაშტერდა თვალებში - რა მაგრად ჩხუბობდი. მე ბავშვობიდან ვერ ვქაჩავდი, პირველი დარტყმა კაი მარტო მაშინ გამომდიოდა, თუ მთელ დიხანიას ჩავდებდი მოქნეულში. მეორეს მოსაქნევად უკვე ძალა აღარ მყოფნიდა. თუ ავაცილებდი აი, მანდ მენძრეოდა, იმიტომ, რომ ვიცოდი, მომდევნო რამდენიმე წუთის განმავლობაში ძირითადად ჩემი პიზდვით იქნებოდნენ დაკავებულები. ერთი პლიუსი მაინც აქვს ჩემ სისუსტეს, იმდენად ადვილია ჩემი ცემა, რო თავში არასდროს მოსდით ჩემ წინააღმდეგ რკინა გამოიყენონ, მაგალითად დანა, ან პისტოლეტი.

-ესეიგი, ცივი იარაღით სიკვდილი არ გემუქრება - ვუთხარი.

-არანაირად. მაგრამ დიდი შანსია, ცემაში ამომხადონ სული. საერთოდ, იშვიათად ვაწყდები ამისთანა პათოლოგებს, საყურე რო აღიზიანებთ ჩემ ყურზე, ადრე უფრო ბევრი იყვნენ, მარა არი მაინც მომენტები. ძირითადად რესტორნიდან ახალგამოსული ღრუზინები არიან საშიშები, ჭკუა არ მოეკითხებათ...

ეჭვგარეშე იყო, დავმეგობრდებოდით.

### 3.

ჯიმის გაცნობა მხოლოდ ტრანშეშია შესაძლებელი, ან გზაში, რომელიც ტრანშესა და მის სახლს შორის მდებარეობს. მაქსიც ტრანშეში მდგომს გავაცანი.

მესამე დღეს დარეკა. როგორც გამიმხილა, პადზემკებში ნაგროვებ ხურდებს კოლოსალური რიცხვისთვის მიეღწია და დასალევად გვეპატიჟებოდა. მეც და ჯიმისაც.

-გააჯვას რა, ვიღაც პიდარასტების ნერვები არ მაქ. სად პოულობ მაინც იობანი ვ როტ?

მაინც დავითანხმე.

მოსაღამოვებული იყო, როცა მოსაცდელთან დავდექით და თავისუფლების მოედნისკენ მიმავალ ავტობუსს დავუწყეთ ლოდინი. დიდი დრო არ დაგვჭირვებია.

თავისუფლების მოედანზე მაქსი დაგვხვდა და რომელიღაც მიწისქვეშა ბარში გვიკრა თავი, რომელიც მისი ნაცნობებით იყო გამოტენილი. ბარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქად იყო განათებული და მუსიკაც დაბალ ხმაზე უკრავდა.

ცალკე მაგიდასთან დავსხედით.

-საერთოდ, ღმერთისაც მწამს და ეშმაკისაც - დაიწყო მუსიკოსმა - ამიტომ გარკვეულ საკითხებს სიფრთხილით ვეკიდები. მაგალითად, ისეთ ამბავს, როგორიცაა სამოთხეში მოხვედრა. მე მაგრად მიყვარს ალკოჰოლი, სამოთხეში კი, მგონია, რომ ზედმეტ წესრიგში ცხოვრება მომიწევს და არავინ მომცემს უფლებას დავლიო, მითუმეტეს იმ რაოდენობით, როგორც ჩვეულებრივ ვეტანები.

ჯიმის არ გასცინებია. ჯერ კიდევ ზედმეტი სერიოზულობით უდგება მსგავს საკითხებს.

-მკრეხელობ - თქვა და აღელვების დასაფარად სიგარეტს მოუკიდა - ბიბლიაში მასე არ წერია.

-ჩემებურად მწამს. მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. ღმერთსაც აქვს იუმორის გრძნობა, იმიტომ, რომ ის ჩვენ გვაქვს. ხატად თვისად ხო შეგვქმნა ადამიანები?

ჯიმი ჩაფიქრდა. მუსიკოსმა ალბათ იგრძნო, რომ ამიშვიათიმომენტით უნდა ესარგებლა და გადაწყვიტა აზრი დაესრულებინა.

-მაგრამ არც ჯოჯოხეთში მოხვედრა მაწყობს - გაგვიმხილა - მართალია, ალკოჰოლი იქნება, მაგრამ ალბათ მხოლოდ ეშმაკისთვის. ჩემ წინ ჩამოჯდება, ფეხს ფეხზე გადაიდებს, აუტანელ სიცხეში ცივი პივით ჩაიგრილებს ყელს, მოწევს და სახეში შემომაბოლებს. მე კი ჩემი ფეხები, მარადიული ნერწყვის ყლაპვისთვის ვიქნები განწირული. მოკლედ, იდეა მაქვს.

მომლოდინე მზერით მივაჩერდით, მან კი არაყი დაასხა ჭიქებში, ხელში ჭიქა აიღო, კვლავ მოგვიბრუნდა და თქვა:

-ისევ აქ უნდა ვიყოთ. ამ დედაშეცემულ სამყაროში. ცოცხლები და საღ-სალამათები. მოვილაპარაკეთ?

ეს აზრი ძალიან მომეწონა.

-შევთანხმდით! - ვუთხარი და ერთმანეთს ჭიქა მივუჭახუნეთ. მცირე პაუზის შემდეგ ჯიმიც აგვყვა.

ვატყობდი, რომ რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო ნაკლებად ალიზიანებდა მუსიკოსის საყურე.

არაყს და ლუდს ერთმანეთში ვურევდით.

-ფანატიკური მორწმუნე მე არ ვარ. ისლამისტებში რო არიან,ეგრეც ნუ მიყურებთ - ჯიმი რაც უფრო მეტსსვამდა, მით უფრო ივსებოდა უკმაყოფილებით.

- არ გიყურებთ -ვცადე დამემშვიდებინა.

-თავებს რო იფეთქებენ - განაგრძო - რა პონტში იფეთქებენ ბლიად თავებს? ვიღაცა სირების გამო, ვიღაცა ავლანეთის პრეზიდენტის, ალი ბაბების გამო...

-ბინ ლადენის - შევუსწორე. მაქსი გაკვირვებული გვიყურებდა, მე კი მიჩვეული ვიყავი - პრეზიდენტი კი არა, ტერორისტია და ამასთან, კიდევ ერთი ახალი ამბავი მაქვს შენთვის: უკვე ტრუპია, გაასაღეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჯიმის 4 წლის განმავლობაში იშვიათად ვნახულობდი, [illegible] გამკვირვებია, რომ ბინ ლადენის სიკვდილის ამბავი გამორჩენოდა.

მუსიკოსს გავხედე, ეღიმებოდა, მაგრამ თავს იკავებდა.

-ვინ, ეგ როჟა დაბრიდეს? - გაოცებისგან სკამიდან წამოიწია. როგორც ჩანს, ვერ გარისკა მეორედ მოეხსენებინა სახელით.

-ნამდვილად!

-ვახ, ბლიად, აბა, ისევ რატო იფეთქებენ სხვები თავებს?

-იმიტომ, რომ იდეას ვერ მოუხერხეს ვერაფერი - საუბარში მუსიკოსი ჩაერთო - ვიღაცის სიკვდილი იდეის დასამარცხებლად არ კმარა.

მივხვდი, რომ ჯიმისთვის საკითხი ზედმეტად ფილოსოფიური გახდა...

ბევრი დავლიეთ.

ბარიდან უგონოდ მთვრალი გამოვედი. ჯიმის და მაქსს გამოვემშვიდობე და სახეტიალოდ დავაწექი. ქუჩები დაცარიელებულიყო. მოსასვენებელ სკამზე ჩამოვჯექი, ფეხები სიგრძეზე გავშალე, საზურგეს გადავაწექი და სიგარეტს გავუკიდე. დიკენსის რომელიღაც გმირივით ვგრძნობდი თავს, ოღონდ ზუსტად ვერ ვიხსენებდი, რომელივით. დიკენსთან მთელი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დაკავშირებული, ძირითადად ადრეული პერიოდი, ბავშვობის.

ჩემს ბავშვობაში კი ყველაფერი მახინჯი იყო, მაგრამ ბუნებრივი. ის იქ არსებობდა, შენობათა დარღვეულ კონსტრუქციებთან, მტვრიან კედლებში მოყოლილი, რომ ბეტონის ჩამოფშვნილ ფილებ: შორის გაჩხერილი სათამაშოები -კონსერვის ჟანგიანი ქილა, ასანთის დამპალი კოლოფი, სისხლიანი შპრიცები თუ სიგარეტის დანესტილი ბიჩოკები ბიჩებისთვის და ჩემი თანატოლებისთვის გადაერჩია. ბავშვური გულმოდგინებით ვუნდებოდი მუდმივად რაღაცა ახლის ძიებას და ამას თამაში დავარქვი;იმისაც,როცა კედლებზე დავძვრებოდი, გაჩერებული ქარხნებიდან ალუმინის და სპილენძის მავთულების მოსაპარად, ცეცხლმოკიდებული ასანთის ღერს პირში ვიდებდი, ან ხელნაკეთი ასაფეთქებლებით ჯიბეგამოტენილი უბნიდან უბანში გადავდიოდი;როცა ღამე, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, ჩუმად გადაპარული ჩემივე სკოლის ეზოში ქვებს ვუშენდი სადამრიგებლო კლასის ფანჯრებს, გაბმული ლაწალუწის ფონზე კი, ყველა მურისმაძიებლის სახეზე კმაყოფილების ცეცხლი კრთოდა.

სიბნელეიმუქრებოდა, სანამ დღე იყო, ან ადამიანებს ჯერ კიდევ შეეძლოთ მზის შუქზე ერთმანეთი გაერჩიათ, ისინი პურის ტომრებით, „კლეჩატნი" ჩანთებით ხელში, უკრაინული ველოსიპედებით თუ ბენზინისკანისტრებით ქუჩებს ედებოდნენ, ესალმებოდნენ, რიგში დგებოდნენ, ერთმანეთს აგინებდნენ და აფურთხებდნენ, ეხუტებოდნენ და ერთმანეთის გამო მოთქვამდნენ. საღამოს კი, როცა დაღლილ- დაქანცულები მიათრევდნენ ფეხებს თავიანთი ბნელი სოროებისკენ, რომლის ერთი ფანჯრიდანაც ლამპის ოდნავ მბჟუტავი სინათლე გამოკრთოდა და კარებთან დადარაჯებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მშიერი ბავშვები ეზოს იკლებდნენ ყვირილით: „მამა მოვიდა, დეეე!", გარეთ, ყველა ქუჩის კუთხეში კომენდანტის არაოფიციალური საათი ძალაში შედიოდა. ქუჩები, ჩიხები, ბნელი მოსახვევები, ერთმანეთთანრიგში მდგომი უამრავი გაბზარული კორპუსის შემოგარენი, ძრწოლააკანილ ქალაქს პოსტაპოკალიპტური მოჩვენებებივით ზემოდან რომ გადმოჰყურებდა, „ბაბოჩკიანი", „სპიცებიანი" და ავტომატიანი ლანდებით ივსებოდა. ისმოდა ჩურჩულის, გასროლის, ყვირილის ხმა. დაგვიანებული მგზავრები, ან საქმეს კანტიკუნტად შემორჩენილი ადამიანები, რომელთაც შემოღამებოდათ, მთავარი გზებით სიარულს თავს არიდებდნენ, უცხო ბილიკებით, სასაფლაოებით ქრიდნენ, მიცვალებულთა ახალგათხრილ სამარეებში რიგრიგობით ცვიოდნენ და ხშირად დილამდე ყურყუტებდნენ იქ...

ზუსტად არ მახსოვს როდის, ალბათ მაშინ, როცა ქუჩაში გატარებულმა კიდევ ერთმა დღემ დრამატულად ჩაიარა და კიდევ ერთ მეზობელს ფეხბურთის თამაშის დროს ფანჯარა წარმატებით ჩავულეწე, ჩემი ყურადღება დანთებულ ღუმელთან მიგდებულმა წიგნის ყდამ მიიპყრო. „დევიდ კოპერფილდს" რამდენიმე გვერდი აკლდა, ძირითადად თავში, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩემთვის რაღაც ახალს და ახლობელს ვეზიარე. ახალი გასართობი გამიჩნდა, სინამდვილისგან დროებით გაცლის საშუალება. ამის შემდეგ, ყოველ საღამოს, ცენტრში ოვალურად გახვრეტილ რვეულის ფურცელს ლამფას ვარგებდი მეტი სინათლის დასაღვრელად და წიგნების ჯადოსნურ გვერდებზე და ზღვა თავგადასავლებით აღსავსე სამყაროსკენ მიმავალიგზის გასანათებლად. ერთგვარად, ასე ვასვენებდი გონებას საკუთარი ცხოვრების მომაბეზრებელი ნაწილისგან - „ტურბოს კვევბზე", გადასაყვან „ნაკლეიკებსა" თუ „პიკნიკის" ჰეჩენიებზე დაუღალავი ფიქრისგან, „მარტო შენი დედამოვტყანისგან", ან, უფრო მოგვიანებით, იმისგან, რასაც შეიძლებოდა დარქმეოდა ჯანსაღი კრიმინალური ინერცია: 15 წლის ასაკში „ბოზობისთვის"დაჭრილი სხვაუბნელი და ძმაკაცური - „პუტიოვებთან", რომელთაგანაც სულ უფრო ნაკლებადღა თუ ხდებოდა ვინმე ქურდი.

წლები გადიოდა, ბოძებზე მავთულგადახლართული, კიბეებიდან ჩამოცვენილი ადამიანების, ქუჩებში მწყობრიდან გამოსული, მიტოვებული ტრაქტორების და ცეცხლს მიცემული უამრავი საბურავის ფონზე, მძიმედ, მაგრამ ბუნებრივად, და ერთ მშვენიერ დღეს ამ ბუნებრიობამ უმაღლეს სასწავლებელში ამომაყოფინა თავი.

მერე კი, რაც მოხდა, დიკენსის კისერზე იყოს...

-შეიძლება აქ ჩამოვჯდე?

სკამიდან კინაღამ გადმოვვარდი...

ჩემ წინ უცნობი გოგო იდგა, უცნაური ჩაცმულობით, უზარმაზარი ზურგჩანთით და თითით იმ სკამზე მანიშნებდა, რომელზეც ვიჯექი...

4.

თავს უიღბლოდ უფრო ხშირად ვთვლი, ვიდრე იღბლიანად. ჰო, ნამდვილად ასეა. ჰოდა, ზოგჯერ, ჩემგან უიღბლობის გააზრება ზედმეტად ყოვლისმომცველი ხდება. სწორად უნდა გავიგოთ ეს ამბავი, ანუ - რაღაც შეიძლება ყოვლისმომცველი იყოს, მაგრამ ზედმეტად მაინც არა.ჩემ შემთხვევაში კი ზედმეტად ეხება საქმე საკითხს, უფრო ზუსტად კი, იმდენად უიღბლო დილემას, როგორიცსაკუთარ უიღბლობაზე ფიქრი და წუხილია. საილუსტრაციოდ იმ რამდენიმე შემთხვევის გახსენებაც იკმარებს, რაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ავტობუსით ან მარშუტკით მგზავრობისას, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გადამხდენია თავს. მაგალითად, ვდგავარ  მგზავრებით გადაჭედილ ავტობუსში და სახელურზე ჩამოკიდებული ვცდილობ, ცალი ფეხისთვის მაინც მოვიპოვო დასაყრდენი. მშვიდად ვმგზავრობ, ერთი სიტყვით. უცებ დამწვრის სუნი დგება ავტობუსის მთელ სალონში და  შეწუხებული ხალხი ცხვირზე იჭერს ხელს. მძღოლი მოძრაობას აჩერებს, კარს აღებს და ხმამაღლა აცხადებს:

-ავტობუსი გაფუჭდა. დაცალეთ აქაურობა.

უკმაყოფილო ხალხი ნელა ჩამოდის ავტობუსიდან და თავში აზრადაც არ მოსდის, რომ მისი მწყობრიდან გამოსვლა ტექნიკური გაუმართაობის კი არა, ჩემი უიღბლობის ბრალია, თორემ შემოტრიალდება და მოურიდებლად გაგლეჯს შუაზე სტუდენტს, რომელიც ამ დროსდამნაშავე თვალებით ცდილობს იპოვოს უსაფრთხო ადგილი და გაერიდოს იქაურობას.

ზუსტად სამი საგნის შეტენვა დამჭირდა იმისთვის, რომ ჭკუა მესწავლა და 3 საათით ადრე გამოვცხადებულიყავი გამოცდებზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ საკუთარი უიღბლობა, რა თქმა უნდა, მაწუხებს, მაგრამ იმაზე მეტად ნამდვილად არა, რომ სხვებიც ხშირად ხდებიან მსხვერპლი ჩემი უიღბლობის. ყოველთვის, როცა ასეთი დღეები ერთმანეთს გადაებმება, უხასიათობა მიპყრობს და სახლში ვიკეტები.თავს ვირწმუნებ, რომ თითქოს ზიანის მომტანი ვარ სხვებისთვის, მაგრამ ასეთი პერიოდი დიდხანს არ მიგრძელდება. საკმარისია ერთი წიგნი წავიკითხო სახლში გამოკეტილმა, რომლის წაკითხვასაც სხვა დროს ვერაფრით ვასწრებ, და აღფრთოვანდე, რომ გული მომიბრუნდეს სამყაროზე. აი, ეს გრძნობა უკვე ბევრს ნიშნავს ჩემთვის და თავსიღბლიანად ვთვლი. ვხვდები, რომ ჩემთვის მთავარი და ერთადერთი იღბალი წიგნია.

უცებ გავიფიქრე, რომ ეს გოგო, ღამის 4 საათზე ჩემ გვერდით რომ იჯდა სკამზე, საკუთარ ზურგჩანთაზე ფეხები შემოეწყო და საზურგეზე ჩემსავით გადაწოლილი ვარსკვლავებიან ცას აჰყურებდა, წიგნი იყო, რომელიც არ ვიცოდი რამდენიგვერდისგან შედგებოდა. მთვრალი ვიყავი. მთვრალებს კი ასეთი ფიქრები მიეტევებათ... გადავწყვიტე პირველი გვერდი გადამეშალა.

სანამ შენ მოხვიდოდი, დიკენსზე ვფიქრობდი-მეთქი, ვთქვი ისე, რომ მისკენ არც გამიხედავს.

არც თვითონ გამოუხედავს ჩემკენ და, დიკენსზე საერთოდ, თუ მის რომელიმე ნაწარმოებზეო?

„დევიდ კოპერფილდზე"-მეთქი. მაგრამ მახსოვრობის პრობლემაა თუ რას დავაბრალო არ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი და, ვერაფრით ვიხსენებ წიგნში რა ხდება, მარტო ის მახსოვს, რომობოლი იყო-მეთქი.

მე ზუსტად მახსოვს, თუ გინდა მოგიყვებიო.

ახლა კი გავიხედე გვერდზე. არც კი შერხეულა. ისევ ისე აჰყურებდა ცას, მშვიდი სახით, თითქოს ზუსტად იცოდა იქ რა ხდებოდა.

სხვა დროს რომ იყოს-მეთქი?

არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიღიმა.

ოდნავ მივიჩოჩე მისკენ.

ასეა, არც პერსონაჟის სახელი მემახსოვრებოდა დიკენსს რომანისთვის რომ არ დაერქმია, შენ რა გქვია-მეთქი?

დარწმუნებული ხარ, რომ დაიმახსოვრებო?

კი, კი, მაგას დავაკვირდი, ქალების სახელებიეგრევე მამახსოვრდება, მაგალითად: ჯეინ ეარი, ანა კარენინა, მადამ ბოვარი და ვეფხისტყაოსნის ყველა ქალი პერსონაჟის სახელიც შემიძლია ჩამოგითვალო-მეთქი.

ვეფხისტყაოსნის გარდა ყველა ჩამოთვლილ ნაწარმოებს ის სათაური აქვს, რაც მათ პერსონაჟ ქალებს ჰქვიათო.

შენც ეგრე დაგიმახსოვრებ-მეთქი, წიგნის სათაურად...

გაეცინა და პირველად მოატრიალა თავი ჩემკენ. ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით.

საკის მეძახიანო.

შევათვალიერე. თაფლისფერი თვალები ჰქონდა საკის, დატყავებული თითები, ფეხზე ბათინკები ეცვა, რომელსაც ტალახი ჰქონდა მიმხმარი და გრძელი შარვლის ტოტები მუხლებამდე აეკეცა. ეტყობოდა, რომ შორიდან მოდიოდა, მაგრამ მე ის უფრო მაინტერესებდა, თუ სათ აპირებდა წასვლას. ვკითხე...

აღმოსავლეთისკენ, მაგრამ მანამდე აქ ვაპირებ გაჩერებას რამდენიმე დღითო.

მაშინ კი დავინტერესდი, საიდან მოდიხარ-მეთქი?

გრძელი ისტორიაა, 4 წელია დავდივარ, ჩემი ქვეყანა მომენატრა და მხოლოდ ამიტომ ჩამოვედი, მაგრამ დროებითო.

და ასე, მარტო დადიხარ-მეთქი?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

ჩემ მთვრალ გრძნობებზე საკის ნათქვამმა მაპროვოცირებელად იმოქმედა და გონებაში ამბის შეთხზვა დავიწყე, გოგოზე, რომელსაც მუდმივი ხეტიალის შედეგად არეკლილი სამყარო დროის ერთი მონაკვეთიდან მეორეში უნდა გადაეტანა. და ამ ანარეკლმა დამახვია ალბათ თავბრუ, რადგან მოულოდნელადვიგრძენი, ჩემთვის უცნობი სამყაროს უსასრულოდ გრძელ და ველურ ყვირილად როგორ გადანაწილდა მის თვალებში, ხმაში, თითებში, თმის თითოეულ ღერში. პირველად ვხედავდი პირამიდებს, მესმოდა მათი, უდაბნოს ქვიშისფერი შუადღეების თუ ამაზონის გაუვალი ტყეების, აცტეკების ძველი ნასახლარების, და წყალუხვი ჩანჩქერების, დიდი ტბების. ის კი ჩემ წინ იჯდა და ვითომ არაფერი, მშვიდად მიყურებდა თვალებში. აშკარა იყო, რომ არაფერი იცოდა ამის შესახებ და როგორმე უნდა გამეგებინებინა, მაგრამ თვითონ დამასწრო საუბრის გაგრძელება.

რა პროფესიის ხარო?

პირდაპირ ვუთხარი, რომ ჩემ პრაქტიკულ პროფესიას მინის თხრაერქვა და რადგან გაკვირვება შევატყვე სახეზე, ავუხსენი, რომ იქ მუშაობის დასაწყებად ფილოლოგის დიპლომის აღება გახდა საჭირო და ერთ-ორ წიგნთან ურთიერთობის გამოცდილებაც ამიტომ მქონდა.

ღიმილით მითხრა, რომ არ უნდა მენერვიულა მომავალზე, რადგან მას ვარსკვლავები განსაზღვრავდნენ.

რა-მეთქი, სკამიდან წამოვვარდი.

ვერ მიხვდა რა დამემართა და რა მოხდაო, მკითხა.

შემთხვევით შენ მაქსს ხო არ იცნობ-მეთქი?

არაო.

ღრმად ამოვისუნთქე და მსუბუქად დავეშვი სკამზე. მაქსი ჩემი მეგობარია, ვუთხარი, მუსიკოსია და ასტროლოგიის არ სჯერა, ამ ბოლო დროს კი განსაკუთრებით სავსე მთვარისადმი შეერყა რწმენა-მეთქი... ანუ ჩვენთან როგორაა საქმე, ვარსკვლავებისთვის წინასწარ ცნობილი იყო ის ამბავი, რომ ერთმანეთს შევხვდებოდით?

მთლად ეგრეც არაა, რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ხარ დაბადებულიო?

ამ კითხვაზე პასუხს ყოველთვის გავურბივარ-მეთქი.

გაეცინა, ქალწული ყოფილხარ - ერთადერთი ადამიანური ნიშანიო. ჩანთისკენ დაიხარა, მათარით წყალი ამოიღო და დალია. მერე მე გამომიწოდა. დავლიე.

საშუალება რომ მომეცეს წარსულში დაბრუნების, იმ გამოცდილებით რაც ახლა მაქვს, მაინც ფილოლოგიას ავირჩევდი სპეციალობად და ტრანშეში ჩავდგებოდი, იმიტომ, რომ ჩემთვის ერთადერთი იღბალი წიგნია-მეთქი.

მიყურებდა, ვიგრძენი, მაგრამ თავი არ მიმბრუნებია მისკენ.

სხვა თუ არაფერი, წარმოიდგინე, მე რომ ტრანშედან არ დამეწყო, არც ამ ბაღში აღმოვჩნდებოდი, ამ სკამზე, და შენც ვერ განახავდი. მაცლი შენს წაკითხვას-მეთქი? მისკენ გავიხედე. ბინდი ნელა იცრიცებოდა და დავინახე, რომ ღიმილი ეფინა სახეზე, ოდნავ შესამჩნევი და ნათელი.

რა მქვიაო? - მკითხა.

საკის გეძახიან-მეთქი, ვუპასუხე.

ჩემკენ ფრთხილად გადმოიხარა და მაკოცა...

## 5.

„დევიდ კოპერფილდი" არ მახსოვს. მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას ვუტრიალებ, რომელიც მისი წაკითხვის დროიდან მომყვება. ეს კი, როგორც უკვე ვთქვი, ბავშვობასთანაა დაკავშირებული. ერთხელ ბუკინისტებში ზუსტად იმ გამოცემას გადავეყარე, რომელიც მე მქონდა წაკითხული და გამყიდველს ნისიაზე შევუთანხმდი. წიგნი ავიღე და უნივერსიტეტის ბაღში, სკამზე ჩამოვჯექი. კაი ხანს ვუტრიალებდი, გადავშალე კიდეც, მაგრამ სიტყვაც არ წამიკითხავს. ვერ გავბედე, იმიტომ რომ ვიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძენი, ჩემი ბავშვობის შთაბეჭდილებას დიკენსზე მეტადაც კი ვენდობოდი და არ მინდოდა ის ახლით ჩამენაცვლებინა. იქნებ ემოციურად ისე ძლიერად ველარ ემოქმედა, როგორც ბავშვობაში. მჯეროდა, რომყველაფრის შენახვა შეიძლებოდა, მათ შორის ემოციისაც და მე ერთ-ერთი შთაბეჭდილების დაკონსერვება მქონდამტკიცედ გადაწყვეტილი.როცა საკიმმითხრა, შემიძლია კოპერფილდი მოგიყვეო,ჩავთვალე, რომ შემოთავაზება საფრთხის შემცველი არ იყო, რადგან მის წაკითხვას არ გულისხმობდა. მეორე დღეს გავახსენე და დავთანხმდი. როდისო? შემეკითხა. ხვალ... სანამ გამგზავრებასდააპირებ,იმაზეერთი დღით ადრე-მეთქი.ავლაბარში, პატარა სასტუმროში აილო ბინა ორი დღით.

მთელი დღე ტრანშეში გავატარე. სალამოსკენ დაღლილობა ზედმეტად მომაწვა. ფეხზე ძლივს ვიდექი. წინა ღამის უძილობის ბრალი იყო. ბრიგადირადლის განმავლობაში ჩემი გათხრილი ტრანშის სიგრძე ფურცელზე ჩავანიშნინე, ჯიმის გამოვემშვიდობე და საკის პირდაპირ სასტუმროში მივაკითხე. აბაზანაში ვარო, გამომძახა, რომ დავაკაკუნე. კარი შევალე და სავარძელში ჩავჯექი...

თვალები რომ გავახილე, სისხამიდილა იყო. სავარძელშიგვერდულად ვიყავი მიწოლილი, საკი კი ჩემ წინ, ლოგინზე იჯდა, თავისი უზარმაზარი ზურგჩანთა ფეხებთან დაედო და გალიმებული მომჩერებოდა.

ადგილიდან წამოვხტი, დილა მშვიდობისა-მეთქი, ვუთხარი და გამოსაფხიზლებლად ოთახში წინ და უკან სიარულს მოვყევი. დილა მშვიდობისა, პირზე წყალი შეისხი და გავედითო.

არ მიყვარს, როცა მძინარეს მიყურებენ! იქნებ ვხვრინავდი კიდეც? რას გაიგებ...

8 საათზე ქალაქიდან გამსვლელ მთავარ გზაზე ვიდექით. საკის წინ ხელი ჰქონდა გაშვერილი და ჩვენთვის საჭირო მიმართულებით მიმავალი ავტომანქანების გაჩერებას ცდილობდა. შენ ხელს მიშლით. რა-მეთქი? შენ რო დგახარ არ მიჩერებენ, ცოტა შორს დადექიო. ავტოსტოპით სიარულის არანაირი გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ ამ ამბავშიც მალე გავერკვიე. მივეფარე თუ არა თვალს, საკის რომელიღაცა მარკის წითელმა მანქანამ გაუჩერა. მანქანებში საერთოდ ვერ ვერკვევი და მხოლოდ ფერებით ვცნობ, ამ ბოლო დროს კი, როგორც დავადგინე, თურმე ფერმა შეიძლება საავტომობილო მარკის არასწორი დეფინიცია გამოიწვიოს. მაგალითად, მანამდე ყველა წითელი მანქანა ტოიოტა მეგონა, შავი - ბმვ და ასე შემდეგ. რატომღაც, ბავშვობიდან ასე მქონდა გონებაში ღრმად ჩაბეჭდილი, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ჩემი მეთოდი სანდო არ იყო.ამიტომ, როცა სამალავიდან გამოვედი, სანამ ჩავსხდებოდით,მოვასწარი და საკის ვკითხე, რა მანქანაა-მეთქი. რაღაცა უცხო მარკა მითხრა, ჯერ არ მსმენოდა, და ველარ დავიმახსოვრე. სამაგიეროდ მივხვდი, რატომ მთხოვა საკიმ მისგან შორს დავმდგარიყავი. იმიტომ, რომ მძღოლები გოგოების ხათრით აჩერებენ გზებზე მანქანებს. თან მარტო იმიტომ კი არა, რომ პატივისცემას გამოხატავენ. იმიტომაც, რომ მათ დანახვაზე სირებიუბრიქინდებათ.

მძღოლი ახალგაზრდა ტიპი იყო, ჩემი მოულოდნელი გამოჩენა დიდად არ გახარებია, მაგრამ ამაზე არ ვდარდობდი.

2 საათში მივაღწიეთ დანიშნულების ადგილს. სამი მანქანის გამოცვლა დაგვჭირდა. მეორე თეთრი ფერის იყო, მესამე კი ლურჯი...

საკიმ მითხრა, რომ აქედან ფეხით უნდა გვევლო, თან რუკა ჰქონდა გაშლილი და დროდადრო დაჰყურებდა. მიმართულება დააზუსტა და გზას გავუდექით.

თავდაპირველად ქვაღორღიან გზაზე მივდიოდით. როგორც კი დასახლებულ ადგილებს გავცდით, აღმართმა მოიმატა. ზურგჩანთას მე ავიკიდებ-მეთქი, შევთავაზე. იყოს, მიჩვეული ვარო. არც ჩავციებივარ. დაიღლება და მეტყვის-მეთქი. ბილიკი, რომელსაც მივყვებოდით, დროდადრო გვეკარგებოდა, მაგრამ ვახერხებდით პოვნას. რანაირიადგილები ალარგავიარეთ - დაბურული ტყეები, ტრიალი მინდვრები თუ ეკალ-ბარდებით მოფენილი ველები,ნაკაწრებიდან სისხლი გვდიოდა, მაგრამ საკის არცერთხელ არ დაუწუწუნია. თავდაჯერებული მიიწევდა წინ. ვუყურებდი და თავში აზრად არ მომსვლია მეკითხა, სადმივდიოდით.იმ მომენტში მთავარი მხოლოდის იყო, რომ ერთად ვიყავით და შემეძლო აღმართში ასვლისას მივშველებოდი, ან მდინარეზე გადასვლისას ხელი გამეწოდებინა მისთვის. თუმცა,საკის ეს მაინცდამაინც არსჭირდებოდა. დიდი ხნის სიარულის შემდეგ, საკი შეჩერდა. მეც შევანელე ნაბიჯები. მივხვდი, რაღაცას ყურს უგდებდა, სმენა დავძაბე და წყლის ვარდნის ხმა გავიგონე. მგონი მოვედითო...

ლამაზი ჩანჩქერი იყო. დაახლოებით ოცდაათი მეტრის სიმაღლიდან ეცემოდა. ირგვლივ ერთიანადხავსი მოსდებოდა და ისეთ განცდას გიტოვებდა,თითქოს მწვანე იყო გარშემო ყველაფერი, წყალიც კი.

ჩენჩქერს შევუდექი და ცოტა გავგრილდი. სანამ მოსალამოვდა, ხის პატარა ტოტები შევაგროვე და შედარებით მშრალ ადგილას ცეცხლი დავანთე. საკი კარავს შლიდა, ჩემი დახმარება არ დასჭირვებია, ხუთ წუთში მორჩა საქმეს. მერე პარალონი ნამოიღო, ცეცხლის პირას დააფინა და დაჯდა. ვჭამეთ და ამასობაში მოსალამოვდაკიდეც.

მოგწონს აქაურობაო?მკითხა.

კი-მეთქი და გავიხედ-გამოვიხედე. ჩანჩქერის ხმაური სმენას სასიამოვნოდ სწვდებოდა, ფოთლები ფრთხილად შრიალებდნენ და თითქოს რაღაცის ერიდებოდათ. ჩემ გვერდით საკი იჯდა, ცეცხლის პირას, სახეზე ალი დასთამაშებდა და თვალებში სამყაროს ანარეკლს ინახავდა, ყველაზე სრულყოფილს, რაც კი ოდესმე მინახავს.

პირველი შემთხვევაა თუ ასე სხვა დროსაც გიმოგზაურიაო?

არა,პირველი. საერთოდ, წარმოსახვა იმდენად მაქვს განვითარებული, რომ ნანახს აჭარბებს და იმედი ყოველთვის მიცრუვდება, ამიტომ, მოგზაურობებს თავს ვარიდებ-მეთქი.

მეოცნებე ყოფილხარო და გაიღიმა. საშინელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი, დავეთანხმე. წარმოიდგინე, მხატვრული სინამდვილე უფრო მეტად მოქმედებს ჩემზე, ვიდრე თვითონ სინამდვილე. მაგალითად, როცა წიგნის გმირი კვდება, ნებისმიერი რეალური ადამიანის სიკვდილზე მეტად განვიცდი-მეთქი.

შენ თუ დაგიწერია რამეო?

ვუთხარი, რომ არასდროს, და ამხელა პასუხისმგებლობას თავზე ვერც ვერასდროსავიღებდი.

მგონია, რომ წერა კარგად გამოგივაო, საიდან დაასკვნა არ ვიცი. მე კარგად მარტო კითხვა გამომდის, მაგრამ არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ბოლომდე კარგად-მეთქი, ვუთხარი და მისკენ ოდნავ მივიწიე.

ყოველ შემთხვევაში, შენსავით განათლებული მიწის მთხრელი არამგონია ბევრი იყოს, მე უბრალოდ გამიმართლაო.

ტაქსით რომ გემგზავრა ოდესმე, იქნებ უფრო გაგმართლებოდა-მეთქი. გაიცინა.

უცებუხსოვარმა გრძნობამ შემომიტია თითქოს. თითქოს ადრეც ვმსხდარვართ ასე, გვერდიგვერდ, და ერთმანეთს ხმადაბლა ვესაუბრებოდით. აქ, ამ გაუვალ ტყეში, სადაც ნიავი შემოპარულივითმოძრაობდა ხეებს შორის და ჩანჩქერს ანაპნილი წვეთებით დროდადრო შუბლს გვიგრილებდა, თითქოს პირველად არ ვიყავი. მთელი ცხოვრება ამ უსაშველოდ გრძელ წამში რომ ჩატეულიყო, ალბათ ბედნიერსგამხდიდა-მეთქი, გავიფიქრე და მისკენ გადავიხარე, მთელი სხეულით დამნებდა... დიდხანს განვიცდიდიზღვებს, მთებს, ტბებს, უდაბნოებს, ქარიშხლებს, წვიმებს, მთელ იმ სამყაროს, რომელთანაც ოდესმე ჰქონია კავშირიდა ვგრძნობდი, მთელი ჩემი პლანეტა როგორ მიყვარდა, ეს უსაშველოდ გადაწელილი კონტინენტები მასზე და ოკეანეები მათ შორის. ჩემი ბურთივით მრგვალი დედამიწა მიყვარდა...

დილას, როცა ოქროსფერი სხივები დაეცა კარავს, გამომეღვიძა და გვერდზე გადავბრუნდი. გაღვიძებოდა და თვალებში მიყურებდა.

კოპერფილდიო?

სხვა დროს იყოს-მეთქი, რატომღაც მაინც ვუთხარი, ისე, რომ თვითონაც არ მჯეროდაჩემი სიტყვების.

განშორებისას სიცხისგან დახეთქილ წითელ მიწაზე ვისხედით ზურგჩანთას მიყრდნობილები, ცენტრალური გზის პირას, და ცხელი ქარი თვალებში ქვიშას გვაყრიდა. მზე აჭერდა ძლიერად და ჩემს მკერდზე ედო თავი. იქნებ გადაიფიქრო და დარჩემეთქი, ვუთხარი. თავი ამოაბრუნა დაისე ამომხედა. მისი მხრიდან, ახლა ალბათ უკულმავჩანდი და მომეჩვენა, რომ ამის გამო გაკვირვება აღებეჭდა სახეზე. დავიხარე და ვაკოცე. კოცნით არ უპასუხია. ჩუმად იყო. მივხვდი, ამაზე მეტად არ უნდა ჩავძიებოდი, რადგან ლოგიკურად შეეძლო ჩემთვისაც ეკითხა, თუ რატომ არ მივყვებოდი მეთვითონ, ურთიერთობაში კი, ყველაფერი ლოგიკური მასაც ისევე აშინებდა, როგორც მე. არც გამიმეორებია ჩემი სათქმელი. ჩუმად ვიყავით და ერთხანს მისი თმებიდან ადენილი ოფლის და მტვრის სუნს ვისუნთქავდი. ზუსტად ვიცოდი, როგორი სუნიც ასდიოდა იმ წუთას სამყაროს.

მერე ისე წამოდგა, ჩემთვის სიტყვა არ უთქვამს, ზურგჩანთა მოიკიდა, გზის განაპირას დადგა, გამვლელი მანქანა გააჩერა, ჩაჯდა და წავიდა.

შავი მანქანა იყო...

## 6.

შენი ოთახი საკუთარ თავთან მარტო დარჩენის შესაძლებლობაა.ამიტომ, მას ზოგჯერ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. არავისთან არასდროს ათანხმებ, რა ფერის ფარდა ჩამოკიდო ფანჯარაზე, ან ბოლომდე უნდა გადაწიო თუ სანახევროდ. ეს შენი ოთახისუპირატესობაა. ხშირად კი, როცა მარტო იღვიძებ და იმ ისტერიკულ სიჩუმეს უგდებ ყურს, რომელსაც საათის ტიკტიკი ინტერვალებად შლის, მაშინ არაფერი გინდა. არაფერი, არაფრის გარდა.

თუმცა როცა გირეკავენ, ზარს მაინც უნდა უპასუხო...

-ხო...

-ქვემოთ გელოდები.ჩამო...

-კაი.

ჩავიცვი და ვიდრე კარში გავიდოდი, წიგნების თაროსკენ გამექცა თვალი.

ჯიმი ქვევით დამხვდა და ნახევარ საათში ტრანშემი ვიდექით.უგულოდ ვთხრიდი. მართალია, არც აქამდე ჩამიქსოვია არასდროს გრძნობები, მაგრამ მოთმინება მაინც მყოფნიდა, მთელი დღე გამეძლო. ახლა კი ველარ ვძლებდი. უახლოეს მარკეტში არაყი ვიყიდე და ჯიმის დალევა შევთავაზე.

-დილიდან? რა გჭირს...

ბოთლს თავი მოვხსენი და მოვიყუდე.

-მაქსი უნდა ვნახო - ვუთხარი ჯიმის.

ამომხედა.

-რაღაცა ხდება და არ მეუბნები?

-არა, უბრალოდ ვერ ვარ დღეს ჯანზე. არაფერი..

ტელეფონი ავიღე და მაქსს დავურეკე. თქვენთან მოვდიოდი, ხუთ წუთში მანდ ვიქნებიო. გზას მაქსთან ერთად გავუყევი. ჯიმი დარჩა. მშვენიერი გამოსავლისთვის მიგიგნიაო, გადაწყვეტილება მოიწონა მაქსმა, როცა ბოთლიდან არაყი გადაკრა. ტრანშე სად გაგექცევა და საერთოდ, ხომ არ გინდა საბოლოოდ ამოგიყვანო მანდედან? გიტარაზე დაკვრას გასწავლი და ერთად ვუბეროთ, არაყის ფული ყოველთვის გვექნებაო. გამეცინა. სმენა საერთოდ არ მაქვს-მეთქი. ოჰ, ისე მეუბნები, თითქოს ვინმე ვოკალურ მონაცემებს გიმოწმებდეს პადზემკაშიო. ეგ არა, მაგრამ დღეს მაგრად მინდა დავთვრეთ-მეთქი. რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს.

ბარში ჩასვლამდე უკვე საკმაოდ ნასვამი ვიყავი და იქ კიდევ დავამატეთ.

-ეს დღეები სად დაიკარგე? - მკითხა და სიგარეტს მოუკიდა.

-ერთი გოგო იყო, მოგზაური... - ვუთხარი, მაგრამ აღარ გავაგრძელე.

-ჰაჰა...- მაქსმა ხმამაღლა გაიცინა - ექსტრემალი, არა?

გაკვირვებულმა შევხედე. ვერ მივხვდი რა აცინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ხო. შეიძლება ეგრეც ითქვას.

-ასეც ვიცოდი. შენნაირ მდგომარეობაში მყოფ ბიჭთან რომ გადაწყვიტოს ყოფნა, გოგო შეუხედავი უნდა იყოს, იმედგადაწურული, ან ექსტრემალი. შეხედე შენს თავს - და მაისურზე მანიშნა, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ტრანშეს მტვერი. ჩამოფერთხვა ვცადე და მერე მეც სიცილი ამიტყდა.

-თაან რომ მოვიხდომო, ვერც მოვატყუებ, ტრანშე ტანსაცმელზე მახატია.

-ზუსტად! - მაქსი იცინოდა - მერე ახლა სად არის ეგ შენი ექსტრემალი?

ხელი ჩავიქნიე.

-წავიდა. რიგითი გზაზე შემხვედრი ვიყავი. თავისი გზა ჰქონდა.

მაქსსა და ჩემ შორის სიგარეტის ბოლი დაგროვდა და ხელი გაიქნია, რომ უკეთ დაგვენახა ერთმანეთი. გაკვირვებული მიყურებდა.

-იმაზე თუ გიფიქრია, რომ ამდენ ფილოსოფიას ჯობდა ამდგარიყავი და უბრალოდ გაჰყოლოდი?

ჩავფიქრდი, მაგრამ დიდი ხნით არა.

-დავლიოთ - ვთქვი, მაგრამ მაქსმა დამასწრო.

-მაშინ ყველა მეოცნებეს გაუმარჯოს - და გადაკრა.

მეც დავლიე და მერე რაღაც გამახსენდა.

-სხვათაშორის, ასტროლოგიით იყო გატაცებული.

მაქსს მექსიკური კარტოფილი გადასცდა ყელში. წყალი დააყოლა და როგორც კი შეძლო ლაპარაკის გაგრძელება, თქვა:

-არაფრით არ უნდა ენდო, ძმაო. როგორ თქვი? წავიდაო? თავისი გზა ჰქონდაო? ხოდა შეეშვი, ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს. მაგათ ვარსკვლავების უფრო სჯერათ, ვიდრე ადამიანების. ყველაზე საშიში მაინც ისაა, რო თუ შენი დარწმუნებაც მოახერხეს, მერე მიდიი, ერთად უბერავთ, სინქორნში...

უგონოდ დავთვერი. მაქსიც, მაგრამ მე უფრო მეტად ვიყავი მთვრალი. გამომშვიდობებისას ხელი მხარზე დამადო, რაღაც უნდა გკითხო,როგორც ძმაკაცს, და არ დამიმალო იცოდეო. თავი დავუქნიე. დღეს რატომ დათვერიო? იმიტომ, რომ დიკენსი მაქვს წასაკითხი და ფხიზელზე ტრაკი არ მყოფნის-მეთქი. სახე შეეცვალა, ხო გთხოვე არ დამიმალოო,მაგრამ მე სიმართლეს ვეუბნებოდი. უბრალოდ, ამის ასახსნელად დრო არ მქონდა.

ბოთლი ავიღე და გზას გავუდექი.

ქუჩები აირივნენ, ერთმანეთში გადაიხლართნენ, შენობებმა რატომღაც თავდაყირა გადაწყვიტეს დგომა. კიბეზე თავს ძლივს ვიმაგრებდი, მაგრამ მაინც მოვახერხე ჩემს ოთახამდე მიმეღწია. კარი შევაღე და წიგნების თაროს მივუახლოვდი. „დევიდ კოპერფილდს" მივწვდი, გადმოვიღე, შუქი ავანთე და მაგიდასთან დავჯექი. წიგნი გადავშალე, ვცადე წამეკითხა, მაგრამ ერთმანეთში აზელილი ასოების გარჩევას ვერაფრით ვახერხებდი. თითქოს ასოებიც ჩემსავით მთვრალები იყვნენ, წიგნის ფურცლებიდან გასაქცევად ემზადებოდნენ და ერთმანეთზე გადარბოდნენ. მივხვდი, რომ საშველი არ იყო, მაგრამმხოლოდ ასეთი მთვრალი თუ გავრისკავდი მის გადაშლას, როცა ასოების გარჩევა და სიტყვებიდან აზრის გამოტანამიჭირდა, ფხიზელს კი, სულერთია, მაინც არ მეყოფოდა გამბედაობა მის წასაკითხად. წიგნი დავხურე,ვიგრძენი, როგორ შემომაწვა სევდა და უცებ ბავშვობის მერე პირველად ავტირდი...

ცხოვრებას ვერცერთ მეტაფორას ვერ შეუსაბამებ, ის არც დრამას ჰგავს, არც კომედიას და, ესეიგი, არც რომელიმე სადგურს. მაშინ რა აზრი აქვს ერთ ადგილას ყოფნას? ტრანშეში დგომა? ტრანშეში დგომა აზრი ვერ იქნება, მით უმეტეს, თუ იმ უნივერსიტეტიდან ოციოდ მეტრში მდებარეობს, რომელიც სულ რაღაც ორი წლის წინ დავამთავრე...

ფეხზე წამოვდექი, დიკენსს დავხედე, ხელი არ მიხლია, იქვე დავტოვე, მაგიდაზე. ბოთლიდან არაყი მოვსვი და სახლიდან გამოვედი. ქვეყნის რომელიღაცადასალიერი მედგა თვალწინ, სადაც თვალუწვდენელი ველებია და მარტოსული ჩანჩქერები, მთები, ან მეწამულისფერი ჰორიზონტები, რომლებიც ხარბად ეტანებიან ჩამავალ მზის სხივებს და ბოლოს ერთ ლუკმად არ ყოფნით ეს ამოდენა სიკაშკაშე... სადღაც იქვე, პატარა კარავი დგას, ის გოგო კი, მოგზაური, დევიდ კოპერფილდზე მიყვება.

გრილოდა. ცენტრალური ქუჩის განაპირას ვიდექი და საჭირო მიმართულებით მიმავალ მანქანებს ხელს ალალბედზე ვუქნევდი. ათი წუთი გავიდა, თხუთმეტი, ოცი... მერე კი დავინახე, როგორ შეანელა ერთ-ერთმა სვლა, გაჩერდა და უკუსვლით დაიძრა ჩემკენ.ფეხებში ძალა გამომეცალა, ნაბიჯი ვერ გადავდგი. პირდაღებული მივჩერებოდი მოახლოებულ მანქანას, თვალებს არ ვუჯერებდი. წინა ფანჯრიდან მძღოლმა თავი გადმოყო და მოდიხარ თუ არაო, გადმომძახა. გამოვერკვიე. ხო, ხო-მეთქი, ვუთხარი და მისკენ წავედი. მანქანის უკანა კარი გამიღო და დავჯექი.

სად წამიყიდოდა? რაც მთავარია, აღმოსავლეთის გზას ვადექი. მართალია, ტელეფონიც არ ჰქონდა, მაგრამ მინაში რომ დამჭირვებოდა ჩაძრომა, მაინც ვიპოვიდი, მით უმეტეს, არავის ჰქონდა მიწაში ძრომის ჩემხელა გამოცდილება, ჯიმის გარდა. ჯიმის კიდევ ახლა ღრმად ეძინა. რამდენიმე საათში დავურეკავდი და გავაფრთხილებდი, რომ ჩემი კუთვნილი ხელფასიც აეღო საქმეს როცა მორჩებოდა დაისე გამოეყენებინა, როგორც მოუნდებოდა. ან მაქსიც დაეპატიჟებინა სადმე და ერთად მაგრად დაელიათ. ისე დამთვრალიყვნენ, როგორც მე ვიყავი ახლა მთვრალი...მძღოლისკენ ოდნავ გადავიხარე და თუ შეიძლება, ერთი უცნაური კითხვა მინდა დაგისვათ-მეთქი.

მკითხეო.

ეს მანქანა რა ფერისაა-მეთქი?

გაკვირვებულმა გადმომხედა, მაგრამ მიხვდა, რომ უგონოდ მთვრალი ვიყავი და-მწვანეო, მიპასუხა.

მგონი ოპელში ვისხედით...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლია სტურუა

## რა სიღრმეებს მითბობს!

ერთმანეთი როგორ უყვართ ხეებს,
არ ვიცი, ან გაზაფხულს როგორ ნებდებიან,
არც ტკივილის შესახებ ვიცი,
უყოყმანოდ კი მშობიარობენ მწვანეზე,
რომელიც მე ყვითელის და ლურჯის
შერევით გამომდის: რაღაც ხომ უნდა გავართულო,
ვიყოყმანო, ეჭვის თვალით შევხედო
თუნდაც იმას, რომ საკუთარ ტანზე ძლიერი ვარ,
რომ ამ აზრისგან მოგვრილ სევდას
ღვინოშიც ვერ ჩაეახრჩობ,
რომლის ფსკერი ქართული თიხაა
და ირეალურს არ შეირევს,
ჩაისკენ რომ გადავიხარო,
ჩინეთის ნარინჯისფერი დინასტიებისკენ?
სამსტრიქონიანი დუმილი სიმაღლეში გაიზრდება,
ჩემსას მთები უკეთებენ ხასიათს,
განსაკუთრებით, თუ უფსკრულთან ვდგავარ
და ფეხქვეშ ქვეყნის ბოლო მაქვს,
როცა დედაჩემის ლურჯკიდეებიანი ჭიქა
ისეთი ნამდვილია, დაინახავ, ხელი გაგითბება...
ხეები ეძლევიან ქარს, გაზაფხულს, უყოყმანოდ,
ჩიტების პრონონსი სუფთა ქალაქურია,
მინა - დიალექტებისკენ მიდრეკილი,
მეგონა, უფრო კარგად ვიცნობ,
სულ გვერდით არ მეწვა, დაბადებიდან,
თუ ვინმე მიყვარდა - შუაში,
შვილები როცა მეყოლა, ყაყაჩოები ამოუშვა
დასამტკიცებლად არანაკლებ დედობის?
რა სიღრმეებს მითბობს, ვიცი, თუნდაც,
ლურჯკიდეებიან თიხასთან შედარებით,
მაგრამ ჭიქა ყვირის!
ამას რა ვუყო,
ჭიქა რომ თბილია და ყვირის?



## წონასწორობა 1

შიში მატულობს:
დადებითი ხარისხი, შედარებითი, აღმატებითი,
უაღრესი, თუ არქაულობა არ გეჩოთირება.
რა შეგიძლია?
იპოვო როდინი
და დაიწყო წყლის ნაყვა?
სანამ რაღაცას ფერადს ნაყავდი,
პირიდან ცეცხლი მარტო პოპულარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოკუსი კი არ იყო,
მდუღარე ყელის გამოცანა,
მინავანი ზაფრანა, არა მარტო ყვავილი,
ყველაზე მიგნებული სიტყვა,
ყველაზე ქმედითი, თუნდაც, იგივე
შიშის წინაალმდეგ...
ამოიღე ტანიდან შენი ბიოლოგიური საათი
და წინ დაუდე! ორი სრულფასოვანი სიდიდე!
ორივეზე დამოკიდებული ხარ,
მაგრამ სანამ ზაფრანა ვენაცება, -
მინავანი ნარინჯი, უყვარხარ კაცებს,
ბავშვებს, ძაღლებს,
პირიდან ცეცხლის ფრქვევაც ფოკუსი კია,
მაგრამ მოედნები მოყავს შენთან,
ასეთ განაპირებულ ადამიანთან,
უხდება კიდეც ეს დემოკრატიული ჟესტი
შენს კამერულობას, სანამ სულ მარტო
არ დარჩები შიშის პირისპირ,
როდინს იპოვი და წყალს დანაყავ,
თორემ როდის იყო
თავს იტკიებდი წონასწორობისთვის?



## წონასწორობა 2

წონასწორობა დალაგებული ადამიანების საქმეა.
აქედან ფრთა არ ჩანს,
არც თეთრი, არც დალილავებული ამდენი ვარდნისგან...
შვილებზე გადაფარებული არ გამოგივიდა
კრუხები მშვიდი, კარგად მოზელილი ცომიდან,
ამოყავით, შენისთანები - ლიტერატურული ხარვეზებიდან:
ინცესტი, ქუსლის სისუსტე, მოკლული შვილები?
საზღვარს იქით, აქეთ - მათი მდინარე
მერე რა, რომ წითელი?
კათარზისის ფერი ვინ დაადგინა?
ან ტრაგედიის მისამართი?
გინდა ეროვნული მარშრუტით
პირდაპირ ევრიპიდეზე?
ანტრაქტები მაყურებლისაა
შიგ რომ მკვდარი ბავშვები ჩაწერო?
მელნით გადარჩენილებსაც თავისი ცა აქვთ,
ტექსტის კვანძებზე შემდგარი!
აქიდან მორიგ ჩამოვარდნამდე,
წითელი მელნით გასწორებული მშობლები
კიდევ, წითელპერანგა ბიჭის იდეას მოგაწვდიან,
სკაბრეზი ამოაცალეს,
რომ იპოვო, შეგიყვარდება!
გაბურებული თიხიდანაც შეიძლება
მისი ამოყვანა, იცი?
მაგრამ ძალიან მტკივნეულია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რემონტი გაიტანეს გარეთ.
ადამიანების ნაფცქვენები გახვეტეს
რაღა დარჩა?
ხაზგასმული იგივე:
ცეცხლი, წყალი და სპილენძის დაფდაფები!
კლოფელინის აბები ღვინოში,
წითელი ძაღლები, იკბინებიან,
ცეცხლის გაჩაღებას მოითხოვენ
არა ევროპული თავშეკავებით,
შანელის ფლაკონებში, არამედ ხანძარს,
ნარინჯისფერი კაპელების თავზე დამხობას!
ჭამონ ლოჟები, - იარუსები,
სვაროვსკები პარტერის მკერდიდან!
რენესანსული მადით,
ატონალური ნერვების შეჩხერით
სფეროების მუსიკაში!
რასაც გინდა დახატავ,
საგნების სულზეც კი მიანიშნებ,
შუქზე, რომელიც იხედება
ჩრდილის რეტუშიდან,
მოძრაობის გადმოცემა ჭირს.
ფერი ილევა, მოცულობა ვიწროვდება,
ხაზები ნერვების პარალელურ
პანიკაშივარდებიან
აი, ასეთი სპექტაკლი!
უფრო სწორედ, პოეზია...



## შორიდან არ ჩანს

ისევ ბევრ წყალს ესვამ,
ხე ამოგიეა მუცელშიო - მაგონდება
სრულიად არაპოეტური მშობლებისგან...
რომელი? ლეღვის? ისეთი ტკბილი,
რამდენი შაქარიც დამაკლდა მშიერ ბავშვობაში?
მისტიკა? დიაგნოზი?
უფრო ეს უკანასკნელი, როცა
მწითური თმის ძაფებით მატარებს მზე
და პეპელასავით არა, მაგრამ გადამწვარი ნათურასავით
ხანმოკლე დღე მაქვს,
სულ ადვილად შესაცვლელი ნორმალური ნათურით,
რომელსაც მუცელში ჯერ ბავშვები ეზრდება,
მერე სიმსივნე, მერე ვერ ამართლებს
ოჯახური ქიმია, განსხვავებით
მენდელეევის დალაგებული და უიტმენის გარეკილისგან...
მეტასტაზები რომ ხეს მიამგვანო,
უნდა გქონდეს მოცემულობა - შიზოფრენია,
ხე ამოიყვანო, სადმე კი არა, მუცელში,
მწვანე კი არა, ლურჯი,
მიწასაც ხომ აქვს თავისი ხეები,
ზომიერად ფერადი და არა ისეთი,
„რაც ლურჯია ამ ქვეყანაზე!" – შენი ხელწერა.
გინდა უყურო, როგორ კვდება?
ბოლო ლექსამდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ჯერ კაცი მიდის, მერე
მისამართი გიკვდება,
თავისი ტკბილი დოგმებიანად,
მეხსიერებაში ჩაიტოვე,
აარიდე დამტვრეულ ფრენას!
როცა სიტყვად გამოიყენებ - ნუმერაციას:
ხმა ორია: ცივი და თბილი,
როგორც ფერი. ელფერები
ერთმანეთს თხზავენ
ჰარმონიის აქეთ-იქიდან...
ნაცივრის წყალი ჭინჭრით იყურება,
მდულარე - ნევროზით,
მოკლული ბავშვები - შემთანხმებლური ხავერდით
რა სიმწარეა!
მზერების ომში სისხლი არ იღვრება
მაგრამ როცა ლექსში ორკესტრი გიზის,
ძნელია მისი ხელმძღვანელობა,
თუ რომელიმე ვიოლინოს არ უყვარხარ. .

## ასიზი ქარიან დღეში

წვიმს.
ერთადერთი ჟანგისფერი ხე დგას თვალებში,
ჰორიზონტის ცივ ლითონზე - ეკლესია,
კედლებზე - წმინდანები, სრულყოფილება სიმშვიდეა.
შიგ ძრუანტელმა თუ გაიარა,
ჯოტო...
ფერი გაუთხელდა და მინანქრის სახედარი
გასრისა ხელისგულებში?
ღმერთს, აბრეშუმისაც რომ იყოს,
ამ სიმყიფეზე ვერ შესვამ,
ჯერ უნდა ოქროს ტიხრები მოიგონო,
შარავანდედი, თავს ზევით რომ ძალა არაა,
იქ ინასკვება, ფერსაც იქ უსვამენ,
ლაჟვარდი საიდან?
უკვე მშობიარობადაწყებული თვალებიდან:
ლურჯ წმინდანებზე, მეწამულ კაცებზე?
უნაბისფერი მოსასხამიც იქვეა...
არც ამ სიტყვებში ყვავის ელესია
და ხალხმაც რა ქნას?
თვისი პატარ-პატარა ცეცხლები:
თოვლში ჩამპალი მანდარინისფერი (მეტაფორული),
სინჯარაში წვალებით გამოყვანილი (უხეშად საერო),
ჩააქრობინოს ამხელა ლაჟვარდს?
მეწამულ ჯოტოს?
ასეთივე მეწამული ტრამვაები, ზარების რეკვით,
ჩემს თვალებში გაივლიან
და შეერევიან ქარიან ქალაქს...
წვიმს...
ერთადერთი ჟანგისფერი ხე დგას თვალსაწიერზე...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გივი ალხაზიშვილი

* * *

მეგონა ჩემთან იყვნენ ისინი,
მოვიხედე და აღარ არიან,
ეს მეგობრობაც ქრება ნისლივით
და რაც შემოგვრჩა "არხალალია"!

სულ ასე იყო, ახლაც ასეა,
რაღა თქმა უნდა - არახალია,
ყოველი ღამე შხამით სავსეა
და სიტყვაც გულში დანახალია.

ჩემს მარტოობას ვმწყემსავ დროდადრო
ძმაც კი სულეთში სანახავია,
ვინც წყვდიადიდან მზე გამოადნო,
უხსოვარია, თან ახალია.

მოვა დრო, როცა ცა შემეცვლება
და ჩემთვის მიწა არ იარსებებს,
მარად მოუცლელს მარად მეცლება
და მოიცლიან ჩემთვის ასევე...

* * *

დრო აღარ გვრჩება...
აღარ... თანაზიარებისთვის.
ეს იგივეა, ყვავილი რომ
ვერ პოულობს გასაშლელ ადგილს
და გაშლამდე დაიწყებს ჭკნობას.

მე რაღა დამრჩა,
გარდა შენი სიყვარულისა?!
მარტის უდაბნოს
გაზაფხულის ცები მორწყავენ,
შენ ხომ ყოველთვის და ყველგან მელი,
სულ უმიზეზო და გულმონყალე.



* * *

გადამავიწყდა ჩემთვის ახლობელ
გოგო-ბიჭების მოძრავი კასტა,
ისინი ზოგჯერ სარფზე ნაღვლობენ
და ერთგულებენ ახლებურ აღზრდას.

რასაც ამჩნევენ ზედაპირია,
გარეშე სიღრმის, გარეშე წვდომის,
ესეც მეტაა, მეტაფირია
და შურიანი თვალების ომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შევუდგები ვინმეს დამოძლვრას,
მე ვიუცხოვე მოძლვრის წოდება,
მაფიქრებს გესლი როგორ ამოძვრა,
იმია ბაგიდან, ვინც მეცოდება.

მე ნავალ, სადაც იგი წავიდა,
გავყვები ხილვას მეტაფორიანს,
არის ცხოვრება ერთი წამითაც,
მაგრამ ის ნამიც უდაბურია!



## ჩანახატი შენთვის

რა ნაცნობი ჩქამი არი,
ისე ახლოს ჩამიარე,
მხოლოდ ვიგრძენ, შენი ჟრჟოლა,
რომ მოედო ამ იარებს.

შენ იყავ თუ შენი მსგავსი,
ვინც მე გვერდით ჩამიარა,
სულ ერთია, ორივენი
უშველიდით ჩემ იარას.
შენს თვალებში ვკითხულობდი,
- სულ ჰოს ნიშნავს, ჩემი არა.

## რა უნდა გეთქვა?!

შენ რომ შეგეძლოს ჩვენთან მოსვლა,
ან მე შენამდე რომ მოვაღწიო,
თუნდაც ისე, სიტყვაში რომ მეგულები
და ვგრძნობ შენს ყოფნას;

არ არსებობს ჩვენს შორის დრო და არც მანძილი,
არის მხოლოდ უცბად გასვლა რეალობიდან
და გახედვა წუთის ლრიჭოში,
სადაც ჩნდება ფარშევანგი -
შეწყვეტილ სიზმრის ორეულივით,
მდუმარებამ რომ გამოჩეკა
და აქედან გასასვლელს ეძებს.

უხმო სიტყვას ზოგჯერ გულსაც ამოაყოლებ
და ისე გიჭირს მისი უკან ჩაბრუნება,
როგორც თვალში ბრწყინვის დამალვა.

ღამე რომ შვა, ის დღე დამთავრდა,
თავს აფარებ მიმიკრიას და არითმიას,
დამემალე და მომინდა იმის გაგება -
რისი თქმა გსურდა?!

მაგრამ შენი ხმა ისე გაქრა,
სიტყვად ვერ იქცა
და მივხდი, ისე ახლოს იყო შეგრძნების ენა,
რომ შევუერთდით დუმილს ორივე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც შეგვეძლო უსიტყვოდ ყოფნა
და სათქმელის გულში გავლება,
ჩვენ რომ გვესმოდა და სხვას არავის;

რა ახლოსაა ორი დრო და
ორივე მხარე;
წონასწორობას ვგრძნობ, მაგრამ არ ჩანს,
მე ხმებს ვხედავ,
თქვენს მოძრაობას სმენას ვაყოლებ,
გეძახით უხმოდ,
თქვენს გამო ჩემში მინა ატირდა!

* * *

მე და მინდორი გულაღმა ვწევართ,
თაფლის სურნელი მაბრუებს მინდვრის,
ის ჩემი, მე კი მისი შემწე ვარ,
მე მას ვუდრი და იგი მე მიდრის.
ესაა ჩემი მყუდრო სახლ-კარი,
ცის სახურავი, გულში საყდარი..
ვინ მიუჩინა ჩემს მარტოობას
ულამაზესად მკვიდრი საყრდენი -
განსაცვიფრებლად მდედრი მინდორი,
ისე ღრმა, ისე სურნელოვანი -
დო რე მი ფა სოლ,
ლა ლა სი დო რე,
საუკუნეთა ფარული სუნთქვა,
გადამალული დროის სიმდორე
და ვარსკვლავები - წვრილ-წვრილ შვილებით,
მოყურადებულ ცის მონიტორით,
ჩვენს სიახლოვეს მოენატრება,
ღამის სიმშვიდე და ცხრა-ქლიტური.



* * *

კიდევ ერთხელ შევისრუტე ალი
სიყვარულის, ჩავლილის,
რა საამოა ყავის რიტუალი
განცდა მოთამაშე ჭავლივით.

ახლა ყველას სძინავს, ჯერ კიდევ ადრეა,
ისევ ყეფს ძაღლი მაჩანჩალა,
გაქცევა არაერთხელ მინატრია,
ნატვრა სინამდვილემ ჩამამწვრა.

ოჯახიც პატარა თეატრია -
უსცენო, უფულო, უფარდო,
ფიქრმა წყვდიადში შემათრია,
მე კი მინდოდა უფალთან.

ცხოვრებას ნაბიჯი უნდა შევუფარდო,
ისევ მივდიო უწყვეტელ დინებას,
მიკვირს, მავანს რომ შევუყვარდი,
ყავას ვსვამ, მწარედ მეცინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმშვიდეს ვიღაც მეცილება,
უნდა რომ გამახსენოს მე ცეცხლთან თამაში,
ამ დღეებს ისედაც ვეწირები -
ჩაფლული ვალში და დამაში.

## ელეგია

ზოგჯერ თვითონაც არ ვიცი, ვინ ვარ,
როცა საკუთარ სურვილს ვერევი,
მე სხვა ვარ, როცა გავყურებ მყინვარს
და სულ სხვა, როცა შენ გეფერები.

თანდათანობით ვშორდები ყოფას -
ცრემლისმომგვრელს და დამამცირებელს,
ამ საუკუნეს, ავსა და მყეფარს,
სისხლის წვიმები გაალცილებენ.

შენ იცვამ მთვარის ბოძებულ ქსოვილს
და მთვარის შუქში სუნთქავს წარსული, -
განათებული წარუშლელ ხსოვნით
და მწუხარებით - გზის დასასრულის.

* * *

ამ კედლის იქით, დიდ ოთახში, ლარნაკი რომ დგას,
ვერ გამიგია, ღამღამობით, მღერის თუ მოთქვამს.

აქამდე აღწევს უცნაურად დახშული ხმები,
ვარდი სურნელით მაგრძნობინებს: შენსავით ვხმები.

ოთახის ჰაერს შეუცნობელ ბგერებით დაღლილს -
კლავინდებურად ენატრება სიტყვების სახლი:

რადგან ჰაერსაც, ჰაერსაც კი სათქმელი სტანჯავს,
დაეძებს სიტყვას - მარად უთქმელს, არსად რომ არ ჩანს.

ძველი ლარნაკის გახელილი წყლიანი თვალი,
ალბათ ჩემსავით ალსავსეა უსიტყვო მთვარით.

ჩემი ფესვებით ვიწოვ ღამეს და ძალას ვიკრებ,
მაგრამ ეს ღამე ვარსკვლავების ყვავილებს მიკრეფს.

ვეხმიანები კედლის იქით ჩაკეტილ სივრცეს,
რომ უსახლკარო ბგერებს სიტყვა სახლივით მიეცე.

* * *

იყო საღამო ჩაელილთა მსგავსი,
მზის სუნი ჰქონდა ბალახს მოცელილს,
თითქოსდა ბინდის უვრცესი გარსი
სხვა საღამოთა იყო მომცველი.

იმ შეღამების ნაცნობი ხმები
იმეორებდნენ ძახილს უძველესს,
ვეიხმობდნენ ჩვენი ნასული ძმები
ჩვენ, ჯერჯერობით გარდაუცვლელებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთო, საღამო წყნარია ისე
და ცის კიდური ისე გახამდა,
რომ ყველა დროის სიჩუმეს ვისმენ,
თითქოს ყველა დღე ერთად დაღამდა.

## მესამე ფურცელი

მე მახსოვს შენი თბილი მკლავები
და იმ მკლავებში როგორ გავები
სულ უნებლიეთ, ახლაც ვიგონებ
და შევექცევი როგორც სალაფავს
ჩემივე წარსულს სადღაც გაფრენილს,
რადგან ესაა ჩემი ალაფი,
სხვა აღარ დამრჩა აღარაფერი.

...და ამ ფუჭ სიტყვებს, ვით ბურბუშელას,
დროდადრო მაინც ეაცლი შალაშინს,
ბედნიერია, ვინც თავს უშველა
და ფიქრში - ბებერ მაწანწალაში
ისევ ილვიძებს ძველი სურვილი.

მე მახსოვს შენი თბილი მკლავები
და იმ მკლავებში როგორ გავები...
მახსოვს, გავები იგივეები
და სხვანაირიც მახსოვს, გავები...

და კიდევ მზერა ორაზროვანი -
აღსავსე ნდომით და იგავებით,
წამლერებული მახსოვს ხმოვანი,
მე იმ ხმოვანში ისევ გავები...



## შიშის გამჟღავნება

როცა მოისმის შაშვის გალობა,
ყველა ფოთოლი უთრთის ალუბალს
და გამთენიის დიად შესავალს
ფანჯრებთან მოაქვთ ლურჯი სიგრილე;

მეც, ახლა თითქოს მთელი მესა ვარ
და იმდაგვარი ხმები მავსებენ,
რომ ვეღარ ვუძლებ დაუკვნესავად:

შენ გაანათლე იგი უფალო,
ვინც ახლა სოფელს გამოესალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ. ჰ. ლორენსი

# ღიმილი

*ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა*



გადანყვიტა, მთელი ღამე არ დაეძინა, ნიშნად თავის დასჯისა. დეპეშა ორიოდ სიტყვით იტყობინებოდა: "ოფელიას მდგომარეობა კრიტიკულია". გრძნობდა, რომ ამგვარ ვითარებაში მატარებლის ვაგონში დაძინება ქარაფშუტობის ტოლფასი იქნებოდა. ასე რომ, იჯდა პირველი კლასის კუპეში და საფრანგეთის თავზე ღამეც ჩამონვა.

რა თქმა უნდა, ოფელიას სასთუმალთან უნდა გაეთია, მაგრამ ოფელიამ ის არ ინდომა, ამიტომაც იჯდა მატარებელში.

სულის სიღრმეში შავსა და მძიმე რალაცას დაესადგურებინა, დარდითა და ნაღველით სავსე კიბოს რომ ჰგავდა და მის სასიცოცხლო ორგანოებს ემუქრებოდა. ცხოვრებას მუდამ სერიოზულად უყურებდა. ახლა, სერიოზულობით ზედმეტადაც აღესილიყო. ნამზეური, ლამაზი პირსახითა და ხშირი, მუქად შეჭმუხნული წარბებით ჯვარცმულ მაცხოვარს მიაგავდა.

მატარებლის ღამე ჯოჯოხეთად ექცა. რეალური არაფერი იყო: მის მოპირდაპირედ მჯდარი ორი ბებერი ინგლისელი ქალბატონი დიდი ხნის წინ მიიცვალა, ალბათ მასზე გაცილებით ადრეც, რადგან აშკარად ჩანდა, რომ თვითონ უკვე აღარ იყო ამქვეყნად.

საზღვრისპირა მთებს ნაცრისფერი განთიადი ნელა შემოეპარა და კაციც მათ უჩინარი თვალებით უმზერდა. მაგრამ გონებაში გაუთავებლად იმეორებდა:

*"და როცა მქრქალად და სევდიანად ირიჟრაჟა,*

*და წამსვე შხაპუნა წვიმამაც აავრილა, მანაც დახუჭა მშვიდად თვალები*

*მისთვის სხვანაირი დილა გათენდა".*

ზერივით უემოციო, ნაწამებ სახეზე იმ სიძულვილის ნიშანწყალიც არ აჩნდა, რასაც ამ ყალბი პათოსის გამო განიცდიდა და გონებაში განსჯიდა კიდეც.

იტალიაში იყო. ქვეყნის ხედებს მატარებლის ფანჯრიდან ოდნავ ზიზღშეპარული გაჰყურებდა. ძლიერი გრძნობის განცდის ილაჯი გასწყვეტოდა. ზეთისხილის ხეებისა და ზღვის დანახვა მაინცდამაინც არ ექაშნიკა. ყველაფერს რომანტიკული სიყალბის ბეჭედი აჩნდა.

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა "პურიტანელ დედათა" სავანეს მიაღწია, სადაც ოფელიამ ნავსაყუდელი ჰპოვა. წინამძღერის ოთახში წაიყვანეს, სასაბლეში. მონაზონი წამოდგა და თავი მდუმარედ დაუკრა, კაცს ქედმაღლურად უმზერდა. მერე ფრანგულად უთხრა:

"მიჭირს თქმა, ამ დილით გარდაიცვალა".

გახევებული იდგა. ზერივით ლამაზი, გამოკვეთილ ნაკვთებიანი სახით სიცარიელეს მიშტერებოდა.

მონასტრის წინამძღვარმა თეთრი, მშვენიერი ხელი მკლავზე წაჰკიდა და მისკენ დახრილი სახეში ჩააცქერდა.

"გამაგრდით", რბილად თქვა ქალმა. "მხნეობას ნუ დაკარგავთ".

კაცი უკან გადგა. მუდამ ეშინოდა, როცა ქალის სიახლოვეს გრძნობდა. ფარფარა ქვედატნით შემოსილი წინამძღვარი მეტად ქალური ჩანდა.

"შევეცდები!" მიუგო ინგლისურად. "შეიძლება ვნახო?"

წინამძღვარმა ზარი დარეკა და ახალგაზრდა მონაზონი შემოვიდა. საკმაოდ ფერმკრთალი გახლდათ, თუმცა ბავშვივით სუფთა, გულუბრყვილო და მოუსვენარი თვალები ჰქონდა. უფროსმა მონაზონმა კაცის სახელი ჩაიბუტბუტა, ახალგაზრდა ქალმაც თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი მოკრძალებით, ოდნავ დაუკრა. მაგრამ მეთიუმ ხელი ისე გაიშვირა, თითქოს მოთმინების ფიალა ავსებოდა. ახალგაზრდა მონაზონმა თეთრი ხელები გაშალა და მორცხვად კაცის ხელისგულში შეაცურა, უსიცოცხლო, მძინარე ბელურასავით და მელანქოლიის ჯოჯოხეთით გათანგულმა კაცმაც გაიფიქრა: "რა მშვენიერი ხელები აქვს!"

ლამაზ, მაგრამ ცივ დერეფანს გაუყვნენ და კარზე დააკაკუნეს. სულში ჩაგუბებული უძირო დარდის მიუხედავად, წინ, ნაზად, ფარფატა და გამალებით მიმავალი მონაზვნის ფართო ქვედატანის მიმართ, მეთიუ გულგრილი მაინც არ დარჩა.

როცა ქორედიანი, საუცხოო ოთახის კარი შეაღეს და კაცმა თეთრი საწოლის გარშემო მოციმციმე სანთლები იხილა, ძალიან შეშინდა. სანთლების გვერდით შავგვრემანი და უშნო პირსახის, თეთრლეჩაქიანი მონაზონი იჯდა. მათ დანახვაზე "კურთხევანიდან" თავი აიღო. მერე წამოდგა. ენერგიული ქალი ჩანდა, თავი მოწიწებით დაუხარა და მეთიუს მისი მსუქანი, შავი ხელები თვალში მოხვდა, მუქი ლურჯი აბრეშუმის შესამოსლის გულისპირთან რომ მიეტანა და შავ კრიალოსანს მარცვლიდა.

სამივე მონაზონი სასთუმალთან მდუმარედ იდგა, თუმცა შავი აბრეშუმის ფართო ქვედატანი მათ ქალურობას ვერ მალავდა. წინამძღვარი დაიხარა და მიცვალებულს სახიდან თეთრი ბატისტის სუდარა დიდი სიფაქიზით გადახადა.

ცოლის უსიცოცხლო, ლამაზი სახის ხილვისას, მეთიუს წამსვე, სულის სიღრმიდან სიცილის მსგავსი რამ აღმოხდა. კაცმა რაღაც წაიბუზღუნა და სახეზე უჩვეულო ღიმილი მოეფინა. მოლიცლიცე სანთლების შუქზე, საშობაოდ მორთულ ნაძვის ხესავით თბილად და სწრაფად რომ ციალებდნენ, ლეჩაქებით თავშებურული სამივე მონაზონი კაცს ღრმა თანაგრძნობით სავსე თვალებს ქვეშ-ქვეშად არ აშორებდა. მათი სახეები ერთმანეთისგან განსხვავებულ ემოციას სარკესავით ირეკლავდა. მოულოდნელად ექვსივე თვალი ოდნავი შიშით აღივსო. მერე შიში გაოცებამ და ინტერესმა შეცვალა. და სამივეს, მოკიაფე სანთლების ფონზე, მამაკაცს უმწეოდ რომ მიშტერებოდნენ, უცნაური, უნებლიე ღიმილი გამოეხატა. არცერთის ღიმილი ერთმანეთს არ ჰგავდა. ახალგაზრდა, ფერმკრთალ მონაზონს შეუმჩნეველ აღტაცებასთან შეზავებული ტკივილი აღბეჭდოდა. მაგრამ შავტუხა ლიგურიელ კეთილმოწესე დედაოს, უკვე ასაკოვანსა და ნარბშეკრულ ქალს, მსუბუქი და ცინიკური, ურწმუნო ადამიანის საოცრად დახვეწილი, უკვე მივიწყებულ მხიარულებასთან შეზავებული ღიმილი მოადგა პირზე. ამგვარად მხოლოდ ეტრუსკები იღიმოდნენ, ასე ნატიფად, ამოუცნობად, უშიშრად და ლაღად.

მეთიუსავით ფართო პირსახიანი წინამძღვარი მთელი ძალით ლამობდა ღიმილი არ შეემჩნია, მაგრამ კაცის სასაცილო, ღვარძლით მაღლა აწეული ნიკაპი თვალში ისე უშნოდ ეჩხირებოდა, რომ სიცილს ვეღარ იკავებდა და თავს უფრო და უფრო დაბლა ხრიდა.

ახალგაზრდა, ფერდაკარგულმა მონაზონმა სახეზე უცბად კაბის სახელო აიფარა, მთელი სხეული უთრთოდა. წინამძღვარმა გოგონას მხარზე ხელი მოხვია და იტალიელთათვის დამახასიათებელი ემოციურობით ჩასჩურჩულა: "საბრალო პატარა არსებავ! იტირე, საბრალო პატარა არსებავ!" თუმცა ემოციასთან ერთად ისევ მოგუდული ხითხითი მოისმა.

შავგვრემანი მონაზონი კვლავ წინანდებურად მტკიცედ იდგა და შავ კრიალოსანს ჯიუტად მარცვლიდა, თუმცა უხმო სიცილი სახიდან მაინც არ წაშლოდა.

უეცრად მეთიუ საწოლისკენ შეტრიალდა. ცდილობდა გაერკვია, ცოლი თუ უთვალთვალებდა. კაცს ქალის ეშინოდა.

ინვა ოფელია, ლამაზი და გულისამაჩუყებელი, უსიცოცხლო, წაწვრილებული ცხვირი აბზეკოდა და ბავშვივით ჯიუტი სახე მის ხასიათს უკანასკნელად უსვამდა ხაზს.

მეთიუს ღიმილი გაუქრა და სამაგიეროდ სახეზე არაადამიანური ტანჯვა აღებეჭდა. არ ტიროდა. ისე უაზროდ მიშტერებოდა. ახლა მისი გამომეტყველება უფრო ღრმად და მკაფიოდ ამბობდა: ვიცოდი, რომ ეს ტანჯვა მელოდა!

ქალი ძალიან ლამაზი, ძალიან ბავშვური, ძალიან ჭკვიანი, ძალიან ჯიუტი, ძალიან დაღლილი და მკვდარი იყო! კაცმა გაუსაძლისი სიცარიელე იგრძნო.

ათი წლის ცოლ-ქმარი იყვნენ. რა თქმა უნდა, კაციც არ ყოფილა სულმთლად იდეალური, - არა, არა, სრულებითაც არა! მაგრამ ოფელიას ყოველთვის სურდა, რომ მხოლოდ თავისი გაეტანა. თუმცა ქმარი უყვარდა, მაგრამ სიჯიუტეში თავისი ქნა და გაექცა, მობეზრდა, დაიქანცა, აგდებულად ეპყრობოდა ან უბრაზდებოდა, თორმეტჯერ მიატოვა და თორმეტჯერვე უკან დაბრუნდა.

შვილები არ ჰყოლიათ. ბუნებით მგრძნობიარე კაცს, ბავშვების გაჩენის სურვილი მუდამ ჰქონდა. უსაზღვროდ დამწუხრებული იდგა.

ახლა ქალი აღარასოდეს დაუბრუნდებოდა. ეს უკვე მეცამეტე შემთხვევა იყო და სამუდამოდაც მიატოვა.

მაგრამ წავიდა კი? მაშინაც, როცა ჩაფიქრებული იდგა, ზურგში ისევ უბიძგეს, რათა გაეღიმა. კაცი ოდნავ მოიკრუნჩხა და ბრაზისგან ნარბები შეკრა. გაღიმება აღარ სურდა! ოთხკუთხა, გაპარსული ყბა ჩამოვარდნოდა, დიდი კბილები დაეკრიჭა და მუდამ გამომწვევ მკვდარ ქალს ისე დაჰყურებდა. "მაინც არ იშლი!"- მისთვის დიკენსის გმირის სიტყვების თქმა სურდა.

იდეალური თვითონაც არასოდეს ყოფილა. ისევ ასეთად დარჩენა ერჩივნა და ჩვეული შეცდომებით, კვლავ არასრულფასოვნად აპირებდა ცხოვრების გაგრძელებას.

მყისიერად კაცი მოლიცლიცე სანთლების უკან მიყუჩებულ სამივე მონაზონს მიუტრიალდა, ახლა უკვე გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფთ, თეთრი ლეჩაქებიდან დროდადრო ხან მას რომ შეჰყურებდნენ და ხანაც სიცარიელეს. კაცს თვალები უელვარებდა და კბილები დაეკრიჭა.

"Mea culpa! Mea culpa!"[1]

დაიბღავლა მან.

"Macchè!"[2]

წამოიძახა შეშფოთებულმა წინამძღვარმა და ხელები აქეთ-იქით გაიშვირა, მერე ისევ ერთად შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ატკუპა და ბუდეში შეყუჟული ნყვილი ბარტყივით, კაბის ვიწრო სახელოში შემალა.

მეთიუმ თავი სწრაფად ჩაქინდრა და გარშემო მიმოიხედა, გასაქცევად მოემზადა. ზურგით მდგარმა წინამძღვარმა "მამაო ჩვენო" ნყნარად ნარმოთქვა და კრიალოსანი ჩამომარცვლა.

ფერმკრთალი ახალგაზრდა დედაო კიდე უფრო მეტად უკან მიკუნჭულიყო. მაგრამ ზორბა, შავტუხა მონაზონს შავი თვალები სამარადჟამოდ მოცინარი ვარსკვლავებივით უციმციმებდა და კაცმა ზურგში, სადღაც ნეკნებს შუა, ისევ იგრძნო ღიმილის ბიძგი.

"მომისმინეთ!" დამაჯერებლად მიმართა მან სამივე ქალს. "საშინლად დამწუხრებული ვარ. ნასვლა მირჩევნია".

ქალები მოულოდნელობისგან შეყოყმანდნენ. კაცი კარისკენ ძალიან სწრაფად გაემურა.

მაგრამ ნასვლისას, როცა ჩასხმული მონაზონის მარადიულად მოციმციმე შავ თვალებს შეხედა, ისევ ნაღლიმა და თავისთვის, გულის სიღრმეში იმ ხორციანი ხელების ვნებიანად მიალერსება ინატრა, ქალს დედალ-მამალი ჩიტივით ერთმანეთთან რომ შეეერთებინა.

მაგრამ ჩვეული შეცდომებით ცხოვრების გაგრძელების ჟინი მოსვენებას არ აძლევდა.

"Mea culpa"! დაიღრიალა ისევ მეთიუმ და ნამსვე ზურგშიც ის ნაცნობი ბიძგი იგრძნო, გაუთავებლად რომ უმეორებდა: გაიღიმე!

ოთახში მყოფმა სამმა ქალმა ერთმანეთს გადახედა და ხელები ერთდროულად ისე გამალა, გეგონებოდათ ექვსივე ბეღურა ბუდიდან ერთბაშად ნამოფრინდა და ისევ უკან დაბრუნდაო.

"საბრალო არსება!" თანაგრძნობით თქვა წინამძღვარმა.

"დიახ! დიახ! ნამდვილად შესაბრალისია". გულისგამგმირავი მიამიტობით ნამოიტირა ახალგაზრდა დედაომ.

"Giá"[3] თქვა მსუქანმა შავტუხა მონაზონმა.

წინამძღვარი საწოლთან ფრთხილად მივიდა და მიცვალებულის სახესთან დაიხარა.

"თითქოს რაღაცას მიხვდა, საბრალო არსება!" ჩაიჩურჩულა მან. "თქვენ რას ფიქრობთ?"

ლეჩაქით შემოსილი სამივე თავი ერთდროულად დაიხარა. და ოფელიას ტუჩის კუთხესთან შერჩენილი მკრთალი ირონიული ღიმილი აშკარად აჩნდა. გაოცებულნი დასცქეროდნენ.

"მან ის დაინახა". ნაიჩურჩულა ახალგაზრდა დედაომ.

წინამძღვარმა მომღიმარ სახეს ლამაზად ნაქარგი სუდარა დიდი მონიწებით დააფარა. მერე სულის გასვლის კანონი თითქმის უხმოდ ნაუკითხეს, კრიალოსნებიც ჩამარცვლეს.

შემდეგ უფროსმა დედაომ ორ მოკიაფე სანთელს ნვერები გაუსწორა, დიდი კანდელის ფითილს თითები მტკიცედ, თუმცა ფაქიზად მოუჭირა და ჩააქრო.

შავგვრემან, ენერგიულ დედაოს ხელში ისევ თავის მომცრო "კურთხევანი" ეკავა და ისე იჯდა. დანარჩენნი კაბების შარიშურით კარისკენ გაემართნენ და არაჩვეულებრივ თეთრ დერეფანში გავიდნენ. მდინარეში მოცურავე შავი გედებივით, მუქი კაბებით შემოსილნი, ნაზად, უხმაუროდ მილივლივებდნენ, მაგრამ უეცრად შეჩქვიფდნენ. დერეფნის ბოლოში ლაბადაში სევდიანად გამოხვეული უბადრუკი ქვრივი მეთიუ შენიშნეს, წინ და უკან უაზროდ რომ დაყიალებდა. მონასტრის წინამძღვარი თითქოს ადგილიდან მონყდა, კაცისკენ ისეთი სისწრაფით გავარდა.

მეთიუმ ფართო კაბებში შემოსილი და ლეჩაქებით თავშებურული, მისკენ გაჩქარებით მიმავალი ქალები დაინახა, თითქოს ხელები აღარც გააჩნდათ, ისე შეემალათ კაბის სახელოებში.

ახალგაზრდა დედაო წინამძღვრის უკან შეყოვნდა.

"Pardon, ma Mère!"[4] თქვა კაცმა ისე, თითქოს ერთმანეთს ქუჩაში შეხვდნენო. "აქ სადღაც ქუდი დამრჩა"...

სასონარკვეთილმა კაცმა ხელი უიმედოდ გააქნია და მასზე მნუხარე და გაუცინარი ქვეყნად აღარავინ იყო.

---

1. Mea culpa (იტალ.) - ჩემი ბრალია.
2. Macchè (იტალ.) - რა თქმა უნდა, არა.
3. Giá (იტალ.) - უკვე.
4. Pardon, ma Mère (ფრანგ.)-ბოდიში გიხდით, დედაო;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ელკე ჰაიდენრაიხი

# ეროვნული სამოსის მოდა

*გერმანულიდან თარგმნა ნათია დათუაშვილმა*



გერმანელი დოკუმენტალისტების ჯგუფი საღამოხანს ჯიპით ეროვნულ პარკს ათვალიერებდა. ისინი მიუნხენიდან იყვნენ, სამი კაცი და ერთი ქალი. ავსტრალიაში ცხოველების შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღება უნდოდათ და ახალი ჩასულები იყვნენ ქვეყანაში. ეს მათი პირველი შემეცნებითი მოგზაურობა იყო. ჩემოდნები პარკის განაპირას მდებარე სადგომთან დაეტოვებინათ. როდესაც მათ რამდენიმე კენგურუმ გადაუჭრა გზა, პირველი ფოტოების გადასაღებად გაჩერდნენ. ერთი საშუალო ზომის, არცთუ მორიდებული კენგურუ ჯგუფს თან გაჰყვა, ხან მანქანის წინ მიხტოდა, ხან მის გვერდით. ერთ-ერთმა დოკუმენტალისტმა ვიდეოკამერა ამოიღო და კენგურუს სასაცილო ხტუნვას იღებდა.

ჯიპის მძღოლმა ერთი წამით სიფრთხილე ვერ გამოიჩინა და, საუბედუროდ, ცხოველს გაჰკრა. ყოველ შემთხვევაში, კენგურუ უეცრად ძირს დაეცა და აღარ ინძრეოდა.

დოკუმენტალისტებმა მანქანა გააჩერეს და შეძრწუნებულები გადმოვიდნენ მანქანიდან. ცხოველი იწვა და არ იძვროდა, თუმცა სისხლი არსად ჩანდა. მათ ფრთხილად გაათრიეს კენგურუ გვერდზე და ხეზე მიაყრდნეს, რასაც ალბათ მაშინაც გააკეთებდნენ, კენგურუს ადგილას გულწასული ადამიანი რომ ყოფილიყო. ცხოველი მძიმე იყო, გაძვალტყავებული და მაგარი სხეული ჰქონდა. მის ცხიმიან ბეწვს ცუდი სუნი ასდიოდა. არ ინძრეოდა, იმის დადგენაც კი ძნელი იყო, სუნთქავდა თუ არა.

დოკუმენტალისტები ძალიან შეშინდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. ოპერატორი მაინც განაგრძობდა გადაღებას. მას ხეზე მიყრდნობილი თითქოს მძინარე კენგურუს ფოტოც საინტერესოდ მიაჩნდა. ფიქრობდნენ, ვინმე ხომ არ მოეყვანათ დასახმარებლად. საბოლოოდ ქალი და ერთ-ერთი კაცი მანქანით ბანაკისკენ წავიდნენ, ოპერატორი და მისი ბავარიელი მეგობარი ვალდი კი ჯერ კიდევ უსიცოცხლო ცხოველთან დარჩნენ.

მოგვიანებით არავის აღარ ახსოვდა, რატომ გაიხადა და ჩააცვა კენგურუს ვალდიმ თავისი ტრადიციული ტყავის პიჯაკი, რომელზეც ამოქარგული იყო მუხის ფოთოლი. ეს უფრო ზომიერად უგემოვნო ხუმრობას ჰგავდა. გაყურსულ ცხოველს მან თავისი არჩვის ბალნით დამშვენებული თექის ქუდიც დაახურა, ოპერატორი კი ყველაფერს აფიქსირებდა. ალბათ, ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ პირველ საღამოს ანცობის ხასიათზე დადგნენ.

ისინი მოშორდნენ გარინდულ, უცნაურად დადუმებულ ცხოველს, რომელიც ტრადიციულ ქურთუკში გამოწყობილი, თექის ქუდით თავზე ევკალიპტის ხეს მიჰყრდნობოდა. იღებდნენ მას და იცინოდნენ. უეცრად კენგურუ გაინძრა. ღრმად, ხმაურიანად ამოისუნთქა, გამოფხიზლდა და წამოიმართა. ვიდრე კენგურუს მძლავრი უკანა ფეხებისა და ძლიერი კუდის გამო შეშინებული კაცები ცოტათი უკან დახევას მოასწრებდნენ, ცხოველი სწრაფად გაიქცა ტყისკენ. ამას არავინ მოელოდა.

კაცები აღარ იცინოდნენ. ისინი უყურებდნენ კენგურუს, რომელიც მათ შორდებოდა და უჩინარდებოდა. პიჯაკში იდო თვითმფრინავის ოთხივე ბილეთი, ვალდის სამგზავრო პასპორტი და მისი ყველა საბუთი, მართვის მოწმობა, საკრედიტო ბარათები და სამოგზაურო ჩეკები, გარდა ამისა, ბაბუასგან ნაანდერძევი სათუთუნე, რომლის ემალის სახურავზე წითელლოყება ბერი იყო გამოსახული და რომელშიც კარგი დასაყნოსი თამბაქო ეყარა.

ახლა კი ჩვენი დოკუმენტალისტები მელბურნში ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი, თექის ქუდით თავდამშვენებული, თამბაქოს მყნოსავი კენგურუს გამოჩენას ელოდებიან, რომ იოდლის შეძახილით გაიარონ რეგისტრაცია მიუნხენის მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელკე ჰაიდენრაიხი

# ჩინური სამრეცხაოს საიდუმლო

*გერმანულიდან თარგმნა ნათია დათუაშვილმა*



ბატონი ბერნერი დაბალი, ლაპარაკის მოყვარული კაცი იყო, ცოტა დიდი ცხვირით. თავის ძაღლ ბოდოსთან ერთად მარტო ცხოვრობდა. ბოდო მახინჯი ძაღლი იყო, მაგრამ კარგი ხასიათი ჰქონდა. ძალიან ბებერი იყო და ბატონ ბერნერს თოკზე გამობმული ნელა მიჰყვებოდა ხოლმე უკან. არც ბატონი ბერნერი იყო ახალგაზრდა, აუჩქარებლად სეირნობდა და ყიდულობდა საჭირო ნივთებს. ძაღლს უფრთხილდებოდა, რომ არ ექოშინა. სიარულის დროს საუბრობდნენ. ბატონი ბერნერი ყველაფერზე ლაპარაკობდა, რასაც კი სამყაროზე ფიქრობდა, ბოდო კი უსმენდა.

ბატონი ბერნერი რამდენიმე წლის დაქვრივებული იყო. ქალბატონი ბერნერი, ვისთანაც ადრე სიამოვნებით საუბრობდა ყველაფერზე, ცენტრალურ სასაფლაოზე განისვენებდა. საფლავზე თავისამა წვიმაში გადიოდა ხოლმე, რომ ბოდო ვერავის დაენახა. ცენტრალურ სასაფლაოზე ძაღლები აკრძალული იყო. საფლავზე გარდაცვლილ მეუღლეს ესაუბრებოდა, ხან ფიქრებით, ხან პირდაპირ მიმართავდა, იმის მიხედვით, ბევრი ხალხი იყო სასაფლაოზე თუ ცოტა.

ასე თუ ისე, უმკლავდებოდა მარტო ცხოვრებას. შეეძლო თავისთვის კარტოფილი შეეწვა, იცოდა სალათის მომზადება და ბინაც წესრიგში ჰქონდა. მხოლოდ სარეცხი უქმნიდა სირთულეს. სარეცხი მანქანის ჩართვა არ იყო პრობლემა, მაგრამ უბრალოდ არ იცოდა, რა რასთან უნდა გაერეცხა, რა უნდა გაეწურა და რომელი პერანგების გაწურვა არ შეიძლებოდა. არც დაუთოებისა გაეგებოდა რამე. ბატონი ბერნერი კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წესიერად გარეცხილ და აკურატულად დაუთოებულ პერანგებს და ძალიან წუხდა, ამ საკითხში რომ ვერ ერკვეოდა. ოქტომბრის ერთ წვიმიან დღეს ის თავისი ცოლის საფლავთან იდგა და ამ პრობლემებზე ესაუბრებოდა, წუხდა, რომ თავის დროზე უფრო ყურადღებით არ აკვირდებოდა მეუღლეს ამ საქმიანობის დროს, ბოლოს კი სთხოვა: „ელფრიდე, მომეცი ნიშანი. რა ვქნა ამასთან დაკავშირებით?" თუმცა, სიჩუმე არ დარღვეულა და საბოლოოდ, ბა-

ეროვნული

ტონი ბერნერი ბოდოსთან ერთად სახლის გზას დაადგა.

ბოდო თვალებს აელმებდა და ყბა ცოტა ჩამონეული ჰქონდა, დორბლის ძაფები მიწამდე დასთრევდა. ნამდვილად არ იყო კარგი შესახედი. მახინჯი იყო, მაგრამ ბატონი ბერნერის ერთგული მეგობარი და სილამაზე ერთმნიშვნელოვნად ხასიათში ჰქონდა. „მეც არ ვარ ლამაზი", - ფიქრობდა ბატონი ბერნერი და 76 წლის შემდეგაც გაოცებული ათვალიერებდა თავის დიდ ცხვირს სარკეში. „რაღა მოვითხოვო ძაღლისგან? ყველაფერი ღმერთის ნებაა".

იმ დღეს თავსხმა წვიმის გამო ბატონი ბერნერი უფრო მოკლე გზით წავიდა სახლისაკენ, ძველი ქალაქის ვიწრო, ბნელი ქუჩებით. როგორც წესი, ამ გზას ერიდებოდა ხოლმე, რადგან ბოდოსაც არ სიამოვნებდა რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე სიარული. ჩვეულებრივ, ბატონი ბერნერი პატარა ნაკვეთებს ჩაუვლიდა ხოლმე სახლის გზაზე. უცებ, თითქოს ქალბატონ ბერნერს გამოუგზავნია დაგვიანებული ნიშანიო, ჩინურ სამრეცხაოს ჩაუარა. კარის თავზე ციმციმებდნენ ბატონი ბერნერისთვის გაუგებარი ჩინური ასოები, ქვემოთ კი ლურჯი ნეონის შუქით განათებული ასოებით გერმანულად ეწერა „ჩინური სამრეცხაო". ფანჯრები დაბურული იყო. შიგნით ირეოდნენ თეთრ ხალათებში, ან თეთრ შარვლებსა და თეთრ მაისურებში გამოწყობილი კაცები, რომლებიც სარეცხს კეცავდნენ, თეთრ ქაღალდში ფუთავდნენ, თეთრეულს დიდ საუთოებელ დანადგარებზე აუთოებდნენ, ან პერანგების საუთოებელ ჯადოსნურ დანადგართან. ცოტა ხნის წინ მაგიდაზე გორად მდგარი დაკუჭული პერანგებისგან სასწაულებს ახდენდნენ. ფანჯარაში ერთმანეთზე ეწყო წასაღებად გამზადებული სარეცხის ფუთები. ბატონი ბერნერი მოჯადოებული შეჰყურებდა ამ სანახაობას. აი, ეს იყო მისი პრობლემის გადაჭრის გზა. ჩინური სამრეცხაო დაეხმარებოდა გამკლავებოდა რეცხვისა და უთოობის პრობლემას. რატომ ვერ აღმოაჩინა ადრე ეს საუცხოო ადგილი? ძალიან მადლობელი იყო გარდაცვლილი მეუღლის, აქრომ მოიყვანა და თამამად შევიდა სამრეცხაოში. სახეში მოხვდა თბილი ჰაერი, სარეცხი ფხვნილის, წყლის ორთქლისა და სისუფთავის სუნი. ბოდომ დააცემინა.

კეთილგანწყობილმა ახალგაზრდა ჩინელმა მაშინვე ჰკითხა ბატონ ბერნერს, რას ისურვებთო. ბატონმა ბერნერმაც გამოიკითხა ჩინური სამრეცხაოს მომსახურების, ვადებისა და ფასების შესახებ. ძალიან გაოცდა, ასე მარტივი და იაფი რომ იყო ყველაფერი: „დილით მოიტანე, საღამოს წაიღე!" - იუწყებოდა ფირმის სლოგანი. ფასებიც სასაცილოდ დაბალი მოეჩვენა, თუკი გავითვალისწინებთ მის წვალებას საუთოებელ მაგიდასთან. აღარაფერი რომ არ ვთქვათ პერანგებზე, რომლებიც სრულიად გააფუჭა სარეცხის ფხვნილის არასწორი დოზირებისა და სარეცხის მანქანაში რეგულარულად დამზაკვრულად დამალული შავი წინდების გამო. გარდა ამისა, ბატონი ბერნერი მუდმივად ეძებდა გზას და საბაბს, რომ ბოდოსთან ერთად გაესეირნა და ცოტა ემუსაიფა მასთან. ძველი ქალაქის ეს ქუჩა, რომელზეც კარგი სამრეცხაო იყო და ამ ქუჩით ცენ-ტრალურ სასაფლაოზე მიდიოდა, სადაც ის ისედაც ხშირად დადიოდა, წყალობად მოეჩვენა. ცდილობ-და, ახალგაზრდა ჩინელისათვის აეხსნა საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ მხოლოდ თავაზიან თავის დაქნევას და ღიმილს იღებდა, პასუხს კი არა. ბოლოს იძულებული გახდა, წინდებზე, პერანგებზე და გარდაცვლილ მეუღლეზე ლაპარაკისთვის თავი დაენებებინა და სახლის გზას დადგომოდა. თუმცა შეჰპირდა, რომ ხვალვე ესტუმრებოდა სარეცხით სავსე ფუთით ხელში. მერე კი ნახავდნენ, როგორ გაუგებდნენ ერთმანეთს. მშვიდობიანი საღამო უსურვა ჩინელს და წავიდა.

მეორე დილასვე ჩააწყო ჭუჭყიანი სარეცხი დიდ პოლიეთილენის პარკში: ერთი ხელი საწოლის თეთრეული, ოთხი პირსახოცი, საცვლები, ხუთი პერანგი. ბევრის თრევა მოუწია, მაგრამ მომავალში, როცა უფრო ხშირად ივლიდა ჩინურ სამრეცხაოში, ფუთები დაპატარავდებოდა და ყველაფერს უკეთესად გადაანაწილებდა.

ისევ გამოვიდა სულ თეთრებში ჩაცმული ახალგაზრდა, კეთილგანწყობილი ჩინელი, ან იქნებ სულ სხვა იყო? ბატონი ბერნერის თვალში, რომელიც არ იყო განაფული აზიური გარეგნობის გარჩევაში, ყველანი ერთნაირად გამოიყურებოდნენ. ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთხელ ისაუბრა თავის ქვრივობაზე და რეცხვასთან და დაუთოებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე და გამოთქვა იმედი, რომ ამ ჩინური სამრეცხაოს წყალობით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა ამ პრობლემას. გამოართვეს სარეცხის ფუთა. ბატონმა ბერნერმა თქვა: „ჩემი სახელია ბერნერი, ბ-ე-რ-ნ-ე-რ-ი. ოტო ბერნერი". ფიქრობდა, რომ რთულად იქნებოდა საქმე, რადგან მისი ინფორმაციით, ჩინელი წესიერად ვერ გამოთქვამდა „რ"-ს. იქნებ თავიდანვე უნდა ეთქვა „მე მქვია ბელნელი", საქმე რომ გაემარტივებინა. მაგრამ არანაირი პრობლემა არ წარმოქმნილა. ახალგაზრდა ჩინელმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ღიმილი ღრმად ჰქონდა სახეში ჩაწვდარი, პატარა ასოებით ბარათზე სწრაფად ჩაინიშნა ბატონი ბერნერის სახელი ჩინურად და სარეცხის ფუთას მიამაგრა.

კმაყოფილი ბატონი ბერნერი ბოდოსთან ერთად სასაფლაოზე წავიდა და თავის მეუღლეს მოუყვა ჩინური სამრეცხაოს შესახებ. ყველაფერი კარგად იქნება და შეგიძლია მშვიდად განისვენოო.

მეორე დღეს ბატონი ბერნერი გარეცხილი ნივთების გამოსატანად შევიდა სამრეცხაოში. გადაწყვეტილი ჰქონდა, მოთმინებით დაემარცვლა თავისი სახელი, უკიდურეს შემთხვევაში კი ეთქვა, „ჩემი სახელია ბელნელი", რათა თავაზიანი ახალგაზრდა ჩინელისათვის სამუშაო გაეადვილებინა.

რა გაოცებული დარჩა, როდესაც ჯერ შესულიც კი არ იყო ბოდოსთან ერთად სამრეცხაოში, რომ წასაღებად გამზადებული ფუთების დიდი გროვიდან დახლზე მისი ფუთა გამოუცურეს. მას უკვე იცნობდნენ, როგორც ჩანს, მისი სახელი უკვე იცოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ერთი დღის კლიენტი იყო! ბატონი ბერნერი ძალიან გახარა შორეული აღმოსავლეთის ყურადღების ამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოულოდნელობამ და ჩუმად შეადარა სუპერმარკეტის ბუზღუნა გერმანელ მოლარეებს. შეამჩნია, რომ აქ კლიენტი ჯერ კიდევ მეფე იყო. თვითონ კი, ბატონი ბერნერი, როგორც ჩანს - განსაკუთრებით პატივცემული კლიენტი. კარგად შეამჩნია საკაზმიანი ჩინელის ამრეზი მზერა ბიჭის მიმართულებით. მათ პატივს სცემდნენ და მაშინვე იცნეს ორივე. ამან გაახარა, რადგან ბატონი ბერნერის ცხოვრებაში მაინდამაინც ბევრი გასახარი ამბები აღარ ხდებოდა.

სახლის გზაზე უჩუმრად გახია თეთრი ქაღალდი, რომ ენახა, ნამდვილად მისი ნივთები იყო თუ არა, მაგრამ მაშინვე შერცხვა თავისი უნდობლობის. რა თქმა უნდა, ყველაფერი წესრიგში იყო. სახლში მისული კი დარწმუნდა, რომ უფრო მეტიც, ყველაფერი უნაკლოდ იყო დახარისხებული. პერანგები საუკეთესოდ იყო დაუთოებული და დაწყობილი, საწოლის თეთრეული - ქათქათა, პირსახოცები - რბილი და ნაკეცი ნაკეცზე. ასეც უნდა ყოფილიყო და ეს ყველაფერი ამ ფასად! ბატონი ბერნერი იმდენად აღფრთოვანებული იყო, რომ მოწევასაც კი დაიწყებდა თავიდან, ქალბატონ ბერნერს სასიკვდილო სარეცელზე რომ არ შეჰპირებოდა, თავს შევიკავებო, რადგან კვამლი ფარდებს აყვითლებსო. ქალი საფლავში გადატრიალდებოდა. ბატონი ბერნერი დარწმუნებული იყო, რომ ჩინური სამრეცხაო ყვითელ ფარდებსაც გაუმკლავდებოდა, მაგრამ არ იქნებოდა ეს სამართლიანი და, ბოლოს და ბოლოს, ჯანმრთელობისთვის ცუდი იყო. ამიტომ დაანება თავი ამაზე ფიქრს და კმაყოფილმა შეაწყო გაწიკწიკებული სარეცხი კარადაში.

მრავალი კვირის განმავლობაში ბატონი ბერნერი კვირაში ერთხელ მიდიოდა ჩინურ სამრეცხაოში, მიჰქონდა ჭუჭყიანი სარეცხი და გამოჰქონდა სუფთა. ჯერ ფეხიც არ ჰქონდა ხოლმე შედგმული სამრეცხაოში, რომ უამრავი გამზადებული ფუთიდან ჩინელთვის ელვის უსწრაფესად აწვდიდნენ ზუსტად მის ფუთას. ჩინელი არასდროს არ ცდებოდა, თანაც, ყოველთვის სხვადასხვა ჩინელი ხვდებოდა. ბატონმა ბერნერმა ამასობაში ეს უკვე გაარკვია. მას ხვდებოდნენ მსუქნები და გამხდრები, ასაკოვნები და ახალგაზრდები, ისინი იცვლებოდნენ დახლთან, სალაროსთან, საუთოებელ მოწყობილობებთან, საყელოებისა და მანჟეტების საუთოებელ დაფებთან, მაგრამ ვინც არ უნდა მომსახურებოდა მას, ყველა მაშინვე ცნობდა, ზუსტად იცოდა: „აი, ჩვენი ბატონი ბერნერი", (ან „აი, ჩვენი ბატონი ბელნელი"), ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უწვდიდა შეკვრას. ბატონ ბერნერს განსაკუთრებით ეს მოსწონდა, მოსწონდა ეს პატივისცემა, კარგი მოპყრობა. თავი მნიშვნელოვან პერსონად მიაჩნდა. ბოლოც უკვე დიდი ხანია აღარ აცემინებდა.

შობის წინა დღეს ბატონმა ბერნერმა კვლავ გამოიტანა სარეცხის ფუთა და სურვილმა შეიპყრო, ამ კეთილგანწყობილი ჩინელებისათვის მადლობა გადაეხადა და საშობაოდ მცირედი სიხარული მიენიჭებინა, მიუხედავად იმისა, რომ ჩინელი სავარაუდოდ არ იზეიმებდა ქრისტიანულ შობის დღესასწაულს. მაგრამ ისინი კეთილგანწყობილები იყვნენ მის მიმართ, ამიტომ თვითონაც კეთილგანწყობით უნდა ეპასუხა. გერმანული ნუშის ორცხობილას მწვანეარშიიან შეკვრას მიამაგრა ხუთევროიანი კუპიურა - წვრილმანი გასამრჯელო, ასე ვთქვათ, ყავისათვის, არა, უფრო ჩაისათვის,და გაუწოდა გაოცებულ ჩინელს, რომელმაც მისი სარეცხის შეკვრა კვლავ სწრაფად გამოიღო დახლიდან, ისე, რომ ერთი წამითაც არ დაფიქრებულა. წესიერ ადამიანს თავდაპირველად არ უნდოდა მოკრძალებული საჩუქრის აღება, მაგრამ ბატონმა ბერნერმა დაჟინებით სთხოვა: „შობაა", - თქვა მან, „ახლა ხომ შობაა, თუ შეიძლება აიღეთ". შემდეგ კი მადლიერების გამოხატვის მიზნით დაამატა: „ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით, უპირველეს ყოვლისა კი ის მაოცებს, რა სწრაფად ისწავლეთ და დაიმახსოვრეთ ჩემი სახელი. ყოჩაღ!" ჩინელმა გაოცებულმა შეხედა. „ბერნერი". თქვა ცოტათი შეცბუნებულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონმა ბერნერმა, „მე ხომ ბატონი ბერნერი ვარ, თქვენ ყველა მიცნობთ მე, ყოველთვის სწორ შეკვრას მაძლევთ ხოლმე, არასდროს არ გეშლებათ. ეს მომწონს".

„აჰ", - თქვა ჩინელმა, მაგრამ ისეთი პირი არ უჩანდა, რომ ნამდვილად გაიგო. მან შეკვრას ქინძისთავით დამაგრებული ბარათი მოხსნა, რომელზეც წვრილი ჩინური ასოებით ეწერა სახელი. ბატონმა ბერნერმა სთხოვა: „შეგიძლიათ დამიტოვოთ? სამახსოვროდ? სახლში წყნარად დავათვალიერებ, როგორ იწერება ჩინურად ჩემი სახელი".

მას თავისი ძველი მეგობარი მარტინი გაახსენდა, რომელიც მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა და ახალგაზრდობაში სინოლოგი იყო. საახალწლოდ მის მონახულებას აპირებდა და უნდოდა ამაყად ეჩვენებინა მისთვის ბარათი მისი, ოტო ბერნერის ჩინური ასოებით დაწერილი სახელით.

კეთილგანწყობილმა ჩინელმა ჩაიხითხითა, ბატონ ბერნერს მისცა ბარათი და ნუშის ორცხობილა გამოართვა. სამრეცხაოს თანამშრომლებმა თავი დაუქნიეს, თავი დაუხარეს და ისეთ გულითად მადლობებს უხდიდნენ, რომ ბატონ ბერნერს შერცხვა, რატომ ათევროიანი კუპიურა არ მიამაგრე საჩუქარსო, მაგრამ შეეძლო მომავალი შობისათვის გაეთვალისწინებინა ეს.

ახალი წლის დილას ბოდოსთან ერთად თავისი მეგობრის, მარტინის სანახავად ავტობუსით ქალაქის ბოლოში გაემგზავრა. მარტინი ინვალიდის ეტლში იჯდა, ძალიან სალი გონება ჰქონდა, მაგრამ კიბიდან ჩამოვარდნის შემდეგ ფიზიკურად იმდენად სუსტად იყო, რომ დამოუკიდებლად სიარული და თავის მიხედვა არ შეეძლო. ბატონმა ბერნერმა უამბო ყველაფრის შესახებ, რაც გარეთ, მსოფლიოში ხდებოდა. მარტინი უსმენდა, ცოტა თითქოს ჩამოეყვითა კიდეცხანგრძლივი მოყოლისას ნარჩენების გადასახადების მომატებისა და ქალაქის ტრამვაის არაპუნქტუალობის შესახებ. შემდეგ ერთი მოკლე ხელი ბანქო ითამაშეს, ფანჯრიდან გადაიხედეს, ბოდოს მარტინის შალის გადასაფარებელზე დაწოლის ნება მისცეს, ბოლოს კი ბატონმა ბერნერმა გამარჯვებული სახით ამოიღო ჩინური სამრეცხაოდან წამოღებული ბარათი, მიაწოდა მეგობარს და თქვა:

„შეგიძლია გაშიფრო? არ დაიჯერებ, რა წერია აქ."

მარტინმა გაწმინდა სათვალე, აიღო ბარათი და იმდენხანს ათვალიერა, რომ ბატონი ბერნერი აწრიალდა და შეშინდა, ოთხმოც წელს მიტანებულ მარტინს ხომ არ დაავიწყდა ჩინური შრიფტის კითხვაო. შემდეგ ამოიხედა, ბატონ ბერნერს ნაღვლიანად შეხედა და თქვა: „საიდან გაქვს?"

„ჩინური სამრეცხაოდან, - უპასუხა ბატონმა ბერნერმა. „ახლა კი შემიძლია გაგიმხილო: ეს ჩემი სახელია ჩინურად, ოტო ბერნერი, ისინი კი მას ყოველთვის მაშინვე პოულობენ უამრავ ფუთაში".

სიამაყით დააკაკუნა ბარათზე: „ბატონი ბერნერი", თქვა მან, „აი ეს წერია ბარათზე".

„არა, უპასუხა მარტინმა და დაუბრუნა ბარათი, „მანდ ეს არ წერია". ბარათზე წერია: „დიდცხვირა ყბედი მოხუცი კაცი მახინჯ ძაღლთან ერთად".



ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ხარბედია

# ნავი და ხურდა

## ბასკური დღიურები

*ავტორის ფოტოები*



### 25 ივლისი, 2016

„აუ, ეს არ შეიძლება", თქვა ერთმა თანამშრომელმა ბარგის გაშუქებისას. რა არ შეიძლება? თურმე ღვინის ბოთლის სახსნელი დამრჩენია ხელბარგში. პირველად მოხდა ასე, აქამდე არასდროს დამვიწყნია ამ დალოცვილის ძირითად ბარგში გადატანა. თანამშრომელმაც ისეთი გულისტკივილით თქვა, „აუ, ეს არ შეიძლებაო", თითქოს, 20 ბოთლი გვქონდა ერთად გასახსნელი და თითით ან ფეხსაცმლით მოგვიწევდა ამის გაკეთება, სანამ თვითმფრინავში ავიდოდი.

„მარტო მოხვედი? მიდი, უცებ, დარეკე, თუ აქ არიან შენები, ამოვიდნენ და გაატანეო". ჩემები ჯერ არ იქნებოდნენ წასული. ეკას (ჩემს დას) დავურეკე. მალე ამობრუნდა, მივეცი სახსნელი, ვაკოცეთ ერთმანეთს და დავბრუნდი ჩხრეკის და გამჭვირვალობის ადგილთან.

სტამბულში 9 საათი მქონდა დრო. ერთი ცარიელი კარიბჭე ვიპოვე და ნიგნის წასაკითხად ჩამოვჯექი (ვკითხულობ ჯონ ირვინგის რომანს, „სამყარო გარპის მიხედვით"). 9 საათში საშუალო მოცულობის (დაახლ. 400 გვ.) რომანის წაკითხვა შეიძლება, როცა არაფერი გიშლის ხელს, მაგრამ ათათურქის საჰაერო ქარავან-სარაი ხომ მხოლოდ ხელის შეშლისთვისაა. იმ თავს ვკითხულობდი, როცა გარპმა პირველად შეამჩნია ჰელენ ჰოლმი და გავიხედე, ქერა, ქათქათა გოგო არ მოვიდა?! მარტო მეშინია და თუ შეიძლება აქვე წამოვწვებიო. რაღაცნაირად გენდობიო. მოდი, დაიკო, არა გრცხვენია? ნუ გეშინია, გამოიძინე, მე ვუდარაჯებ შენს ბარგს, აქ რამდენიმე დღის წინ იყო დიდი ამბები, ახლა კი პირიქით, დიდი მოწყენილობაა-მეთქი. გაიცინა და ფეხშიშველი წატანტალდა საპირფარეშოსკენ. დილის 6 საათი იყო და მივაძახე, ჯერ დამლაგებლები ბატონობენ ტუალეტებში, 10 წუთის წინ არ შემიშ-

ვეს, აგერ ვითმენ და ველოდები-მეთქი. მაინც შეიჭყიტა, მერე გამოტანტალდა სალი ჰოკინსივით (მაიკ ლის ფილმში, Happy-Go-Lucky-ში რომ ფლამენკოს გაკვეთილზე შემოიპარება, ვითომ შეუმჩნევლად) და მანიშნა, ლიააო. ვინ იცის, როგორ ეფსმოდა, მაგრამ მაინც შემატყობინა, რომ ყველაფერი რიგზეა, მორჩა დამლაგებლების ბატონობაო.

ნახევრად იტალიელი იყო, ნახევრად გერმანელი, მაგრამ გარეგნულად მაინც სუფთა ლორელაი იყო, ასე ვუწოდებთ მე და ჩემი მეგობარი, არჩილ ჯინჭარაძე გერმანიკული ტომის ქერათმიან ჯანიან გოგოებს, ერთგვარ ურბანულ ელფებს.

გოგოს სახელი არ მახსოვს. ქალაქი კი დავიმახსოვრე. თესალონიკში მიდიოდა. როცა ჩაეძინა, თვალი გავაპარე, მსუბუქი ფეხსაცმელი იქვე მიეყარა, ფეხსაცმლის ძირები ჭერს აჰყურებდნენ. ორივე ძირგამოხეული იყო. ფართოდ პირდაღებული. როგორც ჩანს, გამოხეული ჯინსები არაა საკმარისი, რომ მოგზაურობისას ხეტიალის ქვიშა და ქროლვა შეითვისოს და შეიწოვოს სხეულმა. საჭიროა უძირო ფეხსაცმელიც.

იმედია, თესალონიკში იყიდიდა ახალ სანდლებს.

ბილბაოს აეროპორტი მთებს შორისაა მოქცეული, მოტყეხილშია, გეგონება ჩოხატაურში ეშვები, ან ნახევრად – ტყიბულ – ნახევრად – ამბროლაურ-ბორჯომ-ხარაგოულში. ეს ისე, ძალიან ზედაპირულად რომ ვთქვათ, თუმცა სინამდვილეში კალატრავას ცხვირანეულ ნაგებობას დაინახავ თუ არა დაშვებისას, სულ სხვა შთაბეჭდილება გრჩება, და მაშინვე აზრზე მოდიხარ. ჩემი პირველი ფესტივალი საჰაერო საყუდელიც, სადაც ჩავფრინდი, კალატრავასი იყო, ლიონში, სენტ-ეკზიუპერის სახელობის. 2006 წელს ხდებოდა ეს ამბავი. მოკლედ, თეთრი ბეტონი და ფრთები, თავის ნისკარტიანად.

დონოსტიამდე (იგივე სან-სებასტიანი) გზაში ბლომად თეთრი ძროხები მოჩანდნენ მინდვრებში, ასევე ვირები (აქაური პლატეროები). ჩაკოლის (Txakoli) ვენახებს რომ ჩავუარე, თვალები აძიჭრელდა. მთელი გზა ძალიან მწვანე იყო, აუარება წიწვოვანებით, ვერც დავთვალე იმდენი ჯიშის ნაძვი და ფიჭვი იყო ფერდობებზე.

ავტოსადგურის შესასვლელი მომეწონა, ჩამოვედი ავტობუსიდან და 2-3 ფოტო გადავუღე ძველი მესხური დარბაზივით ზემოდან განათებულ სადგურის მოედანს. დიდი ძელები, ბეტონი და მზიანი ცენტრი. მოვიხედე და სადღაა ავტობუსი და ჩემი ბარგი?! დავინახე, 200 მეტრში, ამ დიდი გადახურული მოედნის ასასვლელში, ეს ჩვენი ავტობუსი ადის. დავიწყე სტვენა. ჩემი ფეხები, ვინ გაიგონებს? ადის, თან ნელა ადის ეს ოხერი. გავიქეცი, მაგრამ მე ისე სწრაფად ვერ მივრბივარ, როგორ ნელაც ეს ავტობუსი ადის იმ აღმართზე. გადის ნაგებობიდან და ვიცი, დავკარგავ. უცებ მახსენდება, რომ წამოსვლამდე ავტობუსს ფოტო გადავუღე ტელეფონით. რაბ გადამალებინა!!! ჩავხედე და ავტობუსის ნომერიც მოჩანს და მძღოლის სახეც. არიქა, ბიჭებო, დავძახე სადგურში მძღოლებს, აი, ეს ავტობუსი გამექცა, ჩემი ბარგიც თან წაიყოლა და მიშველეთ,



იქნებ ძმაკაცი იყოს თქვენი, ან ტელეფონი იცოდეთ, ან რამე. ერთი ღვთისნიერი მძღოლი ამყვა, ისანაც, არიქაო დაუძახა დისპეჩერს (ოღონდ ბასკურად დაიძახა არიქა), უშველეთ ამ კაცს, ბარგი დარჩა ავტობუსში, მანქანის ნომერიც იცის და მძღოლის სახეც აქვს გადაღებულიო. დისპეჩერმა რაღაცა ქვითარივით ქაღალდი ამომიბეჭდა, ტელეფონის ნომრით, მეთქი, იმ მძღოლის ნომერია, გავიხარე. თურმე დაკარგული ბარგის განყოფილების ცხელ ხაზზე ვრეკავ. მეგონა მძღოლი აიღებდა, კაცის ხმას ველოდი. ქალმა აიღო, როცა გავერკვიე ვინც იყო, ასე ვუთხარი, აგერ, ა, 5 წუთის წინ გამექცა ავტობუსი ჩემი ბარგით, ჩაიწერეთ, მანქანის ნომერსაც გიკარნახებთ-მეთქი.

ვუკარნახე. ჩაიწერა.

დაგირეკავთო.

ვნერ ოიერს, ოიერ სან მარტინს, ბასკეთის მწერალთა ასოციაციის მმართველ მენეჯერს. ოიერი დონოსტიას სადგურთან უნდა დამხვდეს, მანქანით და პასაიაში ერთად უნდა წავიდეთ, მაპატა საპორტო ქალაქში, სადაც უნდა ვიცხოვრო.

ოიერ, სადა ხარ? მე უკვე აქ ვარ. დავინახე ოიერი, სიხარულით გადავეხვიე და უცებ მოვიწყინე. ბარგი დავკარგე ოიერ, ამისდედავატირე. ერთი წამით ჩამოვედი ავტობუსიდან, 2-3 ფოტო გადავიღე და მოვიხედე, ავტობუსი წასული იყო. ოიერს სახე შეეცვალა. დღეს ძალიან მძიმე დღე მაქვსო. ჩავეკითხე, კიდევ რა მოხდა-მეთქი? არ მითხრა (მოგვიანებით მომიყვა ყველაფერი). დარეკა იმავე ნომერზე, მე რომ გადმორეკვას დამპირდნენ. ლაპარაკობდნენ ბასკურად. მე მანქანაში ვერ ვისვენებდი, გადავლა და სირბილი მინდოდა. ოიერი სულ ერთ სიტყვას უმეორებდა იმ ვიღაცას, ბარგმაძიებელს. ბალო, ბალო, თუ ბალე, ბალე. კარგა ხანს ილაპარაკეს, შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა, ცუდი ამბებია, დღეს სანტიაგოს დღეა, დღესასწაულია, ყველა ისვენებს, ხვალამდე არამგონია ბარგი დავიბრუნოთო. ავვარდი, ნომერი ხომ ჩავაწერინეთ, ხომ იციან მაგჩემისებმა (მაგჩემისებს ქართულად ვამბობ) ვინ არის მძღოლი, დაურეკონ-მეთქი. არაო, ვერ დაურეკავენ, უფლება არა აქვთო. მძღოლს რეისის დროს არ დაურეკავენო.

ბიჭოოოოო!

უკვე წამოსულები ვართ, მდინარეზეც გადმოვედით, პასაიასკენ მივდივართ, სადაც 12 დღე უნდა ვიცხოვრო, ისე ვარ, სანტიაგოს გადამკიდე ჩემი მეგობარი იაგო ბიტარიშვილიც მახსენდება. მახსენდება და ეგრევე მავიწყდება, იმიტომ, რომ უცებ, ჩემი ანთებული თუ გადამწვარი სახის შემხედვარე ოიერი მეუბნება, თუ ძალიან ნერვიულობ და არ გჯერა, წამო, მივბრუნდეთ სადგურში და თვალი თვალში გაუყარე იმ ქალს და ისე დაელაპარაკეო.

წამო, ვინც არა?

მივედით და ეგრევე დავაძრე ტელეფონი, გადავიმეორე ავტობუსის ნომერი და ვეძებ იმ 9052 HFY ავტობუსს. ოიერი რიგში დგას დისპეჩერთან. მე კიდევ ავტობუსებთან ვარ გამოსული უზარმაზარი ბეტონის გუმბათის ქვეშ. და ბაც! უცებ არ ვხედავ ამ ნომერს?! ვეცი მძღოლს, ის არის, თან ვიცინი, მიხარია და, შე ჩათლახო, სად გარბოდი, რაც მე შენ გისტვინე. ბარგი დამრჩა შენთან. და გაებადრა ოიერსაც სახე, ვაააჰ, კაცოოო, შენი იყო ის ჩანთა? ნამდვილეში ისეთ რაღაცას მეუბნება, ბასკურად, მერე ესპანურად, რომ არ მესმის. ვუყვირი ოიერს. ვეძახი, მოდი აქ, გამოდი მაგ რიგიდან, მიშველე, გამაგებინე რას მეუბნება. თურმე მძღოლი მეუბნება, დავაბინავე კაი ხანია, რაღაც ოთახში შევიტანეო. თან ხალხი ჰყავს უკვე, მალე უნდა გავიდეს, ბილეთებს იბარებს. მაინც გამომყვა, კიდევ კარგი. თავისივე ბარათით გააღო კარი, ზუსტად იმ ოთახის გვერდით, სადაც დისპეჩერი იჯდა. და ვხედავ ჩემს მიტოვებულ ლურჯას, წარწერით – Escape.

ოიერი შოკში იყო. არ სჯეროდა იმ ავტობუსს ნომრით თუ მივაგნებდით. მე ვუთხარი, რომ სანტიაგომ გვაპოვნინა, თავისივე დღესასწაულის გამო უქმად მყოფ ხალხს გვერდი აუარა და პირდაპირ მიგვიყვანა მძღოლამდე. ნეტა მძღოლს რა ერქვა? სანტიაგოზე ჩემი ძმაკაცი იაგო მახსენდება ისევ და მეცინება.

მერე ოიერმა მომიყვა თავისი პრობლემების შესახებაც.

## 26 ივლისი

დილას მეილი მომესალმა: Hola Kharbedia! უფრო გამიხარდებოდა ბასკურად რომ მომსალმებოდა: Kaixo Kharbedia!

უკვე გუშინ საღამოს დიდი ამბები დამხვდა პასაიაში. არც კი ვიცოდი ასეთი ფიესტას დროს თუ დაემთხვეოდა ჩემი ჩამოსვლა. ვცხოვრობ Hugoenea-ში, აქედან ორ ნაბიჯში ვიქტორ ჰიუგო ცხოვრობდა დიდი ხანი, 1843 წელს. ახლა კი ბასკი მწერლების ასოციაცია (Euskal Idazleen Elkarteko) ამ გრძელ და მყუდრო ოთახს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ მწერლებს უთმობს სამუშაოდ. მეც სამუშაოდ ჩავედი, მაგრამ ვინ გაცლის, დღესასწაულებია!

შუადღეს დონოსტიაში წავედი. ყურე მწვანე ნავით გადავიარე, ზუსტად ისეთი ნავით, ჟან პოლ ბელმონდო რომ ხტება ნაპირიდან Pierrot le Fou-ში. ბავშვობაში „მატორიან" ნავს ვეძახდით ასეთს. ყურე და ნაპირები სავსეა უზარმაზარი თევზებით, რომელსაც არავინ ეკარება, არავინ იჭერს. ჩემს მხარეს, პასაიას აქეთა უბანს, სადაც ვცხოვრობ, სან ხუანი ჰქვია, ბასკურად დონიბანე, მეორე ნაპირს კი სან პედრო. ორივეგან ეკლესიის ზარები რეკავენ, სან ხუანისაც და სან პედროსიც. ხანდახან ფიესტას მუსიკას ერთვის ეს ზარები – ელექტრონულს, ეთნოს, ღრიალს, პეტარდების თუ სასულე ორკესტრის ხმებს. 70 ცენტი ღირს გადასვლა. გადმოსვლაც ცალკე 70 ცენტი. ხანდახან ზუსტად ვიტოვებ ხოლმე ხურდას, ან თავისით მრჩება ეს 70 ცენტი.

დღეს ღვინის სახსნელი ვიყიდე სან-სებასტიანში, თბილისში დატოვებულის სანაცვლოდ. საჭირო ნივთია, მითუმეტეს ეს ბასკეთია და არა ახალი ზელანდია, სადაც ღვინოები, როგორც წესი, ხრახნიან ბოთლებში ასხია. აქ ღვინოები საცობითაა, ისევე როგორც მთელს ესპანეთში.

გავიარე, ქალაქი შევისწავლე, დავძებნე წიგნის, ღვინის და ადგილობრივი პროდუქტის მაღაზიები,

ეროვნული

მოვინიშნე, დავიმახსოვრე (ვეცადე მაინც) რომელი სად იყო და პლაჟზე გავედი. დონოსტიაში 4 პლაჟია, პირველ რიგში სერფერების პლაჟი, ზურიოლა (Zurriola), შედარებით მაღალი ტალღებით და შემდეგ, კონცხის გადმოღმა Alderdi Eder, ცენტრალური La Concha და ბოლოს Ondarreta. ეს სამივე თავიდან ბოლომდე გავიარე, უკან რომ ვბრუნდებოდი, Alderdi Eder-ისკენ, მოქცევა დაიწყო და იმ კიბეებისკენ, საიდანაც ნაპირზე ჩამოვედი, ლამის შევცურე, ისეთი მოქცევა დამხვდა. ტალღები მოდიოდნენ და აღარ მიდიოდნენ, წყალი მატულობდა, ქვიშაზე გაწოლილი ხალხი აყრილიყო და სხვაგან გადასულიყო, მე კიდევ ბარაბულების და მათი ბიძაშვილების გარემოცვაში მივაპობდი ტალღებს კიბეებისკენ. საფულე უკვე ჩანთაში მქონდა გადატანილი, ჩანთა კი თავზე მედო. როგორც იქნა ამოვაღწიე სამშვიდობოს.

ქვიშა ოქროსფერია სან-სებასტიანში.

მომიებულზე გულმა სასუსნავისკენ გამიწია. ერთი მშვიდი ბაზარი უკვე აღმოჩენილი მქონდა და პირდაპირ იქით წავედი. ბოლოს ზეთების დახლს მივადექი, ზეთისხილის ზეთების ჩემი ესპანური სია ვაჩვენე მფლობელს და ვუთხარი, აბა, ბიძაჩემო, რომელს მირჩევ-მეთქი. ჩამონათვალიდან რამდენიმე არ ჰქონდა, ცოტა გული კი დამწყდა, მაგრამ ეგ რა არის, მოიცა რაები გაგასინჯოო. და დაიწყო: გასინჯვას ვერ ვასწრებდი, ისეთი სისწრაფით აწყობდა პატარა თეფშზე ბაგეტის სამ ნაჭერს და ზედ ზეთის უზარმაზარ ულუფას ასხამდა. თითქმის ყველა ზეთი, რომელიც კი გავსინჯე, განსხვავებული სტილის იყო და ყველა ძალიან მომწონდა. მართლა საუკეთესოებს მასინჯებდა ან მე [illegible] ათზე. ბოლოს ორი ზეთი ავარჩიე. ჩემი საყვარელი სტილის, ძლიერი და მწარე, მუქი, მუტრუკული, ყე-ლის ჩამბუგავი. იქვე ვიყიდე ცოტ-ცოტა სხვადასხვანაირი ზეთისხილი და არტიშოკის, ხახვის და ხა-ტაცურის მწნილები. ქალი იდგა დახლთან, კოხტა წინსაფრით, ნათელი და გამჭოლი მზერით. სანამ რამეს აწონიდა, აუცილებლად გასასინჯადაც მთავაზობდა. ინგლისური არ იცოდა.

საღამოს სახლში დავბრუნდი. დაღამებულზე დიდი წარმოდგენა გამართეს ადგილობრივებმა. მცირე ინსტრუმენტულმა ჯგუფმა, ქორომ, ქორის კორიფევსმა და ერთი-ორმა სოლისტმა სევდიანი და მხიარული სცენები დაყარეს პასაიას ცხოვრებიდან. ხრინწიანი ქალები და ქარით სახედაღარული კაცები თავიანთ წარსულზე მღეროდნენ და ცეკვავდნენ – თევზაობა, შრომა, დროსტარება, ემიგრაცია, მონატრება, მოლოდინი, ეს ყველაფერი კარგად იკითხებოდა მოყვარული მსახიობების თეატრალურ ქმედებებში. ამ „სოფლის პატიოსნების" შემდეგ დიდი საცეკვაო მოედანი მოეწყო და დილამდე მიდიოდა ტაშ-ფანდური. ბოლოს უკვე კაფეებისა და რესტორნების თანამშრომლები, მზარეულები, მიმტანები და ჭურჭლის მრეცხავებიც გამოეფინენ საცეკვაოდ. დაახლოებით 2 საათი მეძინა ალბათ, სანამ დილას ხმაურიანმა და მხიარულმა დასუფთავების სამსახურმა არ გამაღვიძა.

## 27 ივლისი

დილის ნაგვის გატანის შემდეგ პატარა ორკესტრმა ჩამოიარა, 5 დოლი და ორი სალამური, ერთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამურზე პატარა ბიჭი უსტვენდა, 9-10 წლის. მარჯვენა ხელს ფეხზე ირტყამდა, მხოლოდ მარცხენათი უკრავდა.

კიდევ ერთხელ გავისეირნე ოკეანისკენ. იქ, სადაც ორი მთავარი შუქურაა. შუქურასკენ გასეირნება არ უნდა გადადო. თურმე როგორ ჰგავს ზოგიერთი ამოტრიალებული ნავი მუზარადს. ნაპირზე ერთი თეთრი ნავი იყო, ქათქათა, ნამდვილი შეკირული მუზარადი. ირაკლი ფარჯიანის ხმელეთზე ამოტანილი ნავები მახსენდება. ჩემი საყვარელი ციკლი, თუ აკვიატება. ერთხელ მახსოვს, ფშავისკენ მივდიოდით და არაგვის პირზე, მდინარისგან საკმაოდ მოშორებით, ნავი დავინახეთ. ნუგზარიც ჩვენთან იყო, შატაიძე, და გაიხსენა, მე, ირაკლი და ერთი რეჟისორი ადგილს ვეძებდით გადაღებისთვისო და უცებ, ირაკლიმ ხმელეთზე ნავი დაინახაო. ბავშვივით გახარებია, აგერ, თუ არ შეიძლება ხმელეთზე ნავიო.

დამხვდა წერილი უცნობი პასაიელისგან:

Dear Malkhaz, Gamarjoba!

Oier San Martin has told me that you has just arrived to Hugoenea. My name is Imanol and I live very near from the main square of Pasai Donibane. Last year my wife and I stayed in Georgia for holidays and we had a great time in your country. The town is in FIESTAS (Jaiak in Basque) the whole week. Today is San Pantaleon's day and during the evening there will be grilled sardines everywhere. If you want we can meet today and have a glass of wine and some sardines together.

Najvamdis

შემდეგ მეორე წერილი მივიღე იმანოლისგან, სადაც მწერდა, საშინელი ღვინო აქვთ ქალაქის კაფეებში და ჯერ ჩემთან შევიკრიბოთ, ღვინო დავლიოთ და სარდინებზე მისაყოლებლადაც წავიყოლოთო. ვესტუმრე. გავიცანი იმანოლის მეუღლეც, ესკარნე და ოჯახის დანარჩენი წევრები. იმანოლი საუკეთესო წითელი რიოხებით შეიარაღებული დამხვდა. გამოვცალეთ ერთი ბოთლი, მეორე ტიკჭორაში (Bota) გავუშვით და გამოვედით სარდინებზე და მარმიტაკოზე. უნდა ითქვას, რომ ეს კერძები უფასო იყო დღესასწაულის გამო. სარდინები კი იცით რაცაა და მარმიტაკოზე გეტყვით, თინუსის და კარტოფილის რაგუა, ჩვენი „სოუზივით" ნოყიერი, მეთევზეების საყვარელი საკვები, განსაკუთრებით ღია ზღვაში ან გადახვეწილობისას.

საღამოს, გვიან, ისევ ცეკვების დრო მოვიდა. ყველანი გასაოცარ უნისონში ცეკვავდნენ. იმანოლი მეუბნებოდა, ნუ გიკვირს, ესენი 5 წლიდან ერთად ცეკვავენ, ზუსტად იციან მთელი რეპერტუარიო. აი, იქით რომ 20-25 წლის გოგოების გუნდი დახტის, სულ პატარები მახსოვსო და მსუბუქად მიბიძგა მათკენ.

## 28 ივლისი

ხვალ ან ზეგ ჩვენი ღვინის გზამკვლევი სტამბაში მიდის. მეოთხე გამოცემა. უკვე ყველა ძალა გამომაცალა წიგნმა. იმედია მეასეჯერ გასწორების და გადაკითხვის შემდეგ რაღაცა ეშველება. რას ვიფიქრებდი, აქაც თუ მომიწევდა ბოლო კორექტურების მიღება-სწორება-გადაგზავნა.

ნავით გადავედი სან-პედროში, ნავმისადგომთან ერთი მზისგან დამწვარი მოხუცებილი ქალი ხელნაკეთ ნივთებს ყიდიდა. მისი ხელით გაკეთებულს არ ჰგავდა. უფრო ჩინური ხელი იყო. საღამოს რომ ვბრუნდებოდი, უკვე ძალიან ეტყობოდა სიმთვრალე. დილის მოწყენილობას მაინც ვერაფერი უშველა, ვერ გამხიარულდა, შესაძლოა რაღაც მომენტში კი მოვიდა ხასიათზე, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ ასე, მოწყენამდე სვამს. ერთად–ერთხელ მახსოვს მისი ღიმილი, როცა რომელიღაცა გულსაკიდით დავინტერესდი.

დღეს საღამომდე მშიერი დავრჩი. აქაურ რესტორნებში და ბარებში სამზარეულო მხოლოდ 12:00-15:00 და 20:00-23:00-მდე მუშაობს. როგორია უთევზოდ რომ ხარ ეს ამოტოლა თევზზე გამსუნაგებული და კლანჭებალესილი ცხოველი?! ვიყიდე ერთი ბოთლი სიდრი, მოვხარშე კარტოფილი, მოვასხი ზეითუნის ზეთი, მოვაჭერი ზეთისხილი და ოხრახუში, გავსერე პამიდორი და საღამოს 9-10 საათამდე გული გავიმაგრე.

ხვალ, დილის 5 საათზე ოკეანეში უნდა გავიდეთ სათევზაოდ.

## 29 ივლისი

დილის (თუ ღამის) 5-ის ნახევარზე იმანოლმა დაიძახა ქვემოდან. მახოოო!

წავედით ნავმისადგომისკენ, სადაც ხუანმას ნავი, იგივე მოტორა (Motorra), იგივე Txipironera (ჩიპირონერა. Txipiron კალმარს ნიშნავს ბასკურად) გველოდებოდა. თეთრი იახტები და ჩიპირონერები მშვიდად ანათებდნენ მთვარიანი ღამის წკრიალში. ხუანმა გუშინწინ გავიცანი, სარდინებით გაგვიმასპინძლდა სან- პანტალეონეს დღესასწაულზე. დღეს კი უკვე სათევზაოდ მივდივართ. კარგი განწყობა მაქვს, ახალჩაძინებული და მალევე გაღვიძებული ფსევდო-მეთევზის განწყობა. გრილა. ბნელა. წყალი დგაფუნობს. შუქურები მწვანედ და წითლად ციმციმებენ. ბნელში მოჩანს ქალაქის ორივე ნაპირი, წინ კი ყურედან გასასვლელს ვხედავ ბუნდოვნად, ბნელ უსასრულობას, ოკეანეს.

გავედით ღია ზღვაში. ხუანმამ ძრავი გამორთო, ღუზა ჩაუშვა და თევზაობა დაიწყო. ან კალმარი, ან თინუსი, ან რავი, ბევრი რამე შეიძლება მოვიდეს. შორიახლოს სხვებიც თევზაობენ. არავინ ერთმანეთს არ ეხმიანება. არც ესალმება. ბნელა და მხოლოდ პატარა ანძებზე ანთია მკრთალი შუქები. ყველა ერთმანეთს იცნობს, მეგობრები არიან.

აი, აქ მთავრდება ჩემი დაკვირვებები. ვგრძნობ, რომ ცუდად ვხდები. არ უნდა წამესაუზმა. ნეტა რატომ ვზივარ? არ ჯობია ავდგე და ავყვე ღელვას? მის რიტმში გავაგრძელო რყევა? რატომ ვზივარ? რამ დამაჯინა? ადე, ბიჯო, შევუძახებ ჩემს თავს, მაგრამ უკვე არც ეგ მშველის. ხუანმა გაუთავებლად ლაპარაკობს. სიტყვა არ მესმის მისი. იმანოლს ვთხოვ, ერთი-ორი წინადადება მაინც მითარგმნოს. იქნებ გამიტაცოს ხუანმას მონაყოლმა. შენც არ მომიკვდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ ვიცი სად რომელი მხარეა, ვირყევი, ვტრიალებ და ვკარგავ საყრდენს. ხანდახან მგონია, რომ ყველაფერი უკანაა, ხან პირიქით, და მთრგუნავს იმის შეგრძნება, რომ ამდენი რამე მოექცა უცებ უკან, წინ კი არაფერია. იმითაც ვიზაფრები, რომ გვერდებიდანაც და უკნიდანაც ყველაფერი წინ დამიდგება ხოლმე კედელივით. მოულოდნელად, ერთიანად მეძლეოდა ეს ყველაფერი. „უკუანანი წინა და წინანი უკუანა", ალბათ ამაზეცაა ნათქვამი. ხან თავში ვიყავი, ხან ბოლოში. ორივეგან ცუდად ვიყავი. მხნეობით წამოსული მაჩანჩალა ალმოვჩნდი. ნავხდი. თევზიც არა და არ მოდის.

ხუანმა და იმანოლი ხვდებიან, რომ ვერა ვარ. და აი, იმანოლი უკვე სიტყვასიტყვით იწყებს ხუანმას თარგმნას. ხუანმა კი ყვება ამბებს იმ მეთევზეების შესახებ, რომლებიც ყოველთვის ცუდად არიან ზღვაში, მაგრამ მაინც თევზაობენ. ზოგიერთი თურმე ერთი კვირით გადის ოკეანეში, მათგან პირველი 3 დღე რყევით და რწყევით სკდებიან და შემდეგი 4 დღე კი მხეცებივით, მტაცებლებივით თევზაობენ, ყველანაირი ზღვის ავადმყოფობის გარეშე. ამ ამბებს თვალდახუჭული, გათიშული ვუსმენ, ცოტა პირიც მაქვს ალბათ დაღებული თვალდახუჭულს და თავგადაგდებულს. ძალიან ვცდილობ ეს ატროპიური დისკომფორტი და ჯოჯოხეთური გაურკვევლობა დავძლიო ან არ შევიმჩნიო. არაფერი გამომდის.

რაღაც მომენტში ხუანმას და ხუანიტოს (კიდევ ერთი პასაიელი მეთევზის) ჩიპირონერები ახლოს მოხვდნენ ერთმანეთთან. სურათის გადაღებაც კი შევძელი, მიუხედავად იმისა, რომ წყალში გადახტომა მინდოდა, იმდენად ცუდად ვიყავი. მალე ხუანიტომ ლუზა (აინგურა) ამოიღო, ამოქოქა და სხვა ადგილას წავიდა. „არაა კარგის ნიშანი", თქვა ხუანმამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერაფერი დავიჭირეთ. მზის ამოსვლისთანავე უკან გამოვბრუნდით. თვალდახუჭული, სკამზე მიჭედილი და შერყეული მიცვალებული პირდაღებული ყლაპავდა ქარს გაქანებული ჩიპირონიდან. ვგრძნობდა, რომ ცოცხლდებოდა, მოძრაობამ ცოტა აზრზე მოიყვანა. კარგია, როცა მხოლოდ კი არ ირყევი, არამედ შენც მოძრაობ და აპობ ამ რყევებს.

მოგვიანებით, ეს ამბავი რომ მოყვა ამ მიცვალებულმა, მისმა მეგობარმა იხუმრა – „მახოცი და ზღვა".

მთელი დღე მარყევს, განსაკუთრებით, როცა კომპიუტერს მივუჯდები. იქნებ ამან მაინც გადამაჩვიოს ფეისბუკს.

შერყეულზე საუკეთესო სასმენია: დიდი გემების გამაძღარი ბღუილი, საშუალო გემების მშიერი ყმუილი და პატარების წაკივლებები. ხმების არქეოლოგიის მუზეუმში ვარ. უცებ დიდი ნავი ჩაიქროლებს, ბატელერა (Batelera), ცალკე მესაჭე ყვირის, ცალკე კატარღით აღჭურვილი მწვრთნელი დასძახის მენიჩბეებს. მოისმის ნიჩბების და ძვლების ჭახანის ხმა, ნაპირიდან დაძახება ან სტვენა. ვარჯიშობენ. ზოგნი ჭვრეტენ. ძაღლის ჩუმი წამოყეფება შეგვიძლია გემოვნებით დავუმატოთ ამ ხმებს.

დილამდე ისმოდა გოთური მეტალის ხმები. თუ არ ვცდები, ეგრე უნდა ერქვას ამ ჟანრს. სიტყვას რომ ვერ გაიგებ და ნისლივით რომ მოდის ხავილი და ღამულები რომ მოჰყვებიან ღრუბლის ნაფლეთებივით.

## 30 ივლისი

დღეს რიოხა ალავესაში ვართ ესკარნე, იმანოლი და მე. ამაზე ალბათ ცალკეც დავწერ. გამოძინება ვერ მოვასწარი, მეძინა მხოლოს 1 ან 2 საათი. გოთური გუგუნი დილამდე გაგრძელდა. რემელურიში, რიოხა ალავესას ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან ბოდეგაში (მარანში) ერთი წყვილი გავიცანით, ვისთან ერთადაც Oskorri-ს სიმღერას ვუსმენდით, Topa dagigu-ს. ჩვენი „სულიკოა", ერთი ერთში, უბრალოდ ამ სიმღერის ტექსტი მთლიანად ბასკურ ღვინოზეა, ჩაკოლებზე, რიოხაზე, ჭიქების ჭახუნზე და მარადიულ ცხოვრებაზე. როგორც გაირკვა, ეს წყვილი გუშინ პასაიაში ყოფილა, ჩვენს ქალაქში, ბიჭი კი იმ გოთური მეტალ-ჯგუფის ხმის რეჟისორი აღმოჩნდა. Good Job-მეთქი, ვუთხარი ხუმრობით და რატომღაც გამახსენდა ბრაიან დე პალმას Blow Out-ის ფინალური სიტყვები, რომელსაც ტრავოლტას პერსონაჟი ამბობს გათიშული სახით: It's a good scream. It's a good scream.

საღამოს, უკანა გზაზე წვიმამ დასცხო. რიოხადან პასაიამდე რამდენიმე გვირაბია. ხან წვიმით შევდიოდით გვირაბში და მშრალზე გამოვდიოდით, ხან პირიქით. ჩამეძინა. როცა გამეღვიძა, იმანოლს ვკითხე, რამდენი მეძინა, 5 წუთი? რატო 20 წუთი არა? – მიპასუხა იმანოლმა.

საღამოსკენ 20 წუთით ჩაძინება ჩემთვის ღამის უძილობას ნიშნავს, ამიტომ ეს ღამეც გავათიე, თან გარეთ დღესასწაული კიდევ უფრო მწვავდებოდა, ხალხმრავალი ხდებოდა. ხან ჩავიკეტებოდი, ხანაც აივანზე გავიდოდი და მესამე სართულიდან ვაკვირდებოდი რაც ხდებოდა. დაღლა არავის ეტყობოდა. ორ ტიპს ხარების სტილიზებული ფიგურები წამოეცვათ თავზე, რომელსაც ზურგზე 1 საათის სამყოფი ფეიერვერკი და პეტარდები ჰქონდა დამაგრებული. არ ილეოდა სასროლი და საშუშხუნე, დოლები არ ცხრებოდნენ.

## 31 ივლისი

დილისკენ ჩამეძინა, მაგრამ ღია ფანჯრებიდან მალევე გამაღვიძა ახალმა ტალღამ. დილის 7-ის ნახევარზე მოედანზე თეთრშორტიანი და მწვანემაისურიანი ბიჭების სასულე ორკესტრი შემოიჭრა თავისი ამალით. ჩვენებიც ბევრნი დახვდნენ. ორკესტრი 13-კაციანი იყო იყო, ხანაც 14-იანი.

თან ჟუჟუნა წვიმა მოდის, აქ ჟუჟუნა წვიმას შირი-მირის ეძახიან. და ამ შირი-მირი-ში სასულე ორკესტრის ნონ-სტოპი სრული სიგიჟე იყო. წყალი ალბათ ინსტრუმენტებშიც ჩადიოდა, საქსოფონში, ტუბაში... სულ 4 საქსოფონი უკრავდა.

კლარნეტი და ტრომბონები, ასევე საყვირებიც, ქვევით ხრიდნენ პირდაღებულ სახეებს, წყალი რომ არ ჩასვლოდათ, მაგრამ ხან ტრომბონებს ავიწყდებოდათ წვიმის არსებობა, ხანაც საყვირებს, და წვიმისკენ, ღრუბლებისკენ აშვერილები უკრავდნენ. უკრავდნენ ამოსუნთქვის გარეშე. გარშემო მთვრალები ცეკვავდნენ. თან შირი-მირია, თხელი წვიმა.

და აი, 8-ის ნახევრისთვის შავი ხარი გამოუშვეს. ბუღა. ორკესტრი უკრავს LOUIE LOUIE-ს, ხარს ფეხი უცურდება ამ შირი-მირიში. აწვალებენ ხარს. ერთი-ორს ურქინა მხოლოდ თავის გემოზე. შემდეგი ხარი, წიქარა, უფრო აგრესიულია, რომელიღაც გოგო ამოიღო სამიზნეში და ატაკა და ატაკა ტაკოში, შემდეგ რქებით ჯებირებიც შეანგრია. აზრი მიეცა სანახაობას, მაგრამ აწვალებენ ამ ხარსაც. ამ და სხვა, ყველა ხარს, რქისწვერებშემოხვეხილ ხარებს.

ბოლოს პატარა მოზვერი გამოუშვეს ბავშვებისთვის და აჰყვნენ ბავშვებიც ხბოს ჩინდრიკს, დახტოდნენ და დარბოდნენ. ფინალი სევდიანი იყო. ლამენათევები 9 საათამდე დაილალნენ, დაიღალა ხალხი, მონაწილეებიც დაიღალნენ, ხარებიც, სეირის მაყურებლებიც, რომლებიც წვიმას გადახურულ სცენაზე აფარებდნენ თავს. შირი-მირი ისევ ცრის, ხალხი კი იშლება. მალე მოედანი დაცარიელდა და ბოლოს მთავარი ხარი შემოიჭრა ცარიელ მოედანზე, მთავარი ხარი ნაგვის მანქანაა დიდი ჯაგრისებით, რომელიც მარტო დარბოდა და რქებდახრილი ასუფთავებდა იქაურობას.

შემდეგ შლანგიანი და წყლიანი მენაგვეები მოვიდნენ. მოჰყვათ მეორე ნაგვის მანქანა. ერთ-ერთი მენაგვე ეტყობა ნაქეიფარი იყო და ლუდი იყიდა დასამატებლად (ან ნაბახუსევისთვის), გახსნა ქილა და ახალმორეცხილ მოედანზე გადმოუფქვეთქდა მთელი ლუდი. გადმოუქაფდა. დასცინეს კოლეგებმა, მწვანე ელექტრიკ ფორმებში გამოწყობილმა თანამშრომლებმა. ქაფი მალე მორეცხეს, თან შირი-მირი ისევ არ წყდებოდა. იქნებ ცოტა წავუძინო. გადავიწვი უკვე.

საღამოსკენ რეგატა გაიმართა. დღევანდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღე ქალებისაა. Batelera Eguna ჰქვია, ნავების დღე. ქალები მართავენ ნავებს, ქალები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ბოლოს კი მამაკაცები პურ-მარილს უშლიან, ემსახურებიან ქალებს. რეგატაში მონაწილე გუნდების სახელები ჰქონდათ, დავიწყებული ფერმების სახელები. ეს ფერმები მთაში იყო, ზოგი ახლაც არსებობს, თუმცა უფრო მეტად ძველ ფერმებს უკვდავყოფდნენ გოგოები – Sumillondo, Londres (ლონდონი), Satsa, Bordaundi, Bixenar, Bonasaitza (ბუენოს აირესი), Larrabide, Gaztelutxo (ციხესიმაგრე. კაფკას რომანის ბასკურ თარგმანს ალბათ ასე ჰქვია – გასტელუჩო), Puskazarreta.

## 1 აგვისტო

დღესაც წავედი დონოსტიაში (სან-სებასტიანში). ამჯერად სურიოლას პლაჟზე ჩავედი, გავიარე მთელი პლაჟი, სადაც ძირითადად დამწყები სერფერები ცოდვილობდნენ, გადავედი ხიდზე, მდინარე ურუმეაზე, სადაც უზარმაზარი თევზები ირეკლებოდნენ მზის სხივებზე, შემოვუარე მთიან ნახევარკუნძულს, მოკრიეის მუშტივით რომ იყო შეჭრილი ზღვაში და ბოლომდე ჩავუყევი სამივე პლაჟს, ალდერდი ედერს, ლა კონჩას და ონდარეტას.

უკვე რამდენიმე დღეა ჰასაიაში ერთ მოხუცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავ, სან ხუანიდან სან პედროზე რომ გადმოვდივარ, ან პირიქით, სან ხუანზე როცა ვბრუნდები. მოხუცი ყოველთვის ერთ და იმავე ადგილას ზის, მარტო. თავზე ბასკური ბერეტი ახურავს. ძალიან თეთრი პირისახე აქვს, მკრთალი, გაცრეცილი. შესაძლოა მოხუცთა თავშესაფარია აქ. სულ მარტო ზის. ერთმანეთს ვესალმებით ხოლმე.

## 2 გვისტო

დღესაც დონოსტიაში ვარ. ორი პლაჟი საერთოდ გაქრა, ისეთი მოქცევაა, დარჩენილია მხოლოდ ლა კონჩა-ს ნაწილი.

დილას ჩანთაში ვიქექებოდი და ბარგის სურნელებზე დავფიქრდი. უცხოობის სუნებზე. ფრენის შემდეგ ყოველთვის ჩნდება ეს უცხოობის სურნელები. უჩნდება ყველაზე ნაცნობს – შენს ნივთებს. ყველაფერს, ზურგჩანთასაც კი უცნაური, ძალიან არეული და დამაბნეველი სურნელი გაუჯდება ხოლმე. ხანდახან მძაფრად ვგრძნობ, ხანდახან მკრთალად. ჩანთა სულ გახსნილი დევს ოთახში, სუნთქავს და სუნიც ცოტათი ქარდება დღეების მანძილზე. შეიძლება არც ქარდება და მე ვეჩვევი. თუმცა რაღაცა ყოველთვის რჩება, მოგზაურობის არომატი, რომელიც ალბათ მარტოობის გამო იპარება ნივთებში და რომელსაც შემდეგ ვერანაირი ადგილობრივი ეგზოტიკა ვერ ამარცხებს. ჩადიხარ სადღაც და გზის შეგრძნება მაინც სულ რჩება. გზის სუნი.

დონოსტიაში პარკთან ჩამოვჯექი, წინ პლაჟია, მარჯვნივ – მთა. 6 ცალი ქაფშია მაქვს, ცოტა ზეთისხილი და სუნელებიანი პატარა პური. ჩანთაში ღვინოც მეგულება, ქაფშიამ თუ ძალიან მომანყურა, გავხსნი ბოთლს და მოვსვამ. ვცდილობ ქაფშიას ფილე ჩხირზე წამოვაცვა და ამ დროს მოხუცი მოსრიალდა ეტლით, ხელი გამოშალა ჩემი სახისკენ და რაღაცას მეუბნება, არ მესმის. ბოდიში-მეთქი. და ამ დროს ფეხში მწვდა ეს ბაბუა, მიჩქმიტა. ისევ გაიმეორა იგივე სიტყვები, სახე ბრაზისგან მოეღრიცა, ბოლოს „სენტიმო" გავიგე, მაგრამ გვიანი იყო, მეორე ხელითაც გადმომწვდა და დამაყარა მუშტები. გავიწიე, არ მომხვედრია, მაგრამ მაგრად მაგიწა, როგორც იმ ანეკდოტშია, შვილიშვილები რომ გოჭს დასდევენ დასაკლავად. დაბნეული წამოვხტი. ბაბუამ მალე მოხია, სწრაფად მიქროდა და 20-30 მეტრში სხვა სკამთან დაამუხრუჭა ეტლი. ნეტა იმათაც უჩქმეტს? თუ სხვა ხერხებიც აქვს? წამერთვა მადა. იქვე სამი ტაქსი იდგა, ორიდან ღიპიანი ბიძა გადმოვიდა გაკვირვებული. სოლიდარობის ნიშნად მკითხეს, „რა ჯანდაბა უნდოდა?", ესპანურად მკითხეს. მე ბასკურად ვუპასუხე „რავი მაგის დედაც ვატირე". მიხვდნენ, რომ ბასკი არ ვიყავი და თანაც ნელ-ნელა ხასიათზე მოვდიოდი, გაკვირვებული სახეც ლაგდებოდა ალბათ და გაეცინათ.

## 3 აგვისტო

გადავიხედე აივნიდან. აივნის ქვეშ კაფეა. წყვილი ზის, ზუსტად ჩემს ქვემოთ, ზუსტად აივნის ქვეშ. გოგოს ბიჭის კალთაში აქვს ფეხები ჩაწყობილი და ბიჭი ეფერება, ეფერება ფეხის თითებზე, ფეხის გულებზე. აივლის თითებით მუხლებამდე, ჩამოივლის. აქ ბევრი მოგზაურობს, უმრავლესობა ველოსიპედებით, დანარჩენები ფეხით, მძიმე ზურგჩანთებით გადმოდიან ბილიკ-ბილიკ. შეიძლება მოგზაურები არიან და ფეხები სტკივა გოგოს, ან უბრალოდ, ეფერება ბიჭი. უყვარს, შეიძლება ძალიანაც.

მზეა, მაგრამ კარგად გრილა. ნიავია და ნაგვის მანქანების ჩუმი ხმაური ისმის. მემგონი დღეში სამჯერ გააქვთ ნაგავი. ეს ხმები სულ ისმის. თუმცა გამთენიისას ყველაზე ხმაურიანები და ენერგიულები არიან, როგორც წესი.

წინ გავიხედავ – ნაგავს აპირქვავებენ, ქვემოთ ჩავიხედავ – ყავის ქაფს ვაკვირდები მაგიდებზე ჩამორიგებულ ჭიქებში. გოგომ ფეხის თითები გაამოძრავა, ამოასუნთქა. ბიჭმა მუხლებზე დაუყარა ხელები.

დღეს მოხუცმა ვერ მიცნო. იმ მოხუცმა, მარტო რომ ზის ხოლმე გალმა უბნის თავშესაფრის წინ. ვიღაცა ახალგაზრდასთან ერთად იყო, შეიძლება შვილიშვილმა მოაკითხა?! თუ მომვლელია? მივესალმე, სალამზე არ მიპასუხა.

## 4 აგვისტო

დღესაც გავიარე იქ, სადაც ის ბერეტიანი მოხუცი ზის ხოლმე. თავშესაფრის ყველა ბინადარი იყო გამოფენილი, დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მოხუცთა თავშესაფარია. ის კაცი ვერსად ვიპოვე. ჩაიკარგა. დაიკარგა. მის ადგილას სხვები ისხდნენ და მხიარულად მასლაათობდნენ. ბერეტიანი ბაბუა კი არსად ჩანდა.

დონოსტიაში ის ზეთის და ზეთისხილის გამყიდველი ქალი შემხვდა ქუჩაში, გამოწკეპილი, უწინსაფროდ, კოხტა ჩანთას მოაქნევდა. მიცნო და მხიარულად მივესალმეთ ერთმანეთს.

ტანსაცმლის ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში უზარმაზარი ბუზი იყო გამომწყვდეული, ძალიან დიდი. მანეკნებს შორის მწვრთნელივით დააბიჯებდა, ოღონდ ნერვიული მწვრთნელივით.

5-10 წუთი ისევ მდინარეში ვიყურები, იმ დიდ თევზებს ვათვალიერებ, მათ ელვარებას და ღორმუცელობას. ამ თევზს კოროკონს ეძახიან ადგილობრივები (Korrokon). გავარკვიე და კეფალი აღმოჩნდა, ან მისი ბიძაშვილი. იქ არავინ ჭამს ამ თევზს, არავინ იჭერს, ჩვენთან კი პირიქით, ბათუმში, ბერეგზე, კანალიზაციის შესართავთან ანკესი ვერ ჩავარდება იმდენი თევზაობს, ყველა ამ ღორმუცელა თევზის დაჭერას ცდილობს. მეც ბლომად დამიჭერია. სამაგიეროდ ბასკეთში ხეკია დელიკატესი. ჩვენთან ხომ მხოლოდ გაყინულ ხეკი შემოდის, იაფფასიანი, რომელიც ბოლოდან მეორე ადგილზეა სიაფეში, სქელშუბლას მერე. მხოლოდ მოწყენილი მეგრელი თუ შეიძენს ამ თევზს ღომზე და წითელ ტყემალზე მისაყოლებლად. იქ კი ხეკისგან განსაკუთრებულ კერძებს ამზადებენ.

## 5 აგვისტო

დღეს უნდა დავბრუნდე თბილისში. დილას, 8-ზე გამოვედი სახლიდან. ჯერ დონოსტიაში უნდა ჩავიდე, იქიდან კი ავტობუსით – ბილბაოს აეროპორტში. მოვათრევ უმძიმეს ჩემოდანს, ზურგზე

ეროვნული

დიდი ზურგჩანთა მაქვს მოკიდებული და უცებ მზე-რა მიმახვილდება ამ სიმძიმის მიუხედავად. რაღა-ცეებს პირველად ვხედავ, გული მიჩქარდება, 12 დღეა აქა ვარ და თურმე რამდენი რამეა კიდევ და-სანახი და შესამჩნევი. ვუყურებ და ვიცი, რომ ახლა ვერ გავიაზრებ ამას, რასაც ვხედავ. ვხედავ კუთხე-ებს, დავიწყებულ, ჩემთვის აქამდე დაფარულ ად-გილებს და მესმის ამ ადგილების, კარგად მესმის.

ამიტომ ვერსად დავტოვებდი, წინა საღამოს სტუ-ნოლთან ვწრუპავდით, გამოსაშვიდობებელი სად-მოსავით გვქონდა და მაშინ მითხრა იმანოლმა, მე-ნავესთან დატოვე გასაღებიო, მენავეს მე ან ესკარ-ნე გამოვართმევთ და ჩვენ გადავცემთ ჰიუგოს სახლ-მუზეუმს, მუზეუმის გოგოები კი ოიერს გადასცე-მენო. ჩავედი ნავში და მენავეს ვუთხარი – აი, გასა-ლები, შენ გიტოვებ.



რაღაც განსაკუთრებულს ვგრძნობ, ეტყობა გა-მოთხოვების გამოა, მაგრამ ვერ ვუფიქრდები ამას, დრო არ მაქვს, ნელში მოხრილი მივათრევ ტვირთს, უმძიმეს ზურგჩანთას და გიგანტურ ჩემოდანს გორ-გოლაჭებზე, რომელიც ქვაფენილზე ისეთ ხმას გა-მოსცემს, ყველას აღვიძებს გარშემო. მეც მეღვიძე-ბა ამ ხმაზე. სულ უფრო ცხადად და ახლებურად ვხედავ ყველაფერს. აჰა, მენავევ, გამომართვი შენი 70 ცენტი, წამიყვანე აქედან, სანამ გადავიფიქრე და დავუბრუნდი დაფარულ ადგილებს.

ხო, მართლა, გასაღები. Hugoenea-ს გასაღები უნდა დავტოვო სადმე. სახლის გასაღები. გუშინ გა-დავწყვიტეთ გასაღების ბედი. ოიერმა მირჩია პასა-იას ტურისტულ ცენტრში, იგივე ჰიუგოს მუზეუმში დამეტოვებინა. დილის 8-ზე ისინი არ მუშაობენ,

## 6 აგვისტო

თბილისში ვარ. ვიღვიძებ. ვცდილობ გავიხს-ნო, კარგად მივალაგე იქაურობა თუ არა. თეთრეუ-ლი არ გამირეცხია – ჭურჭელი კი. თან მაცივარიც არ გამომიცარიელებია, არც კი გამომისუფთავე-ბია. მაცივარში დამრჩა – ცოტა ხახვის მწნილი, 5-7 ცალი ზეთისხილი, ბიო-ლობიო – ნახევარი ქილა, 2 ვაშლი, 1 ატამი, 1 ფორთოხალი, ოხრახუშის ღერ-ბი, 3 ცალი კარტოფილი და 50-გრამიან ბოთლაკში რომი. დილას (უფრო სწორად, შუადღეს) ავდექი, შორტი ჩავიცვი და ჯიბეში 70 ცენტი ვიპოვე. აი, მენავის 70 ცენტი, თბილისამდე გზაში თავისით მოგროვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბარამიძე

# ლიტერატურა ან / და აზროვნება

*ლექსო დორეული, „წერის თავგადასავალი", გამომცემლობა „კალმოსანი", 2016 წელი.*



ნათქვამია, დასაწყისი ძნელიაო; ეს, ალბათ, შემდეგ რამეს ნიშნავს: რაღაც რომ დაიწყო, ჯერ დაწყება უნდა დაიწყო; მაგრამ ვიდრე დაწყებას დაიწყებდე, დაწყების დაწყება უნდა დაიწყო და ა.შ. მოდით, მე გვერდს ავუვლი ამგვარ დაწყებას და დაწყების გარეშე დავიწყებ. ლაროშფუკო წერს: ლიტერატურა სიყვარულს ჰგავსო: ვერვინ შეიძენს მის გამოცდილებას, ვიდრე წიგნებში არ ამოიკითხავს მის შესახებო. ლექსო დორეულის „წერის თავგადასავალი" შეგვიძლია ისეთ წიგნებს შორის მოვიაზროთ, რომლითაც ვეცნობით წერას და ლიტერატურას. შემეძლო მეთქვა, ლექსო დორეულს ლიტერატურის ონტოლოგია აინტერესებს-მეთქი; მაგრამ ეს - გარკვეულწილად - იქნებოდა ბარტის გამეორება, რომელმაც, ალბათ, ანდრე ბაზენი გაიმეორა; (თუ ვინმეს გვარები ნერვებს უშლის, ამოშალოს; სად არის საშლელები? შემოიტანეთ საშლელები! ვინ არიან ეს შეშლილები!? სად არის ბატონი გრიიე? თვალი არავის მოგიკრავთ? ამ შეშლილებმა შეცდომით გრიიე ამოშალეს; ახია მაგაზე, საშლელები საშლელებიო; სად არის საშლელი? ჯვარს ეცვი თუ გინდა. არ არის ...) ამ უკანასკნელმა კიდევ ვიღაც სხვა და ა. შ. თუმცა ბარტი ფოტოგრაფიაზე ლაპარაკობდა, ბაზენი - კინოზე. კი მაგრამ, მეორე მხრივ, ყოფნა, წერა, აზროვნება არის გამეორება. ორიგინალი იქმნება გამეორებით. გამეორებიდან გვეყურება მეორე, სხვა. გამეორება ანდა ორიგინალი სხვისი პროექტია. ორიგინალზე, დედანზე, დასაბამზე აზროვნება კომფორტულია მანამ, ვიდრე ვინმე არ იკითხავს: აქვს თუ არა დასაბამს დასაბამი? ამ შეკითხვით დასაბამთან დაკავშირებული ყველა კონცეპტი და ყველა ტროპოსი ტორტმანს იწყებს, საზრისები ეცლება. ვინმემ შესაძლოა თქვას: ეს არაფრის მთქმელიაო. მაგრამ ამაზე შესიტყვება ასეთია: შესაძლებელი ყოფილა არაფრის თქმა ანდა ისეთი გამოთქმის არსებობა, რომლის რეფერენტი არის არაფერი. ამ პროცესის გამოსათქმელად ერთი რთული სიტყვა უნდა გამოვიყენო: დერეფერენციალიზაცია (იმ იმედით, რომ ლექსო დორეულის ტექსტი მას გამოესარჩლება).

ის უცნაური ტექსტია, რომელიც იმის შესაძლებლობას იძლევა, მასზე ისე ილაპარაკო, რომ არ ილაპარაკო იმაზე, რაზეც ის ლაპარაკობს: ერთგვარი აზროვნებაზე აზროვნება, ლიტერატურის ლიტერატურაა. ასე ხდება მას შემდეგ, რაც ლიტერატურამ გადაწყვიტა, რომ არ უპასუხოს

შეკითხვას: რა არის ლიტერატურა? ვიძახოთ ახლა ლიტერატურა არის მესიჯი, ლიტერატურა არის ტყუილი, ლიტერატურა სარეველააო.... ლექსო დორეულის ნაწერი არის ორიგინალური / არა ორიგინალური ორიგინალი, / არამედ ორიგინალი, რომელიც გამოგონებამ გამოიგონა; გამოგონილი / ხელოვნური ორიგინალია.

მისი თეორია არის ბუნდოვანი, მაგრამ ბუნდოვანება არ აღიქმება როგორც ნაკლი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს არის ღირსება, ანდა თუ არის ღირსება, მაშინ ეს არის გამოგონილი, შეთხზული ღირსება. ამ სიბრტყეზე ადგილი არ აქვს ნაკლსა და ღირსებას შორის ოპოზიციას. ამ ნაწერს არ აქვს გამოკვეთილი ცხადი საზრისები; ჩვენ წინაშეა დასაბუთების შესაძლებლობას მოკლებული, გადაუწყვეტელი, გაურკვეველია მიხვედრები, ბუნდოვანება, რომელსაც აქვს ხიბლი. ეს არის ერთგვარი შეთავაზება, გამოწვევა მკითხველისადმი, რომ მან თავის ინდივიდუალურ გამოცდილებაში ჩაატაროს ექსპერიმენტები და აწარმოოს საზრისები.

ლექსო დორეულის თეორია ემყარება ვარაუდს, რომ არსებობს ისეთი რაღაც, რასაც ვერ სწვდება მეტაფორა, არ არსებობს ძალა, რომელიც შეძლებდა არაენობრივი, ექსტრალინგვისტური მოვლენის ან მოქმედების ინსტიტუირებას, დანესებას, ამიტომ ამგვარი ტექსტი ქმნის სიტყვებს, ვერბარიუმს, რომლის აშკარა მიზანი არ არის, რომ ჰქონდეს ცოდნის ფორმა ან იყოს დამაჯერებელი.

ამიტომაც არის, რომ ენის შესაძლებლობების რაციონალიზება ლექსო დორეულს მიაჩნია ნაკლად; მისთვის რაციონალიზება არის ენის შესაძლებლობათა მინიმალიზების პირდაპირპროპორციული. მაგრამ, ამავე დროს, ირკვევა, რომ მისტიკური, ენის გარეთ, ტრანსცენდენტური კი არ არის, არამედ იმანენტურია; ენისთვის შინაგანია. ესეც ერთგვარი ლინგვიტური პარადოქსი. საინტერესოა დორეულის ვერბარიუმი; იგი წააგავს ჰერბარიუმს: იგი ისე თამაშობს ლინგვისტური ერთეულებით, როგორც გამხმარი ყვავილებით ანდა გატეხილი სიმბოლოებით; იგი ქმნის ლიტერატურას, რომელიც უკვე მკვდარია.

ლექსო დორეულმა იცის, რომ ექსტრალინგვისტურსა და ლინგვიტურს შორის სიკვდილის ფანტომი დგას: არა სიკვდილი, არამედ მისი ფანტომი ანდა უფრო ზოგადად - მისი სიმბოლო; ენიდან გასაღწევად სიკვდილი თუ მისი ფანტომი უნდა მოიკლას; რწმენის დისკურსში ეს არის სიკვდილის მოკვლა; სიმბოლურ სიბრტყეზე კი სიკვდილი არა თუ ისვენებს, არამედ განისვენებს. სიმბოლური სიკვდილი სიმბოლოს სიკვდილი კი არ არის, არამედ სიკვდილის სიკვდილის სიმბოლოა. ესაა სიკვდილის გამოსახულება / სიმბოლო, რომელსაც გამოცლილი აქვს ეგზისტენციალური შინაარსი. ლიტერატურა თავისებურად იკვლევს სიკვდილს. მწერალი სწავლობს „რეალურ", „ეგზისტენციალურ" სიკვდილს, რათა უკეთ ჩასწვდეს მის „არსს" ; მაგრამ ამის პარალელურად მიმდინარეობს უჩინარი პროცესი, რის შედეგადაც სიკვდილის შესახებ მისი წარმოდგენა დამოუკიდებლობას იძენს; იგი აღარ ემსახურება „რეალური" სიკვდილის სიღრმისეულ გაგებას, არამედ წყდება მას და თავისი გზით მიდის. ასეა ყველა წარმოდგენას, გამოსახულებასა თუ ხატებასთან მიმართებით. დელოზი ამბობს: ხატების თუ ხატწერის ტექნიკა დაკავშირებულია წარმოსახვის მეტაფიზიკასთანო. ყველაფერი ხდება ხედვისა და სვლის ჰორიზონტში. სიკვდილი სხვა არაფერია თუ არა წა-სვლა. მაგრამ რაც სიმბოლურად მიდის, სიმბოლურადვე ბრუნდება. ბარტი ამბობს: ფოტოგრაფიის წყალობით მეორედ მოვდვართ ამ ქვეყნადო: ოლოდ ამჯერად გამოსახულების სახით. რა არის მისი კრიტერიუმი? ფანტაზია არ მოითხოვს ძალადობას. რეალობა - მოითხოვს, იგი არ გვახვევს თავს რაიმეგვარ ტოპოგრაფიულ ტრანსფორმაციას, რეალობისგან განსხვავებით იგი ცდილობს „ტოპოის" წესრიგის შენარჩუნებას. პერფორმაციული უკავშირდება ძალმომრეობას, ვინაიდან განხორციელება ნიშნავს ძალადობას იმის მიმართ, რაც ხორციელდება და იმის მიმართაც რაც არ ხორციელდება; ასე რომ, ტექსტში მოცემულია - სულ ცოტა - ორი სინამდვილე; წარმოსახვითი და რეალური, რომელიც ასევე წარმოსახვითაა შექმნილი / ხელოვნურად შექმნილი რეალურია. ჯორჯ სპენსერ ბრაუნი (გვარი ამოშალეთ) ამბობს: „სინამდვილეს ორი მხარე აქვს" - მონიშნული / მარკირებული და მოუნიშნავი / არამარკირებული. ჩვენ, ადამიანები, უფრო ხშირად მოუნიშნავ მხარეს ვიმყოფებითო. ტექსტში დაიწერა ის, რაც დაიწერა, მაგრამ ჩვენ თვალი ყოველთვის იმისკენ გაგვირბის და იმასთან ვიმყოფებით, რაც არ დაიწერა. ამიტომ ყოველთვის გვაქვს შანსი მწერლებად ვიქცეთ.

მეორე მხრივ, თვალი ჯიუტობს და ეძებს რეფერენტს, მას სხვანაირად არ შეუძლია, თვალი რეფერენტი-ფანჯრის მინა - პეიზაჟი-თვალი სხეულს ეძებს, არა ზოგადად სხეულს, არამედ ხორცს. თვალის არეალი არის ბაზარი. მაგრამ ხომ არ ეხება ეს მარტო ფიზიკურ თვალს? ხომ გვაქვს შინაგანი თვალი, გონების თვალი, სულიერი თვალი, გულის თვალი, მაგრამ ამდენივეა ხორციც. თვალის ფუნქცია არის გახდა, გაშიშვლება, მზერა სარტრთან, გაუმძლარი თვალი, ვოიერიზმი, უფრო მეტის დანახვის სურვილი. ერთმა ხალიფამ, ბოდრიარი ამბობს, ტყავი ცოცხლად გააძრო ერთ სტრიპტიზიორს, რომ უფრო ღრმად დამალული რამ ეხილაო. სექსუალურის იქით / მიღმა / შორს. ესაა ამოუწურავი ცნობისმოყვარეობა, აქტების გამეორება, ვიდრე მოხდებოდეს სრული, მომაკვდინებელი გამოფიტვა. ქვე-ენაში განხორციელებული ბრმა მეტამორფოზა, სადაც ერთმანეთთან რეაქციაში შედის / ერწყმის ხორცი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეგანი რეალობაო, ბარტმა. გამოსავალი ერთია: სხეულის გაუჩინარება? სხეულის სტრატეგია: გაუჩინარებით კვლავგაჩენა; გაუჩინარებით გაჩენილი, დასწრებით არდასწრება, არდასწრებით დასწრება.

გამოგონილი, ფიქციური, სიმბოლური მოძრაობა და მოძრაობის გამოსახულება როგორც სენსორულ-მოტორული; თვალს ვადევნებთ ლირიკული პერსონაჟების მოძრაობას, მოქმედებას, უკიდურესი მოძრაობა - თავისი თავიდან ამოსვლა და გაკრეფა. მოძრაობა აღარ არის, წყდება, ჩნდება ოპტიკური ნიშანი, ოპტიკური ხატება, სადაც იწყება ფიქრი, ჩაგესმის უსიტყვო ხმა, ე.წ. აღწერა მოქმედების ნაცვლად. თვალის ისტორია არის პორნო (ბატაი). მეორე მხრივ, თეოლოგიურად თვალი რომ მოწყდეს ხორცს, აუცილებელია ტოპოსის შეცვლა: წმინდა გული.

თვალი მიყვება მოძრაობას, ხან მის კვალს, თუ ექოს: რა ხდება მას მერე, რაც რაღაც თვალს მიეფარა, თვალი გადადის ახალ სიბრტყეზე, იწყებს მუშაობას ისეთი ოპერატორებით, როგორიცაა „თითქოსდა", ეს აღარ არის გონების თვალი, ეს არის წარმოსახვის თვალი. ადამიანი მომხმარებელი იცვლება ადამიანი ვიზიონერით, ეს უკანასკნელი კი - ადამიანი გამომგონებლით. ტყუილის ტირაჟირება - replication of a lie. იწყება ფიზიკური თვალით, მერე საქმეში ერთვება გონებისთვალი, მერე სულის თვალი, სულიერი თვალი, გულის თვალი, როგორ ხდება ეს გადასვლები გარეგანსა და შინაგან თვალს შორის, არის უფსკრული. მოხეტიალე, მესამე თვალი ყველგან არის, ამიტომაც არ არსებობს „ჯერ" და „მერე" . ლექსო დორეული ამბობს: ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი ნაკლი ის არის, რომ მასში წარმოსახვითის გამოთქმა მხოლოდ რეალობის ანდა ძალადობის ენით ხდებაო.

სიტყვებს არა აქვსო შესაძლო მნიშვნელობები, ანდა ის მნიშვნელობები აქვს, რა მნიშვნელობებიც აქვს. მათ არ აქვთ ვირტუალური პლანი, არ ხდება რეალურისა და ვირტუალურის დაკავშირება, ვერ გავყავართ ფორმის არამარკირებული მხარისკენ.

რეალობა არის ის, რაც მოითხოვს ადგილის შეცვლას, ტოპოგრაფიის შეცვლას; ახალი კრიტიციზმი როგორც ინტერპრეტატორული კრიტიციზმი ამბობს: ტრანსცენდენტური პრინციპი შეფასებისა არ არსებობსო; მხოლოდ ავტოპოეტური ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილების მიმართება და მისი თემატური ერთიანობაა საძიებელიო. დორეული ლაპარაკობს მკითხველთან გაფორმებული შეთანხმების შესახებ: თუ შევთანხმდებითო...

მოდერნიზმი იწყებაო ლიტერატურის ძიებით, რომელიც აღარ არსებობსო, ბარტმა. რომანი არის სიკვდილიო, მარტოდენ ნიშნების ქსელი. ამიერიდან ის არის სიყალბე, რომელიც მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. რა ხდება? შეთანხმება იმის თაობაზე, რომ სინამდვილე არის ტყუილის [illegible] კი იწყება ტყუილის ტირაჟირება. ერთი მხრივ, შესატყვისობა აზრსა და საგანს შორის უქმდება (თუმცა ქართულად შესატყვისობიდან გვესმის შესიტყვება ან კამათი, იგი პროცესია; არაა დაკავშირებული „ონ"-თან, არ ხდება მისი ონტოლოგიზება; ის არის დავა აზრისა საგანთან და პირიქით). მეორე მხრივ, ძალაშია დეკარტის დევიზი: ნიღბით გამოსვლა. დორეულის ტექსტი სადღაც მათ შორისაა. მისი ტექსტი არის კონცეპტების დადგმა, გათამაშებული კონცეპტები; მაგრამ თუ არ არის რეფერენტი, მაშინ ნიღბით გამოსვლა შეუძლებელია, ვინაიდან ნიღაბი გულისხმობს რეფერენტის დამალვას.

დორეული იმპლიციტურად ასხვავებს ერთმანეთისგან „დე ფაქტო" და „დე იურე" სფეროებს.

დე ფაქტო ლიტერატურა არსებობს. დე იურე მისი გამართლებაა, მისთვის გამართლების მოძებნა, კრიტიკის დუბლიკატების ანდა კრიტიკული ორეულების გზით, დე ფაქტოსა და დე იურეს შორის განსხვავების წაშლით.

ტყუილის თავისუფლება - გამოთქმა, რომელიც ეკუთვნის ლევინასს და შესანიშნავად მიესადაგება ლიტერატურას. შეგვიძლია მასში ვიგულისხმოთ ზედაპირი, სადაც ნიშნები რიალობენ. ხიბლი, მაცდუნებელი, მაცდური ხიბლი, რომელიც მდგომარეობს სწორედ საზრისის გაუქმებაში.

ამგვარ ტექსტს ვერ მოიხმარ, მას არ აქვს ე.წ. სახმარი ღირებულება; იგი გამიზნულია „თეორეოზე", ხედვაზე. ლექსო დორეულის ტექსტი ხელს უწყობს იმას, რომ მკითხველი-მომხმარებელი ვიზიონერ მკითხველად, შემოქმედ მკითხველად გარდაიქმნას და მან მაგიური მეტამორფოზა განიცადოს.

დორეული არ მისდევს ინტერპრეტაციის პრაქტიკას. ინტერპრეტატორული დისკურსით არავინ ცდუნდება. ამ უკანასკნელს გარეგნობიდან გაღწევა სურს. მაგრამ ეს ილუზია და ტყუილია, გარეგნობიდან გაღწევა, მის მიღმა გასვლა შეუძლებელია. ყოველი დისკურსი სრულად ავლენს თავის თავს თავის გარეგნობაში და ამდენად მუდამ ცდუნების წინაშე დგას, რომ განიცადოს კრახი როგორც დისკურსმა. ყოველ დისკურსს სწორედ ამგვარი თვითკრახისკენ ფარული სწრაფვა ამოძრავებს, თავისი თავის დეკონსტრუქცია. როცა თავის მიზნებს ეჭვის ქვეშ აყენებს, იგი საზრისისა და ჭეშმარიტების ეფექტებს ზედაპირის ეფექტებს უმორჩილებს. სარკესავით ნთქავს სიღრმეს. ასეა, როცა დისკურსი თავის თავს აცდუნებს. იგი იწოვს საზრისს და აცარიელებს თავის თავს (რა არის ეს? წამოცარიელება როგორც მეტაფიზიკური სიკვდილი? საიდან გაჩნდა ეკჰარტისეული მოტივი?) რათა უკეთ მოხიბლოს სხვები: ენის მარტივი ცდუნება, სიტყვით გააბრუაო.

დისკურსი იბრძვის არა არაცნობიერის საიდუმლოთა წინააღმდეგ, არამედ იგი ებრძვის თა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისივე ზედაპირულობის უფსკრულს. ფანტაზიებსა და ჰალუცინაციებს აქვთ საზრისი ანდა კონტრსაზრისი, მაგრამ ზედაპირი არის სრული უაზრობა. ინტერპრეტაციული დისკურსის მთელი სერიოზულობა, რომლითაც ფსიქოანალიზს ცდუნების გაუქმება სურს, თვითონ არის სიმულაციის მყიფე მოდელი. ფსიქოანალიზის საცდური არის ის, რომ არაცნობიერი ოცნებით, სიზმრით ცდუნებას ეწევა. პაციენტი ლაპარაკობს, მაგრამ ნაუბარი, მონაყოლი, სავსეა პარალელური, გაორებული სტრუქტურებით. ფსიქოანალიზის მთელი ნაგებობა ინგრევა იმით, რომ იგი თავის დისკურში ყველას ითრევს და ყველას აცდუნებსო, ბოდრიარმა. „კომუნიკაციის ექსტაზში" იგი ამბობს, რომ ნიშანი თვითონ აწარმოებს თავის თავს და ნიშანთა წესრიგი საგანთა წესრიგს აღარ საჭიროებს, საგანთა წესრიგი გაქრა, სარკე და სცენა აღარ არის, სარკე- სიღრმე გაუჩინარდა, სამაგიეროდ არის ეკრანი და ქსელი, ტრანსცენდენტური დაიკარგა, დარჩა იმანენტური, როგორც კომუნიკაციის ოპერაციონული ზედაპირი. კრიტიკაშიც ასეა? ტრანსცენდენტური თუ არ არის, მაშინ კრიტიკა შეუძლებელია, მაგრამ კრიტიკის შეუძლებლობა ლიტერატურის არსებობის ერთადერთი შანსია.

ბოდრიარი ასევე ლაპარაკობს მოვლენის, შესახედაობის, გამომეტყველების იდუმალი ჰორიზონტის შესახებ. გავიხსენოთ ლაკანი, მისი სარკის სტადია, რაც იმის გამოხატულებაა, რომ გარეგნობა, ფორმა გვიზიდავს, სხეული გვძულს. მრავლისმეტყველია სიტყვა „მეტყველება": წყალი მეიტყუაო, როცა ზღვა ლივლივებს, ზედაპირი გიპყრობს, სიღრმე უჩინარდება. ბარტი ამბობს, ლიტერატურა არის ნიშნები, რომლებიც არ არის დაკავშირებული იდეებთანო.

ყველა ეს მოტივი წარმოდგენილია ლექსო დარეულის ტექსტში „წერის თავგადასავალი". იგი იმ იშვიათ ტექსტთაგანია, სადაც აზროვნებამ / და ლიტერატურამ თავი შეაფარა. ზემოთ ვახსენე, რომ დასაწყისი ძნელია. ახლა, როცა დასასრულს ვუახლოვდები, ვხვდები, რომ იგი არანაკლებ ძნელია. ამიტომ ავდგები და უბრალოდ დასასრულის გარეშე დავამთავრებ.





n136/37

# აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

